ბადრი სულაძე

# რაჭა, შენ რომ არ მყავდე...

ლექსები



ბადრი სულაძე

# რაჭას, შენ რომ არ მყავდე...

ლექსები

თბილისი
2014

ავტორი გულითად მადლობას უძღვნის

წიგნის სპონსორებს,

ამერიკაში მცხოვრებ ქალბატონებს,

დედა-შვილ

**ნარგიზი გრძელიშვილი-მაისურაძესა**

და **ნანა მაისურაძეს**

ISBN 978-9941-0-6383-1

# „რაჭას მართლაც, რავარი შეყვარება სცოდნია...“

ბადრი სულაძე ეთნოლოგია. ეთნოლოგია ხომ იცით, იგივე ხალხთმცოდნეობაა, ხალხის ყოფასა და კულტურას შეისწავლის. ჰოდა, ბადრიც მთელი ცხოვრება ჩაჰკირკიტებს წინაპართა ტრადიციებს, ადათ-წესებს, რიტუალებს, ხალხურ გამონათქვამებს, შელოცვებს, კაფიებსა თუ სიმღერებს... ფეხით მოუვლია მთელი საქართველო, ხოლო ზემო და ქვემო რაჭაში კუთხე-კუნჭული არ დაუტოვებია. სულ იცის, სად ვინ სახლობს, ვის რა ულხინს, რა უჭირს, რომელ კლდის გულზე ია ხარობს, რომელზე – ენძელა, რომელი ვარსკვლავი გადმოჰყურებს ნიკორწმინდას, რომელი – ბარაკონს, რომელი კიდევ – მრავალძალს. ღია ცის ქვეშ მუზეუმში „გადმოტანილ“ უძველეს ქართულ საცხოვრისებს უვლის. მათ შორის ქვემო რაჭიდან, სოფელ ტოლადან ჩამოტანილი შუასახლიცაა, რომელსაც საკუთარივით დასტრიალებს თავს.

რაჭა ხომ მისი ლექსების მუდმივი „ბინადარია“... რაჭა ხომ მის ლექსებში ცოცხლობს. მეტიც, რაჭა პოეტისთვის გასულიერებულია, ხორც და სულშესხმული სალოცავია... სხვაგვარად როგორ იქნება, როცა ასე მიმართავს საფიცარ მხარეს: „რაჭა, შენ რომ არ მყავდე...“ – ეს ერთ-ერთი მისი ლექსის სათაურია, რომელშიც ასეთი სტრიქონებიცაა:

*როცა მთვარით ქრებოდი,*
*მზით ამბობდი დანარჩენს,*
*ნეტავ, რა ვიქნებოდი,*
*რაჭა, შენ რომ არ მყავდე...*

და არა მხოლოდ ეს ერთი ლექსი, მისი პოეზია რაჭის სიყ-

ვარულითაა განედლებულ-გამთბარი. „გული რაა, ერთი ციდა საყანეა“, – ამბობს პოეტი და სწორედაც რომ პოეტური სახეებით გვხიბლავს. ასე გვამახსოვრებს თავს მისი ლექსებიდან: „კეცზე გამომცხვარი შეკეცილი“, „ფერი, შენამთვრალებ ბროწეულის“, „თვალი ბივრილისა, / ცრემლი მსგავსი ცვრისა“, „მზით მონაქსოვი ცის მერდინები“, „ქარი რომ წეწავს საჩეჩელზე / ამღვრეულ ნისლებს“, „ბაღი ღამის სიმღერებით მთევარი“...

ჰო, სიმღერასავითაა ბადრი სულაძის არაერთი ლექსი. სამი მათგანი კომპოზიტორმა ეკა თევზაძემ აამღერა კიდეც. თქვენც გეხსომებათ მისი „მოგისაკლისე“ (თეთრად ყვავის სოლოლაკში ტყემალი, / ზეცა ხარობს, მზე მიღიმის შენსავით), „ჩემო ნამო დილისა“ („ჩემო ნამო დილისა, / წამო, მოლოდინისა, / ქარს არ ანდო, დილისა, / გული, როგორც თილისმა...“) და „ღელავს ზღვა“ („ისე კარგი დღეა, მსურს გაჩუქო მზე“). ამ ბოლო სიმღერას კომპოზიტორთან ერთად ასრულებს და როგორც მისმა ახლობლებმა გაგვანდეს, თავადაც ქმნის მუსიკას თავისივე ლექსებზე. ოღონდ ისე ჩუმად, როგორც ერთ დროს ლექსებს წერდა და არავის უმხელდა...

მე კი ძალიან მინდა რომელიმე კომპოზიტორს „ჩაუვარდეს ხელში“ ბადრი სულაძის „იავნანა“... ნახეთ, როგორი მუსიკა მოდის ამ მართლა ასამღერებელი ნანინადან:

> *იავნანა, ნანასა, ციცქნა, მერცხლის თვალასა,*
> *ცის ნამივით ხალასსა, ღმერთი მოგცემს ძალასა,*
> *ღამის ჩუმი შრიალი ამკობს ვარდის ყანასა,*
> *დაიძინე პატარა, იავნანა, ნანასა.*

ერთგან იტყვის, „ფიქრიც დაცურდა, როგორც ურემიო“ და მისი ფიქრი კვლავ თავისივე რაჭას ასწვდება. „ღმერთივით დადის ჭალაში ხარი...“ – იტყვის მეორეგან და თავადაც ქედზე

დადგმული უღელივით ეზიდება ლექსის სიმძიმეს.

როგორ წერს? ამაზე არ ლაპარაკობს. უბრალოდ, ერთ სახუმარო ლექსში ასე ამხელს სათქმელს:

როცა კრუხი ძერასავით
შეფრინდება საბუდარზე,
ლექსიც ასე მეწერება,
ხან კეცზე და ხან ბუხარზე...

რაჭის სიყვარულს ხომ დაუბუდია პოეტის ლექსებში, „სხვა სიყვარულიც“ გვაფიქრებს და გვამშვიდებს მისი ლირიკული სტრიქონებიდან...

ბადრი სულაძის ლირიკა ფეისბუკის გვერდზე გამოჩნდა არცთუ ისე დიდი ხნის წინათ. არაერთ მკითხველს „მოაწონა“ თავი, ერთ ნაწილს თავიანთი მიტოვებული კუთხეების სადარდებელი გაახსენა მთელი სიმწვავით. აბა, მოდი და როგორ არ აუჩუყდეს გული სამშობლოდან სად აღარ გადახვეწილ (ოკეანის გაღმაც) ჩვენს თანამემამულეებს, როცა ამ სტრიქონებს წაიკითხავენ:

ფიქრებო, თავი მაინც დამანებეთ,
ხან უფერულებო და ხან ჭრელებო...
წყალს ნუ გადავასხამთ ამ ნაკვერჩხლებს,
რაჭას ნუ დავტოვებთ, რაჭველებო...

ასე „დაემართა“ ამერიკაში მცხოვრებ დედა-შვილს – ნარგიზი გრძელიშვილი-მაისურაძესა და ნანა მაისურაძეს.

ჯერ პოეტს „დაუმეგობრდნენ“, მერე კომენტარს კომენტარი მოჰყვა. წიგნს რატომ არ გამოსცემთო, იკითხეს... ჯერ თავი აარიდა პასუხს. მერე „სიტყვას მოაყოლა“, რიგით მეცნიერ კაცს ჩვენს ქვეყანაში წიგნის გამოსაცემი ფული ვინ მისცაო... მით უფრო, თუ ეს მეცნიერი ლექსებს წერსო...

მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ქალბატონი ნარგიზი

და ნანა ბადრი სულაძის პოეტური კრებულის სპონსორები არიან. „თქვენი ლექსებისა და რაჭის სიყვარულმა გადაგვაწყვეტინა ეს პატარა ქველმოქმედება... მოხარულები ვართ, რომ თუნდაც სიხარულის ერთი წვეთი შევიტანეთ თქვენს შემოქმედებაში... მადლობა იმ სითბოსა და სიყვარულისთვის, თქვენ რომ გამოხატავთ და გადმოსცემთ რაჭასა და რაჭველებზე... წარმატებებს გისურვებთ, უფალი გფარავდეთ...“ – ამ სიტყვებით „აიძულეს“ მეცნიერი პოეტი წიგნის გამოცემაზე დათანხმებულიყო.

ისლა დაგვრჩენია, ბადრი სულაძისა და მისი პოეზიის გულშემატკივართა სახელით მადლობა გადავუხადოთ „ამერიკელ“ ქართველ ქალბატონებს ამ უანგარო დახმარებისთვის.

P.S. წიგნი გამოსაცემად უკვე მზად იყო, როცა პოეტმა რამდენიმე მელანშეუმშრალი ლექსი „შემოგვამატა“... ამ ლექსებზე აღარაფერს ვამბობთ. მათი პირველწაკითხვის სიხარულს მკითხველს ვუთმობთ.

*ელენე სალარიძე*

## რაჭა, შენ რომ არ მყავდე...

როცა მთვარით ქრებოდი,
მზით ამბობდი დანარჩენს,
ნეტავ, რა ვიქნებოდი,
რაჭა, შენ რომ არ მყავდე...
პატარიკა ბიჭივით
ვეურჩები აღმართებს,
მხოლოდ აქ შეუძლია,
კაცს, ჰაერით დანაყრდეს,
მხოლოდ აქ შეიძლება,
თოვლშიც ია აყვავდეს,
იქნებ ცისარტყელაზეც
კვლავ ბავშვივით გადავხტე
ოცნებათა ფერხულში
ჩავდგე მზესთან, მთვარესთან;
მხოლოდ აქ შეიძლება,
ცასთან შეთამაშება...
მაინც ჩაგეხუტები,
თუნდაც, სულსაც ვღაფავდე,
ბედს ვერას გავუგებდი,
რაჭა, შენ რომ არ მყავდე...

## რაჭის საგალობელი

ზოგჯერ დილას ვეფერები მადლიანად,
ხან კი ბნელში დავბლატუნობ ბერბეცივით;
სავსე მთვარე დაბრაწულა მადიანად,
როგორც კეცზე გამომცხვარი შეკეცილი...
როცა ნიავს გული ფრთხილად ურწევია,
ღამის წვიმაც გაპრანჭულა განაზებით...

აქ სიცოცხლეს სიყვარულით უმღერიან,
მსხლის ნათალზე დასეული კრაზანებიც...
სუნით ვთვრები თმაში ჩაწნულ გვირილების,
ჩემიც მყოფნის და სხვის სურნელს არ ვიპარავ;
კისრისტეხით ეშვებიან ბილიკები,
თითქოს ფურებს აუკრავთო აბზიკარა...
არ მინახავს, სხვაგან ასე სად იციან,
გულს გჩუქნიან და მალავენ მორცხვად ღიმილს...
ეს ღიმილი მარცვალ-მარცვალ დამითვლია,
მუჭში ფრთხილად ჩამარცვლული მოცხარივით...
რაც მაცოცხლებს, ეს ფრენაა ისევ მერცხლის,
და ბალახი, ცხენის ფლოქვით გათელილი...
ჩუმად ვიწვი სიყვარულის ნელი ცეცხლით,
საყდრის კარზე მიგლესილი სანთელივით...
დაძახებაც არ მჭირდება, – მასპინძელო,
არც ვიკითხავ, – საამისო დრო თუ არის?..
აქ ჰაერი ზუსტად ისე მაწიერობს,
ვით მზესავით გულჩადგმული ბოხჩუანი...
ზოგჯერ დილას ვეფერები მადლიანად,
ხან კი ბნელში დავბლატუნობ ბერბეცივით;
სავსე მთვარე დაბრაწულა მადიანად,
როგორც კეცზე გამომცხვარი შეკეცილი...

## სათიბში

უდაბურისკენ მიმავალ გზაზე,
როცა კალოკარს ცოტა გაცდები,
გგონია მხრებით ცის გუმბათს აწევ,
გოლიათივით მზისკენ მაღლდები...
ნიავს შეჰხარი გულგაღეღილი,

მუხის ხესავით ლაღად და უხმოდ,
სათიბში დგახარ კლდის ნატეხივით,
ცელის შხუილით წინაპრებს უხმობ...
ხანაც მზეა და ხანაც მწუხრია,
ამ ტიალ ბედის საბალახოზე,
ხარივით ძლიერს და მგლის მუხლიანს
მხოლოდ მთის წყარო თუ დაგაჩოქებს...
გულს გაგიგრილებს ამბორი მისი;
დაღლილზე ხემსიც საამურია
და ჭიქა ღვინით ხსოვნასაც იტყვი
ყველა იმ კაცის აქ რომ უვლია...
გგონია მხრებით ცის გუმბათს აწევ,
გოლიათივით მზისკენ მაღლდები,
უდაბურისკენ მიმავალ გზაზე,
როცა კალოკარს ცოტა გაცდები...

* * *

დილა
ცარცისფერი
ნისლით გალახულა,
ნამებს
ცრემლებივით
აყრის ბალახ-ბულახს...
– დილა ტიროდაო?..
როდის...
სად ნახულა?..
ნუ გიკვირთ,
ასე იცის
გაზაფხულმა...

## ყაყაჩო

შენ, ყაყაჩოვ, ეს რა კაბა ჩაგიცვია,
შეგხედე და გამიკვირდა, ვერ გიცანი,
შენს კაბაზე გიშრისთვალა ნამი ბრწყინავს,
თუ თვალებზე შეუშშრალი ცრემლი არი?..
– სიყვარული განმიცდია ისე მწველი,
გულზე დღემდე მამჩნევია სევდის კვალი,
შენ სურვილი გაგჩენია ლექსის წერის
და რას დარდობ, მიცანი თუ ვერ მიცანი?..

## ოდელიიდან მუხამდე...

ოდელიიდან მუხამდე,
ცოტაც და მივალ წყაროსთან, –
გზას ვამოკლებდი სულ ასე,
წყარო კი მოწანწკარობდა...
რა იქნებოდა, გვიანი
მივსულიყავი ეზოსთან
და როგორც ხმელი ხმიადი,
გზა ისე გამომეზოგა,
რა იქნებოდა, მაყვლისთვის
ცოტა მეტი დრო დამეთმო,
რიონის ჭალის ყვავილი
მეც მომეძებნა საბედოდ;
დიდხანს რატომ არ ვეფერე
მოცვინეებს და მარწყვინებს,
წვიმით გალუმპულ ნეეთზე
ნეტავი, ახლაც მაწვიმდეს;
არ ავუჩქარებ ნაბიჯსაც,
სულ რომ ჭექდეს და ელავდეს,
ცალისცალობით გავსინჯავ

მარწყვს, წითლად შენაფერადებს;
საამოა და სამხევი
ვენახის ბოლოს ხურტკმელი,
ლექსისთვის ისე გავხელდი,
მინდა, არ დამრჩეს უთქმელი,
რაც გულში მზე მაქვს ჩემს წილად,
ტკბილო, ოცნების ნეეთო,
მინდა, რომ შენთვის ბუხარში
შეშის ერთ ნაჭრად შევენთო...
ოდელიიდან მუხამდე,
ცოტაც და მივალ ეზოსთან...
რა იქნებოდა, თუნდაც მზე,
ცოტათი გამომეზოგა...

* * *

როგორც სინჯარაში ვერცხლისწყალი,
ცრემლი ამიგორდა წამწამებზე...
ნეტავ, ვინ დამაცდის, ან რა დათვლის
წამებს, მე რომ ასე მაწამებენ...
დარდსაც ვეღარავინ გადამაჩვევს,
ჩემთან სტუმრადაა მოწვეული,
თუმცა, ბოლოს ვიცი, გადამარჩენს
ფერი, შენამთვრალებ ბროწეულის...

## ბავშვობა

მოუტანია სითბო ულევად
და სასთუმალთან ღამეებს მითევს,
დროდადრო ფრთხილად სულსაც უბერავს
მაყვლის ეკლებით დაჩხვლეტილ თითებს...
ტკივილსაც ვითმენ, თითქოს ყუჩდება,

როცა ვიხსენებ შეთვალულ ყურძენს,
როცა ყურძნისთვის ჯერ არ ეცალათ
კაკლის წენგოთი შეღებილ ტუჩებს...
მეტსაც გავუძლებ, არათუ ცრემლებს,
არ უწერია იმ ტბას დაშრობა,
რომელშიც ჭინჭრით დასუსხულ ფეხებს
აჭყაპუნებდა ჩემი ბავშვობა...

* * *

წითლად მობიბინე
ვაშლის ბაღებს
სულში ჩაუსახლდა ფარიანა...
ლაღად მოგალობე
იადონებს
ბედმა მოუქსოვა გალია... და
ჩვენი სიყვარული
გამომშრალი
თივის ბრელოსავით განიავდა...

* * *

წავალ და ვნახავ
გადაფრენას წეროებისას,
მათი სითეთრე
კანდელების ზღაპარფერია;
ვნახავ არშიყად
გადაქცევას მდელოებისას;
წავალ და ვნახავ,
სანამ წლებიც არ გაფრენილან...

## რაჭის მონატრება

მე რაც მჭირდა, უშენობით მჭირდა
ცივი წვიმაც თითქოს გულში ცრიდა,
მაგრამ თავი დავიგულე მშვიდად,
ფიქრი მექცა ღოღნაშოდ და შინდად...
როცა ქარი აწვალებდა ჭიშკარს,
დედა იჯდა, სიმინდუკას ფშვნიდა...
მერე მოლოქს შეურევდა ჭინჭარს,
ფხალუკათი ამივსებდა ხის ჯამს...
ხსოვნა თქვით, – მომაწვდიდა ჭიქას...
დრო გასულა, ვიმეორებთ დიდხანს,
თუ წყალუკა შეერია ქვიშას,
მოლოქი ხო, სუ მთლად გადაჯიშდა...
მონატრებას თუ როგორღაც ვიტან,
მხოლოდ ხსოვნის მოფერება მიცავს...
ახლა ის ხმა მელანდება სიზმრად,
მზე თვალს მიკრავს, თითქოს მაძლევს ნიშანს...
მეც ვიპოვე პატარიკა ნიშა,
კაათა ვარ, ჭი... აღარა მიშავს...

## სულ შენ მენატრები

წითლად დაკუნწლულა ბალი,
მოჰგავს მონატრების ყვავილს,
ისე უციმციმებს თვალი,
წვიმით გეგონება მთვრალი...
კარგო, რა ხანია ვუსმენ
ბაღში ბეღურების ჟივჟივს,
სულ შენ მენატრები, სულ შენ,
დარდი აღარა მაქვს სხვისი...
მოდი, იასავით მორცხვო,
მოდი, გელოდები, ვერ გთმობ,
მინდა ეგ თვალები ვკოცნო,
ბალი ბეღურებმა კენკონ...

## „აბა, ბიჭო, გიორგუნა“

აბა, ბიჭო, გიორგუნა,
გოგია თუ გოგიუკა,
გადაღება ღვინოს უნდა,
აღება კი ლობიუკას,
ხელი თუ არ წავაშველეთ
ჩვენაც ამ საქმეს შნოიანად,
ან ღვინუკას როგორ დავლევთ,
ან ვინ გვაჭმევს ლობიანას...
ალბათ, გახსოვს, ვაზს რო სხლავდა,
რაც დაგვმართა ვალოდიკამ,
სანამ კანჭუკა მოხარშა,
კაა დიდხანს გვალოდინა...
ჰოდა, ჩემი თუ არ გჯერა,
მერე ვეღარ შევრიგდებით,
შეუჭმელი დაგვირჩება
ვალოდიკას ფელიკები...

## იავნანა

იავნანა, ნანასა, ციცქნა, მერცხლის თვალასა,
ცის ნამივით ხალასსა, ღმერთი მოგცემს ძალასა,
ღამის ჩუმი შრიალი ამკობს ვარდის ყანასა,
დაიძინე პატარა, იავნანა, ნანასა.
შუბლს გიკოცნის ნიავი, ოქრო-კალმით ნახატსა,
ღამე ისე მშვიდია, დაეძინა ბალახსაც,
მთვარე არწევს ვერცხლისფერ ვარსკვლავების ჰამაკსა,
დაიძინე პატარა, იავნანა, ნანასა.
ყვავილების სიჩუმეშ წყაროც კი დააძინა,
გული მშვიდად იგულე, სუ, ჩემო პაწაწინა,
ცის ნამივით ხალასსა, ღმერთი მოგცემს ძალასა,
ციცქნა, მერცხლის თვალასა, იავნანა, ნანასა...

## ზამთარი რაჭაში

დაფარულა ალაგე, თოვლი არის იმხელა,
ე, მოყინულ შარაზე ქვე, სად მოიბლიხება?..
ცამ მარაგი სათოვლე სულ ბოლომდე დაცალა,
საცოდავი სათონე ჩეიმხვლევა საცაა...
მოფუზულან ჩიტები, გზებიც დათოვლილია,
ზემოური ბიჭებიც ვეღარ ჩამომივლიან...
ზამთარო, ნუ ამიკლებ, ე, რა ჭირს გადამყარე,
ამ ვერანა სველ ბოტებს თბილ ბუხართან ვამშრალებ...
ცას სიკეთის ნიშანი ანამყოლ არ ეტყობა,
ჩამდგომიხარ კრიჭაში, მეტი რა გაეწყობა,
ორი ფეხის ნაბიჯზე ანზორიკას სახლია,
გული სტუმრად გამიწევს, თითქოს თაფლი აცხია...
ღვინო ქვე აქ ბოცაში, არც ენას არ უგვალავს
და გავმართავთ ორ წამში პატარიკა დუქანას...
სუფრას სულაც არ უნდა დედალა და მოხვერი,
პატარიკა ჭადუკას რავა ვეღარ მოვძებნით...
მაინც ვერ გამაბრაზებ, მთვრალივით რო ირხევი,
ე, მოყინულ შარაზე ქვე სად მოიბლიხები?..

* * *

ამღერებულ ზამთრის დილას
მზერა გაბრწყინებოდა
გადაფიფქულ ნაძვის ხეზე
ციყვი ზღაპარს ყვებოდა...
გული ფიფქებს გამოვაბი,
სიხარულის მთოვარი,
რა ლამაზად თოვდა მაშინ, –
ნუშისყვავილოვანი...

* * *

თეთრი წეროები მესიზმრება,
გზები მერცხლის ფრთებზე
გაფენილი;
ვარდის დაბერილი კვირტებიდან
სითბო, სულის საგზლად
დადენილი...
მინდა, ფეხშიშველამ გავიაროთ
სულ მთლად კაკაბისფერ
ტრამალებზე;
ზღვიდან ამოსული ცისკარივით
ჩუმად მოგეპარო,
დაგათენდე...

* * *

თითქოს ოცნებაც თუთისფერია,
როცა მიხრიან ტოტებს თუთები,
როცა ღიმილით მესალმებიან
და ღიმილითვე ვესათუთები...
გვირილაც მკითხავს დაემსგავსება,
თუმცა კი სათქმელს გულღიად ამბობს,
არ ველოდები მთვარის გავსებას,
მე ახალ მთვარეს ვუგზავნი ამბორს...

## ოღონდ თქვენი ხმა მესმოდეს...

წუხელ მთელი ღამე ქროდა,
აღარ ჩადგა არც ის ქარი,
მე კი შენი ხმა მეგონა,
შენი: არი... არი... არი...
ჩემო ტკბილო, ქსენიუკა,
ხმა მესმოდა ყანის ბოლოს...
ის ქოთქოთი, ბეღლის უკან,
ნეტავ, კიდევ გავიგონო...
წვიმის წყალი წყალს ებმოდა,
თითქოს ქვასაც რაღაც უთხრა,
მე კი შენი ხმა მეგონა,
შენი: ღუტა... ღუტა... ღუტა...
ჩემო ტკბილო, ლიდაუკა,
აღარ ვიცი, რა ვიღონო...
ღორს რო სდევდი წინ და უკან,
ის ხმა მინდა გავიგონო...
ქარს სიმშვიდის რა ეტყობა,
მაგრამ თითქოს არა გვიშავს,
მე კი შენი ხმა მეგონა,
შენი: ბიშა... ბიშა... ბიშა...
ჩემო ტკბილო, ღაღანუკა,
ჯობია, რო არ ვიგლოვო...
რო უყოფდი პურს ცხვარუკას,
ის ხმა მინდა გავიგონო...
ცრემლის წვეთსაც ვეღარ ვზომავ
და ღრუბელიც თვალებს მიწვავს,
მე კი შენი ხმა მეგონა,
შენი: წიპა... წიპა... წიპა...
ჩემო ტკბილო, მაღრაფინა,
მზისგულა და მთვარის სწორო,

ქორი კრუხს რო დააფრინდა,
ის ხმაც მინდა გავიგონო...
ოღონდ თქვენი ხმა მესმოდეს,
თქვენი: არი... არი... არი...
თუნდაც მთელი ღამე ქროდეს,
აღარ ჩადგეს არც ის ქარი...

## რწმენა

თუ შენი ცრემლი
სხვასაც არ უკვირს
და თავსაც თუკი
ვერ გრძნობ დაცულად,
ნუ შეგაშინებს
დროის ქარბუქი,
მაინც ის ხდება,
უფალს რაც უნდა...
თუ დილის ცვარიც
ცრემლს შეერია,
ნუ იტყვი, დრო რომ
წახდა, გაცუდდა,
როცა სევდასაც
რწმენით შველიან,
სწორედ ესაა,
უფალს რაც უნდა...

## ჩემი გემრიელი მოხუცები

ახლა მასლაათით წლებს ირთობენ,
ადრე ყველა იყო მოუცლელი,
მზეზე დამსხდარან და ძვლებს ითბობენ
ჩემი გემრიელი მოხუცები...

ან კი სად ეცალათ დასაჯდომად,
პურსაც წალუკმავდნენ ზეზეულად,
მათ რო წვალება და ჯაფა ჰქონდათ...
თურმე, დასვენებაც შეძლებულა...
კონას მოიგდებდნენ მხარზე უცებ,
თითქოს ჩიტის ბუდეს ეწეოდნენ...
ისე, კაცი მართლაც რამდენს უძლებს,
ყველას უფლის მადლი ეწეოდეს...
...ხელებს უხერხულად აწვალებენ,
სახეს გარიდებენ საკოცნელად,
ღმერთო, როგორ მინდა, არ განელდეს
სითბო, მათ ჩაკეცილ ნაოჭებთან...
– მართალს უნობათ, თუ მასხარაობ!.. –
თან იკვირვებენ და თან გლოცავენ,
მე ისე ვუყურებ მათ, ამავ დროს,
როგორც რაჭის ძლიერ სალოცავებს...
ბევრსაც ვიხსენებ და ბევრსაც ვუსმენ,
სიტყვას არ ამბობენ ჩასაფრებით,
მზით კი, მაგრამ წლებით ვერ გახუნდნენ
მათი ქუდები და თავსაფრები...
ახლა მასლაათით წლებს ირთობენ...
ზოგჯერ ვერ უძლებენ დროს მუხებიც...
მზეზე დამსხდარან და ძვლებს ითბობენ
ჩემი გემრიელი მოხუცები...

## ნეტავ, დამასიზმრა...

ნეტავ, დამასიზმრა შენი თმები,
მკერდზე ჩამოშლილი თავთუხები;
მწიფე პურის ყანის სურნელებით
ნაბახუსევივით გავბრუვდები;

ავბორიალდები მთვარის შუქზე,
ელფებს გამოვიწვევ საცეკვაოდ,
იმდენს ვიცეკვებ, რომ ვარსკვლავები,
მიწას ფიფქებივით დაეყაროს...
ოღონდ, დამასიზმრა შენი თმები,
მკერდზე ჩამოშლილი თავთუხები...

## ოცნება

ისე ამკობს აწითლება,
თითქოს ცეცხლი წაეკიდა
ოცნებების ცისარტყელაც
ზედ ხის წვერზე დაეკიდა...
მერიდება ხელის ხლება
და მე ვიცი, რა ცეცხლიც მწვავს...
მზეს მაცდურად ეღიმება
ბროწეულის მარცვლებიდან...

## თოლიები

შენი სუნთქვა მათბობს ისე,
როგორც სუნთქვა აპრილის,
თოლიებმა გვაპოვნინეს
სიყვარულის ნაპირი...
ერთი ამათ დამიხედე,
ამ პატარა თოლიებს,
სულ ერთმანეთს გვაფიცებენ,
ისე აგვიყოლიეს...
შეგვახვედრა დილამ ისევ,
დილამ გასაოცარმა,
ზღვის ნაპირი ლამის იქცეს

პატარა სალოცავად...
ერთი ამათ დამიხედე,
ამ პატარა თოლიებს,
სულ ერთმანეთს გვაფიცებენ,
ისე აგვიყოლიეს...

## ნაგვიანევი მოსვლა

მზე გუმბათია ცისფერი ტაძრის
და ყვავილების ალერსით ქროლვა;
ქარს მივუტოვებ დროსა და მანძილს,
შენს ფანჯარასთან ლოცვებით მოვალ;
რომ გაზაფხულის პირველი სხივი
ისევ დავანთო ვარდის ცეცხლივით;
დაგიბრუნდები შველივით ფრთხილი,
წარსულით ასე თმაშევერცხლილი...

## რავარუნაა და კარქუნა

ჩემი კერიის საქებარ,
სიტყვას მოძებნა არც უნდა...
ერთს მაინც გეტყვი კაცურად, –
ცოტას მოვუქცევ რაჭულად...
– რო გამოგიცხვე პურუკა,
ხო არ მიწუნებ საფუარს?..
ჩუმად თქმა არ ღირს, ზურგს უკან, –
რავარუნაა და კარქუნა...
ღვინით აგივსე პირამდე
დოქუნაცა და ჩაფუნაც...
ჰოდა, თუ გინდა სიმართლე, –
რავარუნაა და კარქუნა...
რო მოგიხარშე სამყოფად,

ხო არ მიწუნებ კანჭუკას?..
თუკი შეირგებ ამ ყოფას, –
რავარუნაა და კარქუნა...
ცეცხლი აგინთე ბუხარში,
სულ ნეკერჩხალი, ტკაცუნა...
გულით რო გიშლი პურ-მარილს, –
რავარუნაა და კარქუნა...
ჩემი კერიის საქებარ,
სიტყვას მოძებნა არც უნდა...
ერთს მაინც გეტყვი კაცურად, –
ცოტას მოვუქცევ რაჭულად...

## დედა

დედისთვის ლექსი მართლა ცოტაა,
დედაა თავად მზისფერი ლექსი,
ის ზოგჯერ ატმის ნაზი რტოცაა,
ზოგჯერ კი ვაზის ძლიერი ფესვი...
დედისთვის ცრემლი წვიმის მოსვლაა,
ღიმილი მზეა ამ ნაწვიმარზე,
ყოველი სევდა შენგან შორსაა,
როცა კი დედას ხატად იწამებ...
დედა ფიქრია და არმოცლაა,
არა ტაშის და არა ჯილდოსთვის,
დედისთვის ჯილდო შვილზე ლოცვაა
და ეს ლოცვაა მარადისობის...

## დედული

ისე გავედი სოფლის ბოლომდი,
გზამ ამოსუნთქვაც აღარ მაცალა...
როგორ უხდება ეზოს მოლოქი,
ქათამაცა და ქათანაცარაც...
– დიდება შვილო, შენს გამოჩენას, –
შემაგებებდა სიტყვას ბებია...
ისე, ჟაშქვამ რომ ლუკმა შემარგო,
მე არაფერი არ შემრგებია...
თითებზე ახლაც ამდის ის სუნი, –
რა დამავიწყებს ქვიჯას, ქვასანაყს,
ახლაც მახსენებს ქოხი, ფიცრული
ძაფზე ახირხლულ ყვითელ ზაფრანას...
როცა ბებია სუფრას გაშლიდა,
ღვინოს მოსვამდა წვრილი ჭიქიდან,
გემოს კი უფრო მეტად ატანდა
კვახიწელას და შინდიფიფინას...
თეთრ ხორცს რომ თეფშზე გადმომიღებდა,
ვერ დავმალავ და მართლაც მიკვირდა,
გულით რამხელა სითბოს იტევდა,
თვითონ რომ ქათმის ფეხებს წიწკნიდა...
პურს მეც შევჭამდი კვახკაკლებიანს,
სულაც არ მინდა ქათმის ბარკალი,
ოღონდაც, ჩემო ტკბილო ბებია
ერთი ვარია კიდევ დაკალი...
როგორ უხდება ეზოს მოლოქი,
ქათამაცა და ქათანაცარაც...
ისე გავედი სოფლის ბოლომდი,
გზამ ამოსუნთქვაც აღარ მაცალა...

## შენი კოცნა

შენი კოცნა, როცა ბედად,
უცაბედად მეწეოდა,
მე მეგონა, თითქოს ვაშლი
ვარდებოდა კენწეროდან...
ახლა თოვლსაც კი დავუცდი,
ნაგვიანევს და შენათრობს,
ოღონდ, შენი ერთი კოცნა
დამეწიოს და შემაკრთოს...

* * *

შენზე ფიქრში
თავზე დილა დავითენე
და ვარსკვლავებს
გავეჯიბრე, ღამისმთევლებს...
წამოდიო, –
მითხარი და დაგიჯერე,
შენ კი ისევ
შემატოვე მატიტელებს...
ყვავილებით
ისე ბევრჯერ დავიმტვერე,
მათი მტვერი
შემრჩენია ამ თითებზე...
რა ვქნა, თუკი
ვერ დავიჭერ ქარში პეპლებს,
ვინ წამართმევს
ამ პატარა მატიტელებს...

## ბელურები

დათრთვილული თრიმლის ტოტი
დილის მადლს რომ ავანებს,
ციცქნა ჩიტებს რხევა-რხევით,
ფრთხილად შეაქანავებს;
ნამცეცობენ ბელურები
მთლად ნამცეცა ნისკარტით,
ღმერთს მადლობას ვეუბნები
მათი გაჩენისათვის;
ყაყაჩოსფრად სულ ღვიოდეს
ცვრიდან ცვარზე მანძილი,
მზის ამოსვლას უღიმოდეს
ბედი გამოკვანძილი;
უფლისაგან ფრთაშესხმული
სასწაულის ვიწამე,
პაწაწინა ნაფეხურით
ჯვრებს ტოვებენ მიწაზე...

## რაჭაში განაგონი

– შემოუტავე, ე, ღორუკას, შემოუტავე!..
გაულვალავდა და უბჟეოდ დამრჩა ყანუკა...
ხელუკეები ამდენ მარგვლას ვერ აუთავდნენ
და გულიც მართლა შემირღოლა თოხის ბაყუნმა...
ნუთუ, ამისთვის ვიშავდღევე?! ჭირმაც გაგხეთქოთ...
ან, დღემდე მიტომ გავწვალდი და ავფოჟიალდი,
რო კელენწუტა ღორუკეებს სულ ჩაგახეთქოთ
ჩემი ამდენი ნაჯაფი და ნაცოდვილარი!
ისე, მანამდე არ აგიდგეთ გვერდუკეები...
სანამდე უნდა ვდიო, ბეჩა თქვენს გამობეზვას...
სად გაგონილა ასე, ბოშო, ქვე, გასუნელდით?!

თქვენს გადამკიდეს, მოსვენება აღარ მომეცა...
ხელუკეები ამდენ მარგვლას ვერ აუთავდნენ
და გულიც მართლა შემირღოლა თოხის ბაყუნმა...
– შემოუტავე, ე, ღორუკას შემოუტავე!..
არ გავერანდეს და არ წახდეს მთლად ეს ყანუკა...

## მზე შუამავლობს ახლა ჩვენ შორის...

გულში იმედი ჯერ არ ჩამქრალა,
შუბლზე ვიპკურე წყალი ჩვეშურის...
ნეტავ, სულ ასე ჩქეფდეს ხვანჭკარა
და სიყვარულით ვიკლავდე წყურვილს...
ღვინო თუ ქვევრშიც ვეღარ ეტევა,
ძარღვებში სისხლი მოვთოკო როგორ?..
როცა ცისთვალა და მზისტერფება
წყაროზე მიდის ლამაზი გოგო...
როცა მზე ჩუქნის ქარვისფერ მძივებს,
ან თმაზე დასდის წვიმა წანწკარით,
ბაგეს უხდება, უხდება ძლიერ
წითელი ფერი, ფერი ხვანჭკარის...
გული ბორგავს და ისე ხმიანობს,
თითქოს, ძახილი მესმის ჯეჯორის...
მინდა, რომ აღარ დავაგვიანო,
მზე შუამავლობს ახლა ჩვენ შორის...
გულში იმედი ჯერ არ ჩამქრალა,
შუბლზე ვიპკურე წყალი ჩვეშურის...
ნეტავ, სულ ასე ჩქეფდეს ხვანჭკარა
და სიყვარულით ვიკლავდე წყურვილს...

## თუშის ქალი

ირგვლივ მთები, სიმღერები,
დაცვარული მწვადები,
თუშის ქალი, ალვის ტანი
და მზესავით თვალები...
ისე ცეკვავს, ჰაერს აპობს
ატეხილი მკლავებით...
მთვარეც თითქოს გარმონს წელავს
ცივი და ნამთვრალევი...
ირგვლივ მთები, სიმღერები,
დაცვარული მწვადები...

## ფიქრი

ამქვეყნად ნუთუ გავჩენილვართ
მხოლოდ ფიქრისთვის, –
ეს, მერე... ფიქრი ემსგავსება
წყალთა დინებას...
შესცოდავ? ცოდვას სინანულით
გამოისყიდი
და სულ ესაა კაცის მთელი
ავლადიდება...
*

თუ ცოდვა-მადლის გაკითხვაა
მხოლოდ მთავარი,
სასახლის კართან თეთრი ეტლი
ნეტავ, ვის უცდის?..
და ეს პასუხი უადგილო
სულაც არ არის, –
ადამიანი ქვეყნად ჩნდება
სიყვარულისთვის...
*

ხშირად, აღერილ თავთავებსაც

ლამაზად თვლიან,
მე ვამჯობინებ თავთავს მაინც,
მიწისკენ დახრილს,
რადგან სიყვარულს ზეციური
სახელი ქვია
და ცოდვა-მადლიც იზომება
უფლის სიმაღლით...

## მონატრება

როცა წვიმს და გარეთ გულს არ ეხარება,
დროის კარგვა უქმად როცა მენანება,
ძველი წლების გახსენებას რა ჯობია,
თეთრი ცხენი მომაქროლებს ბავშვობიდან...
თეთრი ცხენი ჩემთვის მხოლოდ ოცნებაა,
ჯირითობა არასოდეს არ მიცდია...
წარსულიდან სილამაზე მომყვება და
იმით ვცოცხლობ, რაც აქამდე განმიცდია...
თოვლი იყო თუ მინდორში სიო ქროდა,
ან შარაზე ურმის თვალი ჭრიალებდა,
ამ ყველაფრით მე სიცოცხლე მიხაროდა,
მთვარე ლამპრით ბედის გზაწვრილს მინათებდა...
დღემდე მახსოვს დედაჩემის დედას პური
და თახჩაში შემოდგმული მომცრო დოქი,
მთვარის ცქერით რომ ვიკლავდი მე შენს წყურვილს
და ჩუმ-ჩუმად ღვინოში რომ პურს ვალბობდი...
ნეტავ ახლაც მაგრძნობინა იმ მსხლის გემო,
წურწურით რომ ყელს მიტკბობდა მისი წვენი...
ანდა როგორ დავივიწყო კაკლის ჩერო,
ბებოს ლოცვა და ბაბუას სახლის სხვენი...
ძველი წლების გახსენებას რა ჯობია,
თეთრი ცხენი მომაქროლებს ბავშვობიდან...

* * *

ქვევრის თავზე
აკაცია შრიალებს...
(ისიც მთვრალია...)
სოფლის ბიჭები
წითელ ღვინოს სვამენ...

## ბედის საქანელა

რაც დრო გადის,
დარი ცრემლსაც გამოურევს,
ქარი თუა,
ფიქრი მოაქვს ხეთა შრიალს,
მერე რა, რომ
მოიწყინა კედელყურემ,
გაღმით ჩემი
ოცნებები მეძახიან;
გული რაა,
ერთი ციდა საყანეა,
რასაც დასთეს,
ის მარცვალი გაღვივდება;
ცა ირწევა,
როგორც ბედის საქანელა,
რომ არ ელი,
სწორედ მაშინ გაწვიმდება...

## თაფლისფერ თვალებს...

ისევ აავსეს ცაცხვის ჩაით
მომცრო ფინჯნები
და შეურიეს მზის ნათელი
გამოულევი;

შენს თვალებს ვუმზერ სიყვარულით
და დაჟინებით
და თავბრუს მახვევს მათრობელა
თაფლის სურნელი...
მე გამოვტაცე ცაცხვის ყვავილს
ტკბილი ნექტარი,
თაფლად რომ მესვა ღამეები
ასეზის ნათევი,
არც კი მეგონა თუ ოდესმე
შემოგბედავდი,
შენზე ლოცვაში ჩამომექნა
თაფლის სანთელი...
ზოგჯერ პატარა გულის ძგერაც
იტევს სამყაროს,
როგორც თვალები, ფიჭასავით
რომ აგივსია,
კუპრის წვიმაშიც ფეხშიშველი
რომ გამატარო,
მე მაინც ვიტყვი, –
სიყვარულის თასი მისვია...

## ყვავილების მტვერი

აუ, როგორ მინდა, გვერდით მყავდე,
წელზე გეხვეოდე ვაზის ლერწად,
ზეცაში დავკრეფდი ვარდ-შროშანებს,
გულზე დაგიბნევდი ნატვრისთვლებად...
ქარში მოშრიალე მტრედისფერი,
როგორ გიხდებოდა თხელი კაბა;
სიტკბო, ფუტკრებივით, სიტკბო შევსვით,
მტვერი, ყვავილების მტვერი აგვყვა...

## მენატრება

ბაღი იყო უცნაურად მშვიდი,
ხე არწევდა ბეღურების ბუდეს,
ორივენი ვსველდებოდით წვიმით,
მე გაკოცე, შენ კი გამებუტე...
ნეტავ, რატომ გამებუტე, რატომ?!
ახლა ღამეს სხვაზე ფიქრს რომ უთევ,
ქარს მაინც ნუ შეედრები, კარგო,
ნუ დამინგრევ, ნუ დამინგრევ ბუდეს...
მენატრება ის ბაღი და ის დღე,
კვლავაც ისევ ჩემთან იყო, მინდა;
რა იქნება, ისევ რომ მოხვიდე,
ისევ ისე დაგვასველოს წვიმამ...

## შემოდგომა

ნაზი სურნელი ისე ამკობს
კანდამსკდარ გულაბს,
როგორც ნაკადულს ეს ბავშვური
ლაღი ტიტინი,
ცხოვრებაც აღარ მეჩვენება
მას შემდეგ რთულად,
რაც კი ოცნება ამიფეთქდა
ატმის კვირტივით...
ფრთა ფრთას შემოკრა სიყვარულმა
მტრედის ფრთხიალით,
ასაკის განცდილმა სიხარულმა
ისევ მიწია,
ავის და კარგის განმკითხავი
ახლა ვინ არის,

ცამ ნისლიანი პირბადეც კი
გადაიწია...
უნდა მიენდო შემოდგომას,
მწიფე ქაცვიანს,
არც კი მეგონა ქაცვის სუნი
ქარსაც თუ ჰქონდა,
ამ სილამაზეს გული ისე გაუტაცია,
თითქოს მინდორში ქორმა მწყერებს
ჩამოუქროლა...
ცხოვრება აღარ მეჩვენება
დღეიდან რთულად,
ნაზი სურნელი ისე ამკობს
კანდამსკდარ გულაბს...

* * *

წვერშავი ღამე და
პირთეთრი მთოვარე...
მზერა შინაბერა ქალის...
ზღვისფერი ჭალიდან
ცხვარ-ძროხა მოვლალე...
ვგრძნობდი გაუმხელელ წადილს...
წვერშავებრ ღამე და
პირთეთრონ მთოვარე,
ორთავე მაცდური თვალით...
ქვეშაგებს გახედა
შქერივით მთრთოლარემ,
ოცნებას მოვპარე ქალი...

## ბარდნის...

თუმცა უშენოდ დაზამთრდა,
კვლავ შენზე ვფიქრობ მაინც,
თოვლიან გზებზე დავალ და
გეძებ ოცნების ყვავილს...
მონატრებულო ათასგზის,
გამონათებავ ავდრის...
ეგების კოცნაც მაღირსო,
ისე ლამაზად ბარდნის...

## ფორიაქი

დილას თუ უფრო ვენდობი და საჩემოდ ვირჩევ,
ზოგჯერ ღამეა ისეთი, რომ მასაც გულს ვჩუქნი,
ეს საახალწლო ფორიაქი სევდასაც მიჩენს,
რადგან მუდამჟამ მახსენდება დედის ფუსფუსი...
ისევ განვიცდი და ყურებში თითებს დავიცობ,
თითქოს კრიახით უნდა დაკლან ჭრელი ქათამი,
წითლად რომ ღებავს ფეხდაუდგამ თოვლის სითეთრეს
ნაჯახის პირით შემოხაზულ წრეში ფართხალით...
ცომიც მზადაა, ამოსვლამდე აკლია ცოტა,
თითით სინჯავს და სურს ფიქრებში ამიყოლიოს,
ასე მგონია, კვლავ დაეძებს თახჩაში სოდას,
რომ შეურიოს გასაქმუშვნად შედგმულ ლობიოს...
თონეც გახურდა ცხობისთვის და დროც აღარ ითმენს,
მადის აღმძვრელად გაფარჩხულა კეცზეც ვარია...
ვეღარ ვჩერდები, ბილიკები ლამის გავცვითე,
მომაქვს და მომაქვს, თუკი რამე მოსატანია...
მოსახმარებლად გადმოსულა მეზობლის გოგოც,
ცეცხლი გიზგიზებს და სიმშვიდე გაუქრათ ჭინკებს...
ვუცქერ ქოთანზე შემოგლესილ ლობიოს, როგორც

შოკოლადიან და გემრიელ ნაყინის ბრიკეტს...
კვერცხსაც ისევ ვთქვეფ, ჩამომჯდარი მუხის ჯორკოზე,
სათქვეფელს ვურევ ცილის, გულის გათეთრებამდე...
ამ ფორიაქში მთვარეც უკვე ამოდის ცაზე,
ახალწლის ღამეს რომ დაჰნათის გათენებამდე...
ფიქრმა რომ ასე გამოფინა ეს ძველი ფარჩა,
დედას ვიხსენებ, გარეთ ისევ რეკენ ზარები...
დედა, მითხარი მოსატანი თუკი რამ დარჩა,
ერთხელ კი არა, თუნდ ათასჯერ გაგეგზავნები...

* * *

ვიგონებ ცეცხლში ჩაფერფლილ შეშას,
სურნელს, გვერდდამწვარ დედას პურისას,
ზღაპარს, მონათხრობს გიშრისფერ ღამის,
ჩემი ფიქრების მესასთუმლისას...
ზღვა სილამაზის ლურჯფეროვნება,
რა საოცნებოდ მოჰგავს ცისკრის ფრთას,
წყარომ, ბალახებს რომ ეფონება,
ხილვა მოქარგა, მოაგვირისტა...
დარდი დოლაბად ვერ დააბრუნებს
ამ გულს, უთბილესს ზღაპარკიდობანს,
ნეტავი, პურის ყანებში დამფრთხალ
მწყერებს ვუცქერდე სანადიროდან,
ბლაშუანიდან მონაბერ სიოს
მოსაფერებლად ხელებს ვუწვდიდე
და ნეეთებზე მწიფე მაყვალი
მიმაცილებდეს ძველი დუქნისკენ...

* * *

გამთენიისას,
მთებს რომ თეთრი
ნისლი აუვა,
ასე მგონია, აბოლებსო
ჩიბუხს ბაბუა...

## თქვენ შემოგევლეთ

– სად მიხვალთაო და სად მტოვებთო?! –
წუხს ნამეხარი მუხა ხოტევში...
– მრავლის მნახველო, მუხის რტოებო,
თქვენ შემოგევლეთ დამჭკნარ ფოთლებშიც...
– ასე, სანამდე უნდა გეძახო?! –
დარდი მოაწვა ვენახს სევაში...
– ნაცარს ნუ იყრი რქაზე, ვენახო,
შემოგევლები ბოლო მტევანშიც...
მოვიტოვებდი ყველა ქარს უკან,
მზით გავიკვლევდი ბილიკს მუხლამდე,
ოღონდაც, კიდევ ვუთხრა წყალუკას, –
შენ შემოგევლე ბოლო ყლუპამდე...
– ერთხელ ხო მაინც უნდა დამხედო?! –
ვაშლებს გაუჩნდა ფითრი სადმელში...
– არ გავერანდეთ, ვაშლის ბაღებო,
შემოგევლებით ჭიან ვაშლებშიც...
– ვაიმე, ჩემო თბილო კერაო, –
წყალი შეუჯდა მიწას ჭიბრევში...
– თავი მაინც არ დაიბეჩავო,
შემოგევლები დამსკდარ მიწებშიც...
მოვიტოვებდი კვლავაც ჭირს უკან,

გადავივლიდი ფეხით ზუდალზე,
ოღონდაც, კიდევ ვუთხრა შინდუკას, –
შენ შემოგევლე ბოლო კურკამდე...
– სად მიხვალთათ და სად მტოვებთო?! –
წუხს ნამეხარი მუხა ხოტევში...
– მრავლის მნახველო, მუხის რტოებო,
თქვენ შემოგევლეთ დამჭკნარ ფოთლებშიც...

## დალალე

ჰაი, დალალე, დალალე,
გაფიცებ მაგ შავ დალალებს,
ტრფობით ცეცხლმოკიდებული
შენს წამწამებში დამმალე...
ჰაი, დალალე, დალალე,
წყაროზე ცხვარი ჩავლალე,
თვითონ მზესავით ლამაზო,
მზე გბანდა ოქრო-ტალავერს...
ფრთხილად ჩამოვჯექ ბუჩქებთან,
მაგრამ შენ მაინც დამლანდე,
განა გამიწყერ, მიხმე და
დოქი მასმიე დაცლამდე;
წყალს ვსვამდი, ვითომ მწყუროდა,
არ გაშორებდი თან თვალებს,
გავხელდი, ვეღარ გავუძელ
ემაგ ხორბლისფერ კალმახებს;
დოქი ძირს დავდგი, ჩაგიკარ,
გკოცნე და გკოცნე დაღლამდე...
ჰაი, დალალე, დალალე...

## პეპელაო

პეპელაო, პეპელაო,
ამ ყვითელში მზედ გხედავო,
ეს მზისხელა შენი სითბო
მუჭში ვეღარ ეტევაო...
ჩემთან აღარ დაახანო,
ალბათ, რამდენს გეძებდაო, –
ჯობს შენი მზით გაახარო
პაწაწინა ენძელაო...

## ის ხომ აქ არის

შემოეცრიცა
მიწას ნისლის
თხელი საბანი
და მეც აქ ვდგავარ,
ამ ნისლივით
მიუსაფარი...
მიუსაფარი?!
თუმცა რატომ?!
ის ხომ აქ არის, –
მარტოსულობის
სევდისფერი
თეთრი სამანი...
კიბესთან ახლოს
კვლავ აყვავდა
იასამანი...

* * *

გრძელდება სიცოცხლე
უსიტყვო მითების,
იების გამყიდველის
მიწისფერ თითებში...

* * *

მარტი
ჩემს გულზე
წერს
სევდიან
იეროგლიფებს...
იქნებ, მოხვიდე...

## რაჭის სიყვარულით

გაღმა ღელე და სათიბი...
მზე კი მთის წვერზე წოლილა...
მოდის რიონი დათვივით,
გულზე დარდშემოწოლილად...
სადღაა თოფის გასროლა,
გულგასახეთქად მწყერისა,
ან ფურისულას ანცობა,
ქარმა რო ფრთებზე შეისვა...
თუმც მოინატრეს ჭალებმა,
ნალები ცხენის ფლოქვისა,
მაინც დღეგრძელი დარჩება,
რაჭა, ამდენი ლოცვისგან...
შლეგად რო კვნეტენ ლაგამსა,
კვლავ ვნახავთ ისეთ ცხენებსაც,

ავაბულულებთ ბალახსაც
ცელის ფხით განახელებსა,
კვლავ შეგვხვდებიან ქალები,
დაღლილი მოცვის კრეფისგან,
სულ რო უღიმით თვალები
საყვარლად, თბილად, კეთილად...
მოდის რიონი დათვივით,
ბნელშიც რო გზა გვაპოვნინა...
გაღმა ღელე და სათიბი...
მზე კი მთის წვერზე წოლილა...
თუმც მოინატრეს ჭალებმა,
ნალები ცხენის ფლოქვისა,
მაინც დღეგრძელი დარჩება,
რაჭა, ამდენი ლოცვისგან...

## ზამთარი

დათოვლილ ტყეში
ჩაეძინა
თეთრწვერა ზამთარს,
ტყუილს და მართალს
რომ თოვლისფერ
სიზმრებში ხლართავს...
ჩემს დამზრალ თითებს
შემოუჩნდა
სიცივის მახრა
და მინდა შენი
სიყვარული
მათბობდეს ახლა...

## ყვავილო...

ყვავილო, ვეღარ გამთვალავ,
ვერ გამაწვალებ ფიქრებით,
სიყვარულს როგორ დამალავ,
მაგ მაჯის სიმსხო კვირტებით...
მოდი, უბეში ჩაგისვამ,
ბევრსაც არ დაგაკვირდები,
თუ წითელ კაბას ჩაიცვამ,
ჩემი საცოლე იქნები...

## ზამთარივით

– მოდის ზამთარი?..
– კი არ მოდის, მოიპარება,
და მერე ჩუმად
ჩამოდგება ძელქვის კარებთან,
ვერაფერს ეტყვი,
ადგება და მეტსაც გაბედავს,
მოკლე დღეებს რომ
ფარასავით მთაში გარეკავს,
როგორც აფთარი,
დააკვესებს ორბის თვალებსაც...
შენ მხოლოდ ფურცლებს
ჩამოახევ კედლის კალენდარს...
*
შენ ჩემთან ყოფნა
უფრო მეტად გაგახარებდა...
და მეც არ მინდა,
ზამთარივით ვიდგე კარებთან...

# ღმერთმა გიმრავლოთ შვილუკეები!

როგორც ბალახზე მიშვებულ ხარებს,
აპეურები შევხსენი ფიქრებს...
გულს ეამება, თვალს რომ შევავლებ,
ბილიკი თავქვე კუდს როგორ იქნევს...
გამიყოლიებს ღამის მგზავრივით,
რა ვქნა, სტუმრობაც დამიგვიანდა,
ასე მგონია, რივნის ბღავილში
მოზვერს ხელავენ ნაწისქვილართან...
აქ, წისქვილასთან მეც განმიცდია,
დრო, გაწელილი გარმონასავით
და მეწისქვილეც ვეღარ მიცნია,
თითქოს ეხვია გარს მონაგარი,
არც არავისი ქვეყნად არ შურდა,
არც წუხდა ვინმეს თავგასულობას,
დამსგავსებოდა ბებერ ვაშლუკას,
მზემ რომ იკადრა მასთან სტუმრობა...
ყველა დარდს დაფქულ სიმინდს ატანდა,
თვალით ზომავდა ფქვილსაც სამინდედ
თავის სატკივარს იმით ხატავდა,
რომ უჩიოდა ტიალ ამინდებს...
ამინდი რაა, მაინც ამინდობს,
ცოტა შეცვლილი, რაც მაშინ იყო,
დრომ გინდაც წუთით აღარ დამინდოს,
ის მეწისქვილე თუ დავივიწყო, –
ლოცვას ზედ გულზე მივუკერებდი,
არ გაითვალოს მოშურნეებით...
ღმერთმა გიმრავლოთ შვილუკეები,
ბიჭუნეები... ბოშუნეები...

## ჯვრისწერა

სულ სხვა განცდაა, ქალს როდესაც
ხედავ დედოფლად,
თეთრი კაბით და თოვლზე უფრო
თეთრი მანდილით,
მაშინ დილასაც მოუნდება
თითქოს დედობა
და მოირთვება ისიც კოხტა
პატარძალივით...
მაშინ საღამოც ზეცას სულ სხვა
თვალით შეხედავს,
ჩვეული მზერით, მაგრამ მაინც
ნეფის მსგავსებით,
სულ სხვა განცდაა, მამაკაცი
როცა ნეფეა,
თავაწეული, თეთრ ჩოხაზე
ვერცხლის მასრებით...
სულ სხვა განცდაა ორი გულის
ასე ერთობა
და უფლის მადლთან ზიარება
ხორცით და სისხლით,
ცას მზის სხივები სიყვარულით
გადაეკონა
და ჯვარს იწერენ: მონა ღვთისა...
მხევალი მისი...

## მარიამობა

ღამეს თვალები რომ აუცრემლოს,
ცაზე კვლავ სევდის მთვარე ამოვა,
გულს კი ნუგეშად სურს აუჩემოს

ეს სევდიანი მთვარიანობა...
ყველა შვებას და ყველა სიხარულს
ვხედავ ღვთისმშობლის ნათელ მზერაში...
ღამეც ჩემია, მაგრამ ნუგეში
მაინც მეტია გათენებაში...
ღმერთმა ჩვენს გულსაც ისე უშველოს,
როგორც მზე შველის მთვარიანობას,
მე მოვალ შენთან, მოვალ უსევდოდ
და მოგილოცავ მარიამობას...

## შენი სიყვარული

შენი სიყვარული იმ ვარდად შრიალებს,
მინდვრად რომ დავტოვე, წყაროსთან,
ახლა შენ წინაშე თავს კი არ ვიმართლებ,
მაგრამ ძველი დარდი წამომყვა...
შენი სიყვარული იმ ცეცხლად ბრიალებს,
გულსაც რომ მითბობდა ბუხართან,
ახლა კი ამ სითბოს ალბათ სხვა იჩემებს,
არც ვიცი, ჩემსავით უყვარხარ?..
მაგრამ სიყვარული, ის უფრო წრფელია,
როცა ვარდსაც ანდობ საფიქრალს,
როცა გულს იმედი კვლავაც შერჩენია
და არც ძველი წყენის კვალი ჩანს...
შენი სიყვარული იმ ვარდად შრიალებს,
მინდვრად რომ დავტოვე, წყაროსთან,
ახლა შენ წინაშე თავს კი არ ვიმართლებ,
მაგრამ შენზე დარდი წამომყვა...

## რაჭა – სიცოცხლის სამოსახლო...

რომელი ერთი ვახსენო,
ტყისპირია თუ ახოა,
აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე
სიცოცხლის სამოსახლოა...
როცა მადლია საძირკვლად,
სულიც ერევა დუღაბში,
მზესაც კი შევუერთდები,
სამარადისო ბრუნვაში...
და რადგან ასე განვიცდი
საფლავის ქვათა ქარაგმას,
სიცოცხლის ყველა წამისთვის
შევძლებ სიკვდილის ალაგმვას...
რომელი ერთი ვახსენო,
ტყისპირია თუ ახოა,
რაჭაში ყოველ ნაბიჯზე
სიცოცხლის სამოსახლოა...

* * *

რა გრძნობით მღერალი,
ლამაზი დღე არი;
მაყვალს შემაფერა
შავფერი ტუჩებით,
აღარ მენანება
ნაკრეფი ბუჩქები...
გოდორა მაყვალი
ენაზე იჭყლიტება,
ეკლები მკაწრავენ ძალუმად,
მზე ჭინკასავით იჭყიტება
(ფოთლებში გადამალულა...).

## სიყვარულის თოვლი

ადრე გაზაფხული მახარებდა,
ახლა ზამთრით უფრო ვიხიბლები,
თოვლმა სილამაზე გამახსენა
შენთვის დაკრეფილი გვირილების...
ზამთარს შევეჩვიე ისე,
ალბათ ვერასოდეს დავთმობ,
თითქოს ჩემს მკლავებზე იწვე,
თოვლი სიყვარულით მათბობს...
რა ვქნა, ეს ფიფქები მირჩევნია,
უკვე ოცნებამაც გადამღალა,
ის, რაც გაზაფხულზე მიძებნია,
ახლა მაპოვნინა ამ ზამთარმა...
ზამთარს შევეჩვიე ისე,
ალბათ ვერასოდეს დავთმობ,
თითქოს ჩემს მკლავებზე იწვე,
თოვლი სიყვარულით მათბობს...

## ოღონდ რაჭამ ილორძინოს

წვიმას მინდა შევევედრო,
მიწას სულ ნუ გადარეცხავს,
ასაღებად ერთი ვედრო
მაინც დამრჩეს ჩიტაკვერცხა...
ქარსაც მინდა შევევედრო,
მიწა სულ არ გამოფიტოს,
ყანის ბოლოს მწიფე ხენდრო
ცოტა მაინც გამოვკრიფო...
რა ვქნა, ასე წიო-წიო
ცოტაც უნდა ვიმყოფინო,
ოღონდ, რაჭამ იხაროს და
ოღონდ, რაჭამ ილორძინოს...

## სხვა არაფერი, ცის მეტი

რომ არ მქონოდა ამქვეყნად,
სხვა არაფერი, ცის მეტი,
ამ ცას ერთ ჩიტის აფრენად
მთელ ჩემს სიცოცხლეს მივცემდი...
აქ გულსაც ჩიტის ფრთები აქვს
და ცისკენ უნდა გაფრენა,
მაცოცხლებს ლურჯი მთებიდან
მზის ცეცხლად ამონათება...
ბევრჯერ კი სცადა, აქ მტერმა
მიწა მაინც ვერ გათელა...
ნამდვილად ღირდა გაჩენა
და ისიც... ისიც... ქართველად!
რომ არ მქონოდა ამქვეყნად,
სხვა არაფერი, ცის მეტი,
ამ ცას ერთ ჩიტის აფრენად
მთელ ჩემს სიცოცხლეს მივცემდი...

* * *

მაინც ვერ დამღლის ქარი, აშარი,
ვერ დამავიწყებს იმ ყვითელ კოშკებს,
თავზე რომ მოხსნა მთვარემ თავშალი
და ვარსკვლავებმა კოცნეს და კოცნეს...
მერე რა, ერქვას თუნდაც ნაქარი,
ან, რატომ უნდა რცხვენოდეთ კოშკებს?..
ნეტავ, მეც ვიყო მთვრალი მაყარი
და გაზომებდე დედოფლის ქოშებს...

* * *

გულს ალბათ ისიც ეყოფა,
რაც კი აქამდე მტკიოდა,
უნდა ვისურვო მტრედობა,
ანდა, უბრალოდ – იობა...
ხან ცაში ავალ ოცნებით,
მშვიდად და არა სიურჩით,
ხან კი მზეს გავაოცებდი
ნაზი იების სილურჯით...
მტრედს საოცნებო ფრთები აქვს,
იას ფერი აქვს ლურჯი ცის,
ლექსი არ დამიწერია,
რომ არ მეკითხა გულისთვის...
გული თავისას ეცადა,
ჯობს, ია ისევ იობდეს...
ნეტავ შენ იყო ჩემთან და
გული?.. გული კი მტკიოდეს...

## განთიადი

ნათლობა განთიადის,
საოცნებო მიწვევა...
სხივი თვალმადლიანი
ცის აკვანში ირწევა...
მზეს მირონის ფერი აქვს,
სათნოებით დამლოცი,
ამ ზეცის სადღეგრძელოდ,
ჩემს გულისთქმას გამოვცლი...
მიწის შვებად ანთილან
ლურჯი ია-იანი,
ნაზი ათინათია

და სიტურფე მზიანი...
ნატვრისფერში ღიმილობს
მთის ბალახი რძიანი,
როგორც ლაღი ღიღილო,
ანგელოზის ფრთიანი...
წვიმის წვეთის ღიღინო,
დამილოცე ეს თბობა,
სილამაზის სიმი ხომ,
რა ვქნა, ღმერთად მეცნობა...
სიხარულით, ულევით
ცის კიდეზე შევდგები,
წყვდიადის დამთრგუნველი
სიყვარულის შეგრძნებით...
მზეს მირონის ფერი აქვს,
სათნოებით დამლოცი,
ამ ზეცის სადღეგრძელოდ,
ჩემს გულისთქმას გამოვცლი...

## მომნატრებია

მომნატრებია
ფეხშიშველა გავლა ღელეში,
მწვანე ბალახზე
დილის ნამის ანარეკლება,
ანდა მძივებად
ახირხლული თაფლამტევნების
თვალის ჩაჭუტვა
უცნაურად, გასაგიჟებლად...
მომნატრებია,
ნეეთების ხეთა ჩრდილებში,
ვერჩაუმცხრალი
ის ბავშვური აყალმაყალი,

მაყვლის ბუჩქები
რომ გვხვდებოდნენ ხელგაშლილები
და ენის წვერზე
გვადნებოდა მწიფე მაყვალი...
მომნატრებია,
თუმცა ზოგჯერ დანაწყევარიც,
ცეცხლზე შემწვარი,
მოპარული სიმინდეები,
საფელამუშე
ქვაბთან ღამე განათევარი
და ჩურჩხელებზე
წაცაიცქნილი რბილი წვერები...
რამ გამახსენა
ტკბილი გემო ან იმ ჩურჩხელის,
ამ მოგონების,
სურვილიც რომ არ მაქვს შელევის...
ბიჭუნეებო,
ჭალაზე თუ კვლავ იჩხუბებდით,
მერე რა მოხდა,
კიდევ ერთხელ გაგაშველებდით...
ერთ დაძახილზე
კვლავ გავიქცეთ კაკალეებში...
მომნატრებია
ფეხშიშველა გავლა ღელეში...

## მინდა აქ ვიყო...

ფოთოლმზეობდეს
სიყვარულით გამთბარი ნერგი...
მე ჩემი მყოფნის,
არ დავეძებ სხვაგან ენგურებს;
თეთრად ციალებს,

ცის კიდურზე თვალმნათი ფერი,
თეთნულდს რომ ასე აცისკროვნებს
და ამეფურებს...
ვითარცა ასკეტს,
სანთლის სხივი შვებით აღავსებს,
დაშაშრულ სულში ეს ჰაერი
წამლად იღვრება...
მინდა აქ ვიყო,
არ მიველტვი სხვა მისამართებს,
ვერ გავუძლებდი,
მე სხვა ზეცა დამამძიმებდა...
მინდა აქ ვიყო
ქრისტესისხლას ნაზიარები,
პურის ყანიდან ამოფრენილ
მწყერებს ვუცქერდე;
ეკლესიაში ჩამოვაბა
ვაზის კარები,
ზეფირწვეთებად
დავიღვარო ხოდაბუნებზე...
...სხივებს აქარგავს
ზღვის ფერია ტყეებს ფიჭვიანს,
ილოცებიან მორწმუნენი
ჯვარზე, ზარზმაში...
ამ აღმაფრენას ზეციური
ხატის ხიბლი აქვს
და ივერთ ენა
ანგელოზთა არის ფარფაში...
ბეთანიაში ჩაკირული
სახე თამარის,
ქართული ჩანგის ამღერება
მართლაც სხვაგვარად...

რაც კი მთებია
ამ მიწაზე, ასე ზვიადი,
ნეტავ, სუყველას
თეთრ-ლურჯ მკერდზე გადამატარა...
გაიფოთლება მაგნოლია
მთვარის სარკმლის წინ,
მეთევზე მტკვარში გადააგდებს
ანკესს იმედით...
მე საქართველოს სიყვარული
დამდევს ლანდივით,
ვაზის ლერწებს ვსხლავ,
თუ ჭალაზე არვეს მივდენი...
ფოთოლმზეობდეს
სიყვარულით გამთბარი ნერგი...

## დედის სითბო

როცა ციდან ანგელოზთა ხმა ისმოდა
და ხმაც თურმე იავნანის ჰანგზე მღეროდა,
როცა ქარი ოდნავადაც არ იძროდა,
ქალს დედობა სწორედ მაშინ დაებედა...
ეს მადლია, სიწმინდით რომ ცას ედრება,
განა ოქროდ, სულ სიკეთედ აწონილა,
დღემდე გვათბობს, არც არასდროს განელდება,
რაც კი სითბო დედამ ძუძუდ გვაწოვინა...
ეს გრძნობაა შეუცვლელი და ნამდვილი,
პირველად რომ დავუძახეთ დედას – დე-და!..
იწმინდება ცა წვიმებით გადაღლილი,
მზეშიაც კი დედის ლამაზ ღიმილს ვხედავთ...
ციდან ახლაც ანგელოზთა ხმა მოისმის,
ხმა, რომელიც არაფრისთვის არ გვეთმობა,
ღმერთს მადლობა, უდიდესი წყალობისთვის,
დაილოცოს ძალა ქალის და დედობა...

* * *

დილას ნუგეში
მოაქვს ცვიდანაც,
მაგრამ ნუ გიკვირს,
თუ მაინც გნატრობ,
გული რომ ასე
ერთი ცვიდაა,
როგორ დავტოვო
ფიქრებთან მარტო...
გულს მხოლოდ შენ თუ
მოგაბარებდი,
რომ ყურადღებით
ცოტა გაგეთბო...
უნდა მოვძებნოთ
ჩვენ ერთმანეთი,
რადგან ვერ გავძლებთ
უერთმანეთოდ...

## ღამე სოფლად

მთვარე შემოფრინდა
ღამის ფანჯარაზე,
თვალებს რომ აცეცებს
აქეთ-იქით,
წვრილი ვარსკვლავები
ფიქრის ქანდარაზე
ჩუმად ჩამომსხდარან
ქათმებივით...
ღამე საიდუმლოდ
კვლავაც შეინახავს
მრავალ სიხარულს და

მრავალ ტკივილს,
თუმცა ღამის დარდი,
მზისგან, მეც მინახავს
ხორბლის მარცვლებივით
აკენკილი...
წვრილი ვარსკვლავები
ფიქრის ქანდარაზე
ჩუმად ჩამომსხდარან
ქათმებივით...

* * *

თოვლი
მზის სხივებში
თეთრად
ელვარებს და...
ფეხის დაბიჯება
თითქოს მენანება...
მინდა, შენც
გიხილო
ასე ელვარებით
შენც ამ თეთრ
თოვლივით
ხელდაუკარები...

* * *

ჩრდილი გადაჭრიდა ქუჩას
და შენც ჩასცდებოდი ბზებს,
ჭასთან მოშრიალე თუთა
მხოლოდ შენ გჩუქნიდა მზეს...

დაგინახავდა და შრიალს
მზიანს ჩააქსოვდა ფერს,
თითქოს ედრებოდი ნიავს,
შენც აუჩქარებდი ფეხს...
...ისევ გელოდება თუთა,
ჭასთან რომ დაღლილი თვლემს...
ნეტავ, დრო დაბრუნდეს უკან,
თუთამ კვლავ გაჩუქოს მზე...

## სიყვარულით

რაც კავკასიაში აულია,
ადგილი არ არის დარჩენილი...
სახლი ყველგან ან ვის აუგია,
სხვას ვის უმარჯვია რაჭველივით...
მთის კაცს ერთგულება დაუტოვა,
გული საძმოდ როცა ანადირა,
ხელი სამეგობროდ გაუწოდა
რაჭას დიგორმა თუ ალაგირმა...
მერე გზებიც ბევრჯერ დაიკეტა,
კერძად მოკეთობის საჩუქრთმოდ...
ბევრიც არ მჭირდება მოლოდინი,
როცა მთის რაჭიდან წარსულს ვუხმობ...
ბედმა სიკეთედ რომ ამიჩემა,
რაჭის სიყვარულსაც დავიმოწმებ,
თვალწინ ცოცხლდებიან აჩრდილებად,
კაცებს რაც უვლიათ მამისონზე...
რაც კავკასიაში აულია,
ადგილი არ არის დარჩენილი...
სახლი ყველგან ან ვის აუგია,
სხვას ვის უმარჯვია რაჭველივით...

## სურვილი

თურმე რამდენი რამ შეძლებულა,
თუნდაც სიხარულით ასვლა ცამდე...
მზე რომ სიყვარულის მტევნებს წურავს,
მინდა, შენც ამ ფერად შარბათს სვამდე,
და ეს სიტკბო ისე მოგეკიდოს,
აღარ მოგერიდოს ჩუმი თრობა...
იქნებ, მხსნელადაც კი მოევლინო
ამ გულს, აქამდე რომ ცოდვილობდა...
წვიმაც ბროლის მძივად რომ გეკიდოს,
ლოცვად ეს სიტყვებიც მეყოფოდა, –
მე რომ სასურველი ნეფე ვიყო,
შენ კი მოგესურვოს დედოფლობა...

## დალოცვა

ჩემი სული ღმერთსა ვთხოვე,
ისევ შენთვის რომ მომეცა,
გარდასულთა სული ცხონდეს,
შენ კი ლხენა გქონოდესა...
ვეფერები გულაბისფრად,
მზით დახატულ ორღობეს და...
ჩამოასხი, თუ კაცი ხარ,
ამ ჭიქასაც ბოლომდე ვსვამთ...
ვადღეგრძელებ ყველა ღებელს,
ჭიორელსა და გლოველსა,
მათ სიცოცხლეს შევავედრებ
უფალს, ჩვენსა მწყალობელსა...
დღეგრძელობა და სიმრავლე
მთელ ჩემს რაჭას წილად ერგოს
პურის, ღვინის მადლი ღმერთმა

ჩვენს წინაპრებს მიაგებოს...
ვეფერები გულაბისფრად,
მზით დახატულ ორღობეს და...
ჩამოასხი, თუ კაცი ხარ,
ამ ჭიქასაც ბოლომდე ვსვამთ...

## პატარა ქალო

პატარა ქალო, პატარა ნავით,
როგორც პატარა სათითურათი,
ასე ნაზი და მაინც გულადი,
რომ მიცურავდი, სად მიცურავდი?..
მტევნებს დავკრეფდი ფერით უნაბის
და მარცვალ-მარცვალ დაგიწურავდი,
რომ სადღეგრძელო შენი შემესვა
ან ჭინჭილათი, ანდა კულათი,
ოღონდ სახსოვრად მეც დამრჩენოდა
მზით დახატული შენი სურათი...
პატარა ქალო, პატარა ნავით,
რომ მიცურავდი, სად მიცურავდი?..

## დაგელოდები

დაგელოდები ქუჩის ბოლოს, მწვანე კედრებთან,
რადგან ოცნებას შერჩენილხარ მთვარის ლანდივით,
არც კი მეგონა, დრო თუ ასე გამახელებდა...
და უშენობაც არ ყოფილა თურმე ადვილი...
ვერ ვეგუები ამ სიჩუმეს, ცივს და თოვლიანს,
ზეცამ ფიფქები გულღიად რომ გამოიმეტა,
მესაიდუმლედ ზამთარიც კი ბევრჯერ მყოლია,
მაგრამ როდემდე უნდა ვიყო თოვლის იმედად...
ხედავ, ფიფქები, ჩემს ახლოს რომ თამაშს არ თმობენ,

რა იცი, იქნებ ეს თამაში შენაც მოგინდეს,
მოდი, ვეცადოთ, რომ ის წუთი კვლავ განმეორდეს,
როცა გჩუქნიდი სიყვარულით შენაკრთობ იებს...
მოდი, გავფანტოთ ჩუმი სევდა მორცხვი კედრების,
ავკაფოთ ბინდი უგულო და ასე უსახო,
ცელქ ფანტელებს კი დღეს დავარქვათ თოვლის მტრედები
და მერე გულებს სიყვარულად კვლავ შევუსახლოთ...
აბა, ქარებმა სანუგეშო რა უნდა მითხრან,
გარეთ კი არა ზოგჯერ სულშიც უაზროდ ქრიან...
მე წასვლის მიზეზს, გეფიცები, არასდროს გკითხავ,
რადგანაც წასვლას მონატრების სახელიც ჰქვია...

* * *

ვარდკაჭაჭას ლილისფერი კაბა
შენს კოხტა ტანს მოარგესო თითქოს,
მე გითხარი: – პეპელას რომ ჰგავხარ,
მომეხვიე, ქარმა არ წაგიღოს...
შენ კი მორცხვად გაიწიე გვერდზე,
მეტი, აბა, რა უნდოდა ქარს და...
როცა ურცხვად შემოგისვა მხრებზე,
ცას უეცრად ცრემლის წვეთი წასკდა...

ხიდიკართან

ღორთჩოღორთ ბილიკ-ბილიკ,
გზად მთები და ბეწვის ხიდი...
ხიდი გზად და ხიდი კარად,
გულზე გადის ხიდიკარად...
ღორთჩოღორთ ბილიკ-ბილიკ,
გზაზე ერთი გოგო მიდის,
გამოჩნდება მალე ბიჭიც,

ვერ დაიტევს ზეცა სიცილს...
ღმერთმა მისცეთ იმის ნიჭი,
რომ გაყარონ გზიდან ბინდი
და შენ, ჩემო ხიდიკარო,
გერქვას სიყვარულის ხიდი...
ხიდი გზად და ხიდი კარად,
გულზე გადის ხიდიკარად...

## კვლავ სიყვარულზე

დიდი ხანია,
შენს ქუჩაზე არ გამივლია,
ან რა ხიბლი აქვს
ქუჩას, სადაც აღარ მელიან?!
მე ახლა ღამეს
ვეფერები სულმთლად წვიმიანს
და სიყვარულთან
სინანული არაფერია...
გადამერია
ყველა ფიქრი, გადამერია,
მე ამ ღამეში
მარტოობით ისე გავხელდი,
ამ წვიმის წვეთებს,
ჩემს ცხელ შუბლს რომ ეფერებიან,
ვით ზღაპრულ კვიცებს
სიყვარულით ვიცი, გავხედნი...
ტკივილს ვამხელდი
მე ყოველთვის, მაგრამ ამაოდ,
შენი თვალები
სხვა სამზეომ დაისაკუთრა
და როცა მთვარემ
კვლავ გაშალა დარდის მარაო,

მეც მთვარეს შევრჩი
ასე ცივად და ასე უბრად...
შენ ასე გსურდა,
რადგან აღარ გეცალა ჩემთვის,
დაშლილ ღობეზე
ხავსმა ნახა თავის საუფლო,
მაგრამ თუ ერთხელ,
ერთხელ მაინც ერთმანეთს შევხვდით,
რაც იყო, იყო,
სიყვარულზე კვლავ ვისაუბროთ...

## ჭიაკოკონა

უცნაურ განცდით აიფოფრება
ზეცა – იისფერ სიმთა მოკონვა...
ანთია მთრთოლავ ღამის ოცნებად
გვიმრის ფოთლების ჭიაკოკონა...
დილა ცინცხალა და ნუშისგულა,
გაიფურჩქნება ვარდის კოკორად...
ანთია მთრთოლავ ღამის ოცნებად
გვიმრის ფოთლების ჭიაკოკონა...

## ერთმანეთს შევეფერებით

მინდორში ჭიამაიამ
ყვავილზე ნამი რომ ნახა,
ვიცი, ისეთი დარია,
გზას შენკენ ისევ მოვნახავ...
გვირილას ვთხოვ და საკაბეს
შეგიმკობს იმგვარ ფერებით,
ნეტავი დღესვე გნახავდე,
ერთმანეთს შევეფერებით...

ჰგავს სიყვარულით შელოცვას,
სიტყვებს ჩურჩულით რომ ამბობ,
ცა მერცხლის ფრთებით შემმოსავს,
რომ უფრო მალე მოგაგნო...
გვირილას ვთხოვ და საკაბეს
შეგიმკობს იმგვარ ფერებით,
ნეტავი დღესვე გნახავდე,
ერთმანეთს შევეფერებით...

## მთლიან საქართველოს ვლოცავ

გული ისე მერჩის სიკეთისთვის,
მე რომ ჩიტის ფრთები მომცა,
ფრთებზე ავისხამდი მძივებივით
წითლად შეთვალებულ მოცხარს...
მზე რომ ცისარტყელას ქსოვს ფერებით,
რომც არ შევედარო ფრთოსანს,
მაინც გადავწვდები მოფერებით
ამბროლაურსაც და ონსაც...
ფეხით ავირბენდი ხიხამთაზე,
გული რიონივით ბორგავს,
ენით აუწერელ სილამაზეს
კვლავაც შევასხამდი ხოტბას,
მზის სხივსაც შევკრავდი ნინოს თმებით,
გულსაც დაგიდგამდით ხონჩად...
როცა მრავალძლიდან ვილოცები,
მთლიან საქართველოს ვლოცავ...

## მრავალჟამიერ

გული ხომ ისევ იმღერებს,
სულ რომ თოვლივით ვდნებოდე...
მე მაინც ყელს მოვიღერებ,
თუნდაც არ მემღერებოდეს...
ქართლის მინდვრებს რომ ფერი აქვს,
ცითაა ნასულდგმულები,
აქ ყვავილებიც მღერიან
და ერთად ვგაზაფხულდებით...
დიდხანს ვერ გაძლებს ღრუბელი,
ვარდს ისე ეტრფის ბულბული,
ხარსაც არ უმძიმს უღელი,
ტკბილად ღიღინში ურმულის...
კახეთში ვაზის ტირილი,
ზღვა სიხარულის ბრალია,
აფეთქებული კვირტივით
მზის გულში დანაბადია;
გაიხარდე და იცოცხლე,
ნერგო, სიმღერით დარგულო,
მრავალჟამიერ ისმოდეს
„ოროველა“ და „ჩაკრულო“...
იმერეთს უნდა გადასწვდეს
ქართული ჰანგის სისავსე,
აქ მთა რომ ნიავს დაარწევს,
იმ ნიავს ღმერთად ვიწამებ,
გზა რომ მიიწევს იქითკენ,
სადაც მხარეა ზღაპრული,
კეთილ სტუმრადაც მიმიღებს
და გამაცილებს „მგზავრული“...
რაჭაში ყოფნას რა ჯობდა,
როცა ტყეს თეთრად ათოვდა,

ქარიც თუ დანავარდობდა,
მე კვლავ „რაშოვდა“ მათბობდა...
ასე ჩონგური აეწყო,
აკვნესდა „აშო ჩელათი“,
მინდოდა ლექსად დამეწყო,
სიმღერად ამოვფერადდი...
გულო, ან ნეტავ სად იტევ
ამდენ ფერს, თვალას რომ ვერ მორჩი...
რაც კი ვარდები დავკრიფე,
აყვავდნენ სამეგრელოში...
გურიის მთების მხრიდანაც
ნიავს რომ მოაქვს სიგრილე,
დედის ცრემლივით წმინდაა,
ვიგრძნობ და გადამიბირებს,
თითქოსდა ხელსაც გადამხვევს,
მომწყურდა როგორც წვიმა ხნულს,
ალერსს სუნთქვაში ჩაახვევს
და თან დაარქმევს „კრიმანჭულს“;
ეს ხმა უეცარ ნაპერწკალს,
ან გასაოცარ ყვავილს ჰგავს...
ცაზე მთვარეც კი აცეკვდა
აჭარულ განდაგანისგან...
მზე რომ ამოვა, ვიფიქრებ,
ამირანს ახსნეს ბორკილი,
ხმაში კი არა, სისხლში ჩქეფს
„ლილე“ და „შინა ვორგილი“...
გაიზარდე და იცოცხლე,
ნერგო, სიმღერით დარგულო...
მრავალჟამიერ ისმოდეს
„თროველა“ და „ჩაკრულო“...

## ის გაზაფხული

თუმცა შორსაა უკვე ჩავლილი
ის გაზაფხული, აქ რომ გალობდა,
მომნატრებია ზღვა და ნაპირი
და თოლიების ამორძალობა;
იმ ლამაზ სათქმელს, მთვარე რომ იტყვის,
გავიმეორებ მეც თვინიერად,
როგორ არ მინდა დაერქვას ტკივილს,
უკვე ნამღერი გედის სიმღერა...
კვლავ მინდა, შენთან ერთად რომ ვიყო,
იქნებ დაბრუნდეს ის, რაც წავიდა
და თხილის გული ჩვენც რომ გავიყოთ,
მოდი, დავიწყოთ ისევ თავიდან...

## ცა სინანულით არ იზომება

ლოდინით ზოგჯერ რტოც კი ხმებოდა...
და სინანული ზედვე ეტყობა...
შენ ვარდად ყოფნა მოგიხდებოდა
და არა ვარდის მწარე ეკლობა...
თუმცა ღრუბელი ისევ ღრუბელზე
ზოზინით, მაგრამ მაინც ეწყობა,
მე ზამთარშიაც გაზაფხულს ვეძებ
და ვერ ვპოულობ... რა გაეწყობა?..
ღრუბელსაც მისი ხიბლი უხდება,
ცას რომ ფიქრადაც შეეფერება,
მაგრამ თუ ქარმა წამოუბერა,
ცასაც და... ალბათ, მეც მეშველება...
მაინც ვიპოვი ვარდს სამაისოს,
ვერ შემაშინებს ღრუბლის ზმორება...
მზე სილაჟვარდით როცა ხალისობს,
ცა სინანულით არ იზომება...

## სევდისნაირი

შემოაცვდა ღამეს მთვარის მოსასხამი,
ძველ სენაკში შეხიზნული ბერივით;
ქარი ზმუის გაბერწებულ ძროხასავით,
დავიღალე ე, ხბოუკას დევილით...
დედა, ბოშო, გაგარეგნდა ე, ტიალი...
გულიც ვეღარ დავიგულე საგულეს,
თითქოს წვიმა კი არა და ცრემლი დასდით
ობობებით გადალამბულ საგდულებს...
ტყეში ვეძებ თვალჩაუკრავ მოცვის ღიმილს,
ჩემი გულის სანუგეშოდ მოგზავნილს,
გზას გავყურებ უსახლკარო მოცლილივით,
დამრჩა ჭური ისევ დაუგოზავი...
მოლოდინმა დამახვია ტარაბუა,
ბაწარს ვქაჩავ, ხბოს სიურჩით მოღეჭილს;
ყელზე მადგას, თითქოს ბედის საფასურად
პურის გულში გაუხსნელი კორმეჭი...
კოდიწყალზე, მარილნალოკს, ვალბობ წყურვილს,
ცა გადმოჰფენს მზისგან დაწნულ ლოკონებს;
ბავშვობა კი, ბოხჩასავით გამოკრული,
უპატრონოდ მიდევს ურმის კოფოზე...
მოგონება ნელა ხრჩოლავს გოგირდივით,
ეს ღვინუკაც ვერ გავწმინდე ფკისაგან;
მაგრამ მაინც გადავდივარ ღობის იქით
და ქვას ვაწერ დავიწყებულ მისამართს...
კვერცხს თუ ისევ აღარ ვახლი რქაზე ხარებს,
ფიქრი მაინც ილეწება კალოზე;
ქვე, სად ვდიიო დღეებს, ფიქრში ნახვანხვალებს,
ცეცხლთან ვიშრობ ტალახიან კალოშებს...
შემოაცვდა ღამეს მთვარის მოსასხამი,
ძველ სენაკში შეხიზნული ბერივით;
ქარი ზმუის გაბერწებულ ძროხასავით,
დავიღალე ე, ხბოუკას დევილით...

## შემოდგომის სურათი

წითელ ხალიჩაზე
არასდროს გამივლია,
არც ტაში დაუკრავთ და...
არც მიდარდია...
მე ჩემი პოდიუმი გამაჩნია,
ის ერთი პატარა ქუჩა,
სადაც სევდიანად დავაბიჯებ...
ფოთლების ხალიჩაზე...

## მამულს

სიწმინდით ვუქე ცის სიმსუბუქე,
მიწის სიმკვრივე მამულს;
ის წვიმით უკმევს სინაზეს უთბესს,
ნიავს, ჰამაკად გაბმულს...
გულში რომ ჩაგიკარ, ნუ შიშობ, კარიკარ
არ ვივლი, ვერ დავთმობ ამ ხევს;
უძირო ზღვისებრო, შუქს იმკობ ისე რომ,
თვით ჩეროც სიყვარულს ამხელს...
ფიქრებს რომ არხევ, სხვას ვერც კი ვამჩნევ,
მხოლოდ შენ ერთს და გამჩენს...

## ნისლიანი რაჭა

ნისლი რიონის ნაპირიდან
როცა ღრუბლებს მისწვდება,
დაღერღეტობს ბატივით და
გლახათ დეიბნისება...
ზოგჯერ ფიქრიც ამჩატდება,
გზად რომ წვება ნისლებად,
თუმცა გული აზარფეშად
კვლავ სიკეთით ივსება...
კატაიც თავის კვალზე დადის,

მაგრამ ვერ ცვლის ღვთის ნებას...
რას დააკლებს ნარ-ეკალი
ცის და მიწის ღირსებას...
როცა მზე კვლავ ასე მზეობს,
ნისლი რაღას ირჯება?..
რა ტყუილად დაღერღეტობს,
რავა დეიბნისება...

## საქართველოს

მე რომ შემეძლოს
და მთებს წვიმად რომ გადავევლო,
წვეთისწვეთობით
დავივლიდი მთელ საქართველოს,
შევერგებოდი
ნორჩ ბალახსაც დედის რძესავით,
ყაყაჩოს თასით
ნედლი მიწის სურნელს შევსვამდი,
მერე ნაკადულს
ჩემს ნამღერზე ავაცეკვებდი,
დავუსველებდი
ვარდსაც კაბას, მზისგან შეკერილს,
ავაცრემლებდი,
თუმცა ტირიფს, ღონეგამოცლილს,
ძლიერ უხდება
შეუმშრალი, წვიმის ნაკოცნი...
მე რომ შემეძლოს
და მთებს წვიმად რომ გადავევლო,
წვეთისწვეთობით
დავივლიდი მთელ საქართველოს...
და თუ ამასაც
ვერ შევძლებდი, მერე რა მოხდა,
ეს ერთი ნატვრა
უნებურად, თუკი წამომცდა...

## ვაითუ, შევცდი...

ყველა თავის გზით
სადღაც წასულა,
მე შენზე ფიქრებს შევრჩი,
ნაგვიანევმა
ამ გაზაფხულმაც
ვერ მოიცალა ჩვენთვის...
მინდოდა ისევ,
მინდოდა მეთქვა,
ბოლომდე მაინც ვერ ვთქვი,
ახლა კი როცა
ასე შორსა ხარ,
ვდარდობ, ვაითუ, შევცდი...

## ხიხამთა

სიყვარულად ცისგან ჩანაფიქრები,
თავზე ნისლი წამოადგა ხიხამთას,
არც პირველი და არც ბოლო ვიქნები,
ვინც ამ სითბოს გულისგულში ინახავს...
მთას ამშვენებს ნისლის თეთრი ნაბადი,
როცა მხრებზე წამოისხამს დილიდან,
მე კი თვალებს ნისლივით რომ ვნაბავდი,
ერთ სიცოცხლეედ სწორედ ეს მთა მიღირდა...
მზისგან ბევრჯერ გაილია, მინავლდა,
მინდვრებშიც კი გაიშალა ფთილებად,
მაგრამ ნისლი ვერ ელევა ხიხამთას,
დედასავით თავზე ეფოფინება...
სიყვარულად ცისგან ჩანაფიქრები,
ნისლი ისევ წამოადგა ხიხამთას,
არც პირველი და არც ბოლო ვიქნები,
ვინც ამ სითბოს გულისგულში ინახავს...

* * *

მოფრინდებოდი ჩემთან ყოველდღე,
როგორც პატარა ჩიტი წყაროზე,
მე ჩემი გული შენ გიწყალობე, –
ერთი პატარა, ლურჯი სამოთხე...
ახლა კი, კბილებს ვაჭერ ენაზე,
რომ სამდურავი აღარ წამომცდეს...
მე შენ ოცნება გაგიფერადე,
შენ კი სიჩუმით ისევ მაოცებ...
ჩემმა ხელებმა ბევრჯერ შეგასვეს
წყარო ანკარა, ბროლის სურიდან,
დაცლილი სურაც ბევრჯერ შევავსე
და ხელში შემრჩი მხოლოდ სურვილად...
მოფრინდებოდი ჩემთან ყოველდღე,
როგორც პატარა ჩიტი წყაროზე
ეს ჩემი გული რომ გიწყალობე,
არ ვიცი, მწყინდეს, თუ მიხაროდეს...

* * *

პეპელას ფრთაზე დახატულ მთვარეს
ვეძებ და დარდებს წიგნივით ვკინძავ...
ფიქრს ნახირივით მივდენი გარეთ
და მენახირის სიფრთხილით ვიცავ...
უნდა ვიპოვო ყვავილი უცხო,
ამ ულამაზეს ყვავილთა შორის,
თორემ სად ვდიო პატარა, ურჩ ხბოს,
სხვის იალაღზე სარბენად შობილს...

## რაჭველ ემიგრანტს

*ვუძღვნი ქალბატონებს: ნარგიზი გრძელიშვილი-მაისურაძეს, ნანა მაისურაძეს და თამარ ჩიხრაძეს*

დიდი მიხვედრა სულაც არ უნდა,
რა მონატრების სევდაც გწვევია...
ბაჭულებს ახლაც აცხობს ბაბუდა
და ძროხაც ისევ მოსაწველია...
მოსაფერებლად რტოებს გიწვდიან
კოპიტი, ძეწნა და უთხოვარი...
კალოკარს იქით ისევ გიცდიან
რივნის ჭალები, ნაღუდოვარი...
გვალვების მერე ეგებ გაწვიმდეს,
მაგრამ ხდება, რაც მოსახდენია...
ბაბუა ქათმის დაკვლას აპირებს
და ჭურიც ისევ მოსახდელი აქ...
ღმერთო, მიმრავლე მონაგარიო, –
იტყვის და დოქებს გვერდით მოიწყობს...
ეს ხსოვნაც ლხინში უნდა გარიო,
პურჩალბობილი ღვინო – ბოღლიწო...
ისევ ჩამოფქვავ სიმინდს წისქვილში,
ოღონდაც ფიქრი არ გაგიხუნდეს...
მზეს ამოიყვანს მამლის ყივილი
და რაჭაც გულში კვლავ ჩაგიხუტებს...
დიდი მიხვედრა სულაც არ უნდა,
რა მონატრების სევდაც გწვევია...
ბაჭულებს ახლაც აცხობს ბაბუდა
და ძროხაც ისევ მოსაწველია...

## წაწალი

ვერ ავიხდინე სურვილი,
მზემ შიშველ მხრებზე დამცა
და ერთად ყოფნის წყურვილი
მეც მაწუხებს და ცასაც...
იქნებ, ვინმემ თქვას, ზეცისკენ
ხელი თუ როგორ წამცდა...
მე ღრუბელივით ვერ ვიწყებ,
რა ვქნა, ხევდახევ წანწალს...
ბედს ქედი არ მოვუხარე...
მზე ცას უკოცნის ნაწნავს...
შორიდან ვეტრფი მწუხარე,
მზისგან წართმეულ წაწალს...

## კესანე

როცა მზის სითბოს სხივები
ცის სილურჯეში კემსავენ,
მე შენ სიყვარულს გპირდები
და არა ცისფერ კესანეებს...
არ ვნანობ გრძნობას გამხელილს...
სულში ნაპერწკლად კვესავენ, –
ეს რა ძალა აქვთ ასეთი
ამ პაწაწინა კესანეებს?..

## მთვარის საყურე

ვარსკვლავებს ისე
გადავეკიდე,
ბოლოს მაჩუქეს
მთვარის საყურე,
მერე კი თვალი

დავადგი კვირტებს,
მაგრამ ვერაფრით
დავისაკუთრე...
კვირტებმა ჩემთვის
აღარ ისურვეს
გულის გახსნა და
გადედოფლება,
მე კი ვფიქრობდი,
მთვარის საყურე
მოუხდებოდა
ვარდის ფოთლებსაც...
დღეს ზღვა იჩემებს
სასურველ ნიავს,
ხელმოცარული
კვლავ ზღვას გავყურებ...
ჩემს გულში სევდის
ქარები ქრიან,
ზღვაში კი ბრწყინავს
მთვარის საყურე...

## ღმერთი გიშველის, თუ დაბრუნდები...

**სოფლიდან წასულ რაჭველს**

ის კი არ მინდა, ჭკუა გასწავლოთ,
ცხოვრება ალბათ, უფრო ბრძენია,
ტვინი რაც უნდა ბევრი აწვალოთ,
ის მოხდება, რაც მოსახდენია,
მაგრამ სურვილი, ხომ შეიძლება,
ისე გამოვთქვა, რომ არ მიწყინოთ...
და კვლავ სევდიან კითხვად დაისმის, –
წისქვილი რატომ აღარ წისქვილობს?..
რატომ არ ისმის ღია ჭიშკარში

ბებოს დალოცვა შაქარმოყრილი
და ვარდისფერი დილა ცისკარში
არ ითქვიფება გოგლიმოგლივით...
რატომ დამწიფდა ბალი ღობესთან,
დაუკიდებლად ყურზე კუნწულის,
რატომ მიიღო სახე სოფელმა
უკაცრიელი უცხო კუნძულის...
სად დაიკარგა თეთრი ხომალდი, –
ბავშვობის წლების ბედის წადილი?..
დროს ვარსკვლავებით როცა ზომავდი,
სულ სიყვარულით იყო განცდილი...
ბოსლის წინ რატომ აღარ ბღავიან
ის მეძუძური შვინდა მოზვრები,
ხიხამთასავით, ეს რა ხანია,
მხოლოდ ნისლებით რად იმოსები?..
ისევ მომაწვა გულზე ნაღველი
მიტოვებული უდაბურების,
მაგრამ, იქნება ალბათ საშველიც...
ღმერთი გიშველის, თუ დაბრუნდები...

## დედა, წყალი მინდა...

– დედა, წყალი მინდა...
ისევ გაგიხსენე,
თუმცა შევიცვალე
ბევრჯერ საწოლები,
ხელით ახლაც ვსინჯავ
და იმ ჭიქას ვეძებ,
ღამის სიბნელეში
წყალს რომ მაწოდებდი...
მაშინ არც ვფიქრობდი,
ძილსაც თუ გიფრთხობდი,

არც შენ ბრაზდებოდი
ჩემი უმწეობით...
უკვე, აღარ ვიცი,
როგორ გადავიტან,
მე რომ წყურვილი მკლავს
ახლა უშენობის...

## ოღონდ რაჭაში მამყოფა

არ ვინატრებდი დათვობას
და არც გაჩენას არწივად,
ოღონდ რაჭაში მამყოფა,
თუნდ პატარიკა მაჩვინად...
ქერს ვიკმარებდი საშყოფად,
გულმაც მხოლოდ ეს ისურვა,
ოღონდ რაჭაში მამყოფა,
თუნდ პატარიკა კვიცუნად...
ჩავიმუხლებდი წყაროსთან
და წყალს დავლევდი ყლუპებად,
ოღონდ რაჭაში მამყოფა
ან წვიმად, ანდა ღრუბლად...
ამ სიყვარულით, ულევით
რას აღარ შეწვდა ოცნება,
ყველაფერს, მართლაც უკლებლივ
ძალუძს სიცოცხლის მოცემა...
და ამ სიცოცხლის შეგრძნებით
სხვა ნატვრა ან კი რად ჩნდება?..
მთავარია, რომ შევძელი
კაცად ყოფნა, თან... რაჭველად!

## სათესლე მარცვალი

ქარის ფრთაზე იშლებოდა
ყანა, სულ მზით სამკალი,
მე ყაყაჩოს შევეკედლე,
როგორც მიუსაფარი...
ვინც დათესა პურის ყანა,
მომკითაც ის მოიმკის...
მე ის მიკვირს, შორს რომ ხარ და
ჩემი ცრემლი რომ გიკვირს...
მიწამ მართლაც მოიხდინა
ყანის მწვანე თავშალი,
ჩემს გულში კი კვლავ გაღივდა
სათესლე მარცვალი, –
ნეტავ... ნეტავ... ეს რამდენი
ფიქრი ამიბოგინდა...
გული დამწყდა, პურის ყანაც
რაღაცით რომ მჯობნიდა...
ქარის ფრთაზე იშლებოდა
ყანა, სულ მზით სამკალი,
მე ყაყაჩოს შევეკედლე,
როგორც მიუსაფარი...

## ისევ ქალი

ის ლამაზია, ლერწამივით
ტანაშოლტილი,
მერე კი... მერე, ქმარ-შვილსაა
გადაყოლილი,
რაღაც ძალა აქვს უხილავი,
თანდაყოლილი...
აღარ აშინებს სიტყვა, ცუდად

წამოსრთლილი...
სახლს დასტრიალებს, როგორც ბუდეს,
იცავს ქორივით...
ის ლამაზია, ლერწამივით
ტანაშოლტილი...

## წავალ რაჭაში...

ფეხითაც რომ მომიწიოს, მაინც წავალ,
მიწის მადლი რაჭამ ისე მაგრძნობინა,
გეფიცებით, ჩაქაფულს და კაი მწვადსაც
მირჩევნია ჩემი რაჭის კარტოფილა...
გული ბევრჯერ რაჭაში რომ მტრედად იქცა,
ამ სურვილმა ახლაც ისე მომიარა,
გეფიცებით, ჰამბურგერს და ყველა პიცას
მირჩევნია ჩემი რაჭის ლობიანა...
საქართველოს სილამაზე აბა რაა,
უამცაოდ, უამმზეოდ, უგვირილოდ,
გეფიცებით, ყველა ვისკს და ყველა არაყს
მირჩევნია ჩემი რაჭის ჭურის ღვინო...
რა მადლიც აქვს კარტოფილას, ლობიანას,
იმ სიკეთით ჭურიც ბევრჯერ დაიცალა...
მიწის ყადრი რაჭამ ისე მაგრძნობინა,
ფეხითაც რომ მომიწიოს, მაინც წავალ...

## გელოდები

წახვედი და აღარ ჩანხარ, რა ხანია,
სიზმრებში კი ჩემთვის ისევ მეორდები,
აი, უკვე, მერამდენე ზამთარია,
თოვლთან ერთად შენს მოსვლასაც ველოდები...
თუმცა გული ძველებურად ფორიაქობს,

ღამეს მაინც ვეღარ ავცდი თავქარიანს,
ჩემს ეზო-კარს მონატრების ფიქრი ათოვს
აი, უკვე, მერამდენე ზამთარია...
ჩუმი სენი შემპარვია ნაადრევი,
ასე თეთრი, უყვავილო გობელენის...
ნუ იჩქარებ, გულო, ჯერ ნუ დაზამთრდები,
დრო კვლავ არის თუნდაც, თოვლში მოფერების...

## ერთად

თუკი ზამთარს ოდნავ მაინც ვეგუები
და ფიფქებსაც გულში ვიკრავ ნება-ნება,
ეს იმიტომ, რომ პატარა ბეღურები
ახლაც ისე ჟივჟივებენ ჩვენს ფანჯრებთან,
როგორც მაშინ, როცა მხოლოდ უფლის ნებამ
ორი გული სიყვარულით შეაერთა,
ბეღურებიც თითქოს იქცნენ გულთმისნებად
და ჩვენც ყოფნა მათთან ერთად დაგვებედა...
თოვლი ვერ შლის შენს სანატრელ ნაფეხურებს,
ჩვენი ფუძეც ჩიტის ბუდედ ცამ დაფერა,
რა კარგია, რომ ერთად ვართ და ბეღურებს
არ აფიქრებთ სხვა ქვეყნებში გადაფრენა...

## ღმერთო, რაჭა არ მანახო უხალხო...

ისევ თეთრი ენძელები ამოსულან,
გზაუკაქვეშ, რივნის ტალღით ნაკოცნი...
– ავტობუსი რა ხანია არ მოსულა, –
წუხს ბუჩქებში დამალული „კალოში“...
მოვა, აბა, ქვე რას იზამს ეგ ვერანა,
დაკარგული კვლავ ყოფილა ნაპოვნი...
კაცს ბოლომდე არ გაწირავს ეს ქვეყანა,

გამოჩნდება ი, „კალოშის“ პატრონიც...
ერთად ბევრჯერ უზელიათ ტალახები,
ოლეებში ცხვარუკაზე დევილით...
ახლა გზასაც მორევია ბალახები,
წყაროს თავში წამომჯდარი დევივით...
პატრონმა რომ კვლავ მიაგნოს ი, „კალოშებს“,
ცისკენ ხელებატოტილი უფალს ვთხოვ...
აქ, ბულბული ისევ ისე იგალობებს...
ღმერთო, რაჭა არ მანახო უხალხო...

## მამაჩემი

მამაჩემს საჭრეთელი არ ჰქონია
და არც აუგია დარბაზები,
ამაზე ჯავრიც კი არ დამდგომია
და არც ცხოვრებაზე ვბრაზდები;
არ ვიცი, რატომ უნდა დავიჩივლო,
ხარი თუ არ ჰყავდა ცხრა უღელი,
მისთვის ხომ საჭრეთელი მკლავი იყო,
მკლავი, დღენიადაგ დაუღლელი;
შრომაში მერამდენედ დაიღამა,
ლამის დაიღალა თიბათვის მზე,
ის როცა რძიან ბალახს გათიბავდა,
მთვარე ნებივრობდა იმ ნათიბზე...
მე მისგან წყენა რაა, არ მიგრძნია,
თუნდაც სატკივარი შეგესია,
სინდისი ეყოფოდა მას ბიბლიად,
გულს კი ატოლებდა ეკლესიას...
მამაჩემს საჭრეთელი არ ჰქონია
და არც აუგია დარბაზები...
ყოველგვარ სიმაღლეს მირჩევნია,

როცა შენი საქმით ამაღლდები...
ყოფნას კი, ზოგჯერ სითბოს გადანაჩვევს,
თუკი უწერია გადარჩენა,
მართლაც რომ, ის სიკეთე გადაარჩენს,
რაც მე დამიტოვა მამაჩემმა...

## ნუ გადამაჩვევ

ამ საოცნებო
სილამაზეში,
ღმერთმა ისურვა,
შენ ამერჩიე,
მზეს კი არ ჰგავხარ,
თვით მზეა შენში,
რა ვქნა, თუ ველარ
გადაგეჩვიე...
ადრე თუ მთვარეს
ველარ ვხედავდი,
ახლა მკრთალ შუქსაც
სინაზით ვარჩევ,
მე შენ მიყვარხარ,
ისევ გეძახი
და ამ სიყვარულს
ნუ გადამაჩვევ...

## თოვლი მოვიდა

დაორთქლილ მინას
თითს ვაყოლებ ახლაც ოთახში,
ვერ გამოვდივარ
ონავარი ბიჭის როლიდან,
დაბადების დღეს
მეგონა რომ მომილოცავდი,
მაგრამ შენ ნაცვლად

მოსალოცად თოვლი მოვიდა...

## ხარისთვალიდან ირამდე

„სიმართლე – თვალის სინათლე“... –
მხოლოდ ერთ რამეს ვინატრებ,
ხარისთვალიდან ირამდე
მზეო, კვლავ შენ მიწინამძღვრე...
თუგინდ ვუქმობდე კვირადღეს,
ჭიქას წავუქცევ წინაპრებს
და თუნდაც, ვაშლს რომ ვჩირავდე
ფიქრი გადავა ყირაზე...
ხარისთვალიდან ირამდე
ცხვარს კლავენ, უფალს სწირავენ,
სიხარულიდან ჭირამდე,
ვარდებს დათვლიდა ვინ რამდენს...
ქარსაც თუ ბედი მივანდე,
წვიმას დავტოვებ წვიმადვე,
„სიმართლე – თვალის სინათლე“... –
მზეო, კვლავ შენ მიწინამძღვრე...
მადლი დიოდეს მდინარედ
ჩემს ყველა ნაცოდვილარზე
და სულ არაფერს ვიდარდებ
სიცოცხლის განაპირამდე...
ხარისთვალიდან ირამდე
მზეო, კვლავ შენ მიწინამძღვრე...

## თუთობაა

თუთობაა,
თითბრის ზეცამ
თუთისფერში ციალით,
აატეკვა

ფრთათა კეცვა,
დღე თვალთმაქცობს,
მცინარი...
თუთობაა,
მისი პეწი
მაგ თვალებსაც სწვევია,
თუთის ხეებს ვეფერები,
ჩუმად რომ ირწევიან...

## შენ ერთი...

აჩრდილებივით
დგანან ხეები,
ლანდად გადვიქეც
მათი მხედვარე...
ამ შიშველ ფიქრში
განაწყენები
განცდა დარდს იქით
ვერ იმკვეხარებს...
ვარსკვლავთა ქრობა
ამწუხრებს სივრცეს,
გადაკარგულა
მთვარეც ბნელეთში...
და თუკი, ამდენ
სიცივეს ვითმენ,
სანუგეშებლად
დამრჩი შენ, ერთი...

## ზამთრის მოლოდინში

ნეტავ, სად არის,
თონესთან რომ დავტოვე ვარცლი?..
აღარც წისქვილში

აღარ ისმის ჩხრიალი მარცვლის...
საბძელთან ახლოს
შრიალებდა ჩაფხულის ვაშლი,
თვალი გამექცა
მისკენ, მაგრამ აღარ ჩანს არც ის...
მოგონებები
თავზე ისევ მაწვიმს და მაწვიმს,
ვაშლი კი არა,
სოფლად არ ჩანს კაკალი კაცი...
გლეხებთან ერთად
თითქოს ტყესაც შეუკრავს ბარგი,
ყველა გაურბის,
თავს არიდებს დადგომას ზამთრის...
თუმცა ტკივილი
გულს მშიერი თაგვივით ფხაჭნის,
იმედი რჩება,
მიტოვება არ უნდა რაჭის...
სანამ კვლავ ვნახავ
რივნის პირას ამოსულ ყვავილს,
იმ სახლს დავლოცავ,
საიდანაც ამოდის კვამლი...

* * *

ნისლი ხეებზე
წამოწოლილა,
ხელს სულ არ უშლის
ღამის სიშავე...
მე კი დამღალა
ამ მოლოდინმა...
რა დაგიშავე?!

## მთვარე

ფიქრის საბანი, თხელი
გხურავს შველივით ტანზე,
მთვარე, ბიჭივით ცელქი,
ფანჯრიდან გითვალთვალებს;
მესაიდუმლე ჰქვია,
მაგრამ იმონებს ყველას,
თავგადასავალს მერე,
ზის და ღამესთან ყვება...
ფრთხილად გადაგხდის საბანს,
ჩუმად გიკოცნის ლოყებს,
მერე რომ ლამაზ ამბად,
ან სულაც ზღაპრად მოჰყვეს...
ფიქრის საბანი, თხელი
გხურავს შველივით ტანზე,
მთვარე, ბიჭივით ცელქი,
ფანჯრიდან გითვალთვალებს...

## ნუ იტყვი...

არ ვიცი, რისი ბრალია,
ღამეა, არ ჩანს არავინ...
ერთი უბრალო მგზავრი ვარ,
მე ოცნებათა ქარავნის...
ნუ იტყვი, – მერე რაა ო,
როცა წუთებიც იცდიან...
თვით სიყვარულზე საამო,
ზოგჯერ მოთმენის ნიჭია...

## დაბრუნება

გაუღვალავდება, რაც უხნიათ,
ქვაბიც თუ არ დარჩა მოსაკალი...
რაჭაში ყველაფერი ნაკურთხია:
პურიც, წყალიცა და მოსავალიც...
ესეც, ალბათ, კითხვის პასუხია,
იმის, რაც აქამდე დაუსვიათ, –
მადლი უფალს, რომ კაცს ნამუსიანს
კერაზე ნახშირი წაუსვია,
სახლს დაჰბრუნებია, თუნდაც გვიან
და მაინც არ უთქვამს, – „არასოდეს“,
ვერ წარმომიდგენია, აქაურებს
რაჭის სატკივარი არ ახსოვდეს...
ან არ გაახსენდეს, როგორ ცხვება
ერბო, ფქვილთან ერთად მოზელილი
და არ შემოჰბღავლოს მოგონებამ
კართან ატუზული მოზვერივით...
გაუღვალავდება, რაც უხნიათ,
ქვაბიც თუ არ დარჩა მოსაკალი...
რაჭაში ყველაფერი ნაკურთხია:
პურიც, წყალიცა და მოსავალიც...

## ბედნიერება

ბედნიერ კაცად
მე ამქვეყნად
ის მიმაჩნია,
ვისაც ნიჭი აქვს
სიყვარულის,
თანდაყოლილი,
ვინც ბევრს უმღერა,

მაგრამ ბოლოს
მაინც არჩია,
თუნდ ერთი ლექსი
დაეწერა,
ისიც, – ცოლისთვის...
ბედნიერ ქალად
მე ამ ქვეყნად
ის მიმაჩნია,
ლექსი სიმღერად
რომ უთქვიათ
ფანჯრის წინ მისთვის,
ყველა სიმღერას
მან კი მხოლოდ
ერთი არჩია,
გულზე ცრემლი რომ
დაებნია,
და ისიც – ქმრისთვის...

## ფარახეთელ მესტვირეებს

– დედა, ბოშო,
ზაქარიას რა უქნია,
ხეყრუასგან
სალამური გაუთლია,
ლექსები სულ
ოქრო-ვერცხლად აურწყია,
სტვირი კიდევ
სულ ღიღინში აუწყვია...
– დედა, ბოშო,
ამისთანა რა ნიჭი აქვს
ამ ბიჭიას...
ან შეხედე, რა ბიჭია,

სტვირზე ისე
დაამღერებს ლამაზ სიტყვებს,
ყველა ტკივილს
სულ ერთბაშად დაგავიწყებს...
არც ლუკიას
გადაუდევს ფეხი ფეხზე,
წვიმასა და
ქარში წერდა მზისფერ ლექსებს...
ქვე, რაღა ვთქვა, –
ხალხი, მართლაც რა ენამზე:
ტოგონიძე,
ბურდილაძე და ერაძე...
მადლი უფალს,
ფარახეთის ამ თბილ გზებზე
მათ გაკვალულ
სიყვარულის ბილიკს ვეძებ...
გულით მინდა,
ეს გზა რო არ გავერანდეს
და გუდა-სტვირს
კიდევ ერთხელ ჩაჰბერავდეს:
ტოგონიძე,
ბურდილაძე და ერაძე...

## შემოდგომის განწყობა

ის დღე მერჩია
ყველაფერს,
მზე რომ ეკიდა
მტევანზე...
შევხედე
ნაკრეფ ვენახებს,

ვერ გნახე
და მომენატრე...
მეგონა,
რომ გავუძლებდი,
მაგრამ ეტყობა,
ვეღარ ვძლებ...
კარგია
ცოტა ყურძენიც,
უფრო კარგი კი –
შენ და მზე...

## მზე, სასურველი

ეს მონატრება ისე გაღვივდა,
ქარებს მოვპარე ტყეთა სურნელი...
მე გამოვყევი ფიქრებს გაღმიდან,
შენით რომ მეგრძნო მზე, სასურველი...
თუმცა ფურცელი ისევ სუფთაა,
რომ ელოდება სიტყვებს სანატრელს,
ლექსად მოგიძღვნი რითმებს უთვალავს
და ღამეს, შენზე ფიქრში განათევს...
რომ არ მეტანჯა მხოლოდ შორიდან,
მე ოცნებების კოშკი ავაგე...
და თუ ეს ლექსი ჩემთან მოგიყვანს,
მერე სულ კოცნით გეტყვი დანარჩენს...

## როდემდე

შენ შეეჩვიე ჩემს უთქმელობას,
ქარებმაც გზები ლამის წაშალეს...
ვინ დააბრალებს ვარდს უეკლობას,
მაგრამ ეკალი არც რას აშავებს...

ბევრჯერ გამხდარა ჭორის საგანი,
რაც თოვლთან ერთად გამოვაზამთრე...
შენ აღარც გახსოვს თოვლის საბანი,
მე რომ ტკივილებს ახლაც ვაფარებ...
იყოს ვარდი და ჰქონდეს ეკალი,
ან საკამათო, რა გაქვს, ზამთარო,
ჩემს გულისტკივილს თოვლი, ნეტავი,
როდემდე უნდა გადავაფარო?!

## სინანული

ქარს შემოდგომა მოჰყავს ცდუნებით,
ვაშლის ხეებიც დგანან მოთმენით...
ფერისცვალება ჩვენი გულების
ვიგრძენით მხოლოდ ჭრელი ფოთლებით...
სულ ცოტა სითბოც როცა ახარებთ,
ქარი აწვალებს ახლა იმ ვაშლებს...
ჩვენ კი ორივემ თავი დავხარეთ
მიტოვებული ბაღის წინაშე...

## ხსოვნა

როცა ღამე ფიქრის გარეთ
ერთ წუთსაც კი არ მიტოვებს,
ხსოვნით ვუნთებ თითო სანთელს
ქიშვარდებს და ალისტორებს...
მხრები ჰქონდათ ისეთი, რომ
მხოლოდ მთა თუ გაიტოლებს,
მათ ძალას კი, ალბათ, რიონს
შევადრი, ან დათვის ტორებს...
თითქოს ზეცა თან მოჰქონდათ
შარაზე რომ მოდიოდნენ,

მთელი ზამთრის სარჩო ჰქონდათ,
ბევრსაც განა, მოითხოვდნენ,
წითელ ღვინოს აყოლებდნენ
ცხელ ჭადზე და ლობიოზე,
არც გულებს არ არღოლებდნენ,
არც უშნოდ არ ფორხილობდნენ,
იმ თოვლივით სპეტაკები,
თოვლი რომ დევს მამისონზე,
დინჯები და ზნემაღლები,
ეწეოდნენ ხარისოდენს...
*
მათი ძალა ცხენს წააქცევს,
მიტომ ვადრი დათვის ტორებს...
ხსოვნით ვუნთებ თითო სანთელს
ქიშვარდებს და ალისტორებს...

## მონადირე

ისევ ავუჩემდი სადაფის თვალს,
ცა რომ ვარსკვლავებით მინანქარობს,
თუმცა შემოდგომის ასაკი მაქვს
მთაში მაინც ვეძებ წმინდა წყაროს...
ზამთარს რატომ უნდა შევედარო,
როცა გაზაფხულის ნატრული ვარ,
გული ისე ყეფს და მეძებარობს,
თითქოს ცხვირწინ მწყერი აუფრინდა...
ნამი დაუგორდა შქერის ფოთოლს,
თითქოს მასაც ცრემლი მოვადინე...
იქნებ, ახლა მაინც შემიცოდო,
კვლავ შენს სიყვარულზე მონადირე...

## ᲕᲔᲠ ᲛᲘᲕᲐᲢᲝᲕᲔᲑ ᲤᲐᲠᲐᲮᲔᲗᲡ

მზე ახლა ისეთ ფერზეა,
რომ კაცი ბედსაც ეწევა,
მე კი ეს გზა და ენძელა
ისევ თავისკენ მეწევა...
ვიცი, რომ უფრო მეტს შევძლებ,
კერაზე ცეცხლსაც ავანთებ...
ვერ შეველევი ნეეთებს,
ვერ მივატოვებ ფარახეთს...
– ყური დაუგდე, თუ ძმა ხარ,
გინდ ჭანჭახს, გინდა ქვედრულას,
– შვილო, ჩემგან შორს ნუ წახვალ, –
თითქოს მომძახის დედუა...
გული ადვილად არ ქრება,
თუმცა ჭრაქივით ფირფილობს...
როცა ამდენი საქმეა,
თვალი დაგიდგეს სიკვდილო...
ვიცი, რომ უფრო მეტს შევძლებ,
კერაზე ცეცხლსაც ავანთებ...
ვერ შეველევი ნეეთებს,
ვერ მივატოვებ ფარახეთს...

## ᲥᲐᲠᲘᲡ ᲛᲫᲘᲕᲔᲑᲘ

ქარი არ ჩადგა, არ დამინდეს
არც ამ წვიმებმა,
მარტოობისთვის გამიმეტეს
აკაციებმა...
ქარმა წვიმებსაც რომ დაუწყო
ასხმა მძივებად,
არც კი მეგონა, თუკი ასე

გამაცინებდა...
აღარ მაფიქრებს არც სიცივე,
არც გაწბილება,
რადგანაც წვიმა თავის ნებით
ქართან წყვილდება...
არ მეჩვენება არც ეს ქცევა
დამამცირებლად,
თუკი საერთოს გამოვნახავ
აკაციებთან...
და როცა მკითხავ, ნეტავ ასე
რა მაცინებდა,
მე გიპასუხებ, – წვიმის ასხმა
ქარის მძივებად...

## ბედი

კაცი სიცოცხლის ფასს ვერც კი ხვდება,
სანამ სიყვარული არ დაათოვს...
ხანაც ოქრო, ხან კი ვერცხლი ფერავს
თითებს, ერთმანეთზე გადანაჭდობს...
ოქროს გულით უნდა ატარებდე,
ვერცხლიც სწორედ მაშინ ბრწყინვალდება...
კაცში თუ სიკეთის მარცვალს ეძებ,
გრძნობაც სხვანაირად ფრთიანდება...
ბედი სიყვარულის საუფლოდან
ვის რას უმზადებს და რას სთავაზობს...
ლხინში სადღეგრძელოკაზმულობას,
ჭირში ერთმანეთის გატანა სჯობს...
სულ რომ ბედისწერა თამაშობდეს,
გულს თუ დაუდგები სადარაჯოდ,
მაშინ ვერაფერი დააშორებს
თითებს, სიყვარულით გადანაჭდობს...

## შენ და მზე მყავხართ იმედად

სიყვარული რომ გადამდე,
რივნის ბორგვა და ქშენა ხარ,
თავს ამიტომაც ვადარებ
შენს ერთ პატარა შენაკადს,
ხან ასკის წყალის ღელვა მაქვს,
ხან ხეორივით ვიქცევი,
შენ დედის გულისხელა ხარ
და შვილად დაგეფიცები...
ბილიკზე, ღელე-ღურდაზე
ვერ გამოვლიე სავალი,
ჯეჯორაშიც კი გულს ჩავდებ,
რომ დაგილოცო მთა-ბარი...
ცაზე ნისლი რომ ირევა,
სულმთლად ქაფქაფა, რძისფერი,
შენ და მზე მყავხართ იმედად,
სევდას გულს გარეთ მივდენი...
სიყვარული რომ გადამდე,
რივნის ბორგვა და ქშენა ხარ,
თავს ამიტომაც ვადარებ
შენს ერთ პატარა შენაკადს...

## ქარი

ისევ ქარია და ეს ქარი
კვლავაც გულს მიკლავს,
არადა, ზოგჯერ ქარშიც ისმის
წყნარი მუსიკა,
მაგრამ ეს მაშინ, როცა ქარსაც
ძეწნის სუნი აქვს,
რადგანაც ნამი აუკრიფავს

ვარდის ფურცლიდან...
მაშინ მთვარესაც სიხარულის
ცრემლი ერევა...
ცოცხალ კაცს დარდი არასოდეს
არ დაელევა,
მაგრამ ასეთ დროს ჩემი გული
ლურჯი ღელეა
და თანაც შენი თბილი ხელიც
თუ მეფერება...
ახლა კი, როცა მარტო ვარ და
ქარიც გულს მიკლავს,
კვლავ მომენატრა შენი ხმა და...
წყნარი მუსიკა...

## ფოთოლცვენა

ხეებს მზეც კი ვეღარ
აფოფინებს,
ფოთლებს მაინც ვადრი
ჭრელ-ჭრელ პეპლებს,
თითქოს მისი დარდი
არ ჰყოფნიდეს,
მეც ამ ფოთოლცვენას
შევეკედლე...
რა ვქნა, გვირილებმაც
მიმატოვეს,
სითბოს ვეღარ ვიღებ
იებისგან,
რადგან სხვა ვერავინ
მიპატრონებს,
ახლა ფოთოლცვენის
იმედი მაქვს...

## გარინდების დასასრული

ამღვრეულ თვალებს
წკურავს ქარი ნაბახუსევი
(ლაშებზე დორბლი,
კრულვიანი, ზრახვა – უძღები...);
ემშვიდობება ზეცას დილის
ლურჯი სინათლე
და თან მზის სხივებს
დასახრჩობად მტკვარში მიათრევს...
ფერჩათეთქვილი სინამდვილის
მრუმე დასტურად,
თეთრი ვარდების მდუმარება
ამწუხრებს სივრცეს...
ყელზე მეხვევა
უბედობის ყვითელი ბოლი
და როგორც გველი
გაყინული თვალებით მიცქერს...
ცრემლად ჩამოწყდა
გარინდებას გულის ნადები,
ყველა ნება და აღტკინება
ახლა მქრქალია,
თუმცა ნისლისფერი
სევდა მეფობს პირთეთრ ვარდებში,
მაინც იმედი
გულს ფიქრს ჩუქნის
შვლების ხალიანს...
მე მიხარია ხარის რქების
ქებით ხსენება,
არწივის თვალში ჩაბუდებულ
ალის ბრიალი,
უნდა დავჩეჩქო
ღამეები გველისენება,
წინ ხომ დილაა
უნისლო და ხალისიანი...

* * *

გავიფანტები
ლამაზ სურვილად,
მერცხლების ფრთებით
ატეხილ ქარში,
მე მოვალ წვიმად
გაზაფხულის და
ვარდს სიყვარულის
აზარტით გავშლი...

## რაჭაზე ვფიქრობ

რჩევას ნამდვილად არავის ვკითხავ,
სიყვარულს გული რად ემოწმება,
რაჭაზე ვფიქრობ და რაჭა მიყვარს,
მე, მთელი ჩემი დღე და მოსწრება...
მიწა მახარებს, ცას კი შევნატრი,
რაჭას რომ თავზე ეფოფინება...
რა ვქნა, გულგრილად თუკი ვერ გავცდი
მინდვრად გაყურსულ ლოკოკინებსაც...
აქ ყველაფრიდან სიკეთე მიმზერს
და ყველაფერში სინათლე მეფობს,
კაცი ან როგორ გადავა ხიდზე,
რიონს ალერსით არ გადახედოს,
არ გაახსენოს მისმა დინებამ,
სული ზღვასავით რომ ამღელვარა,
ისიც ხომ კარგად ეცოდინება,
აქ რომ ცა ქალს ჰგავს შესახედავად...
აქ რომ მთებიც კი მცველებად დგანან
ამ სილამაზის სადარაჯოზე...
თუმცა კი ზღაპარს არქმევენ რაჭას,

გეფიცებით თუ, ზღაპარს არ ჯობდეს...
რჩევას ნამდვილად არავის ვკითხავ,
სიყვარულს გული რად ემოწმება,
რაჭაზე ვფიქრობ და რაჭა მიყვარს,
მე, მთელი ჩემი დღე და მოსწრება...

## სხვაგან დარწყულება არც მიცდია...

ისევ მომანატრე კოდის წყალი,
გულო, ფიქრებთან რო სულ ჭიდაობ:
– ვაი, ეს რა სულზე მომისწარი,
ღარზე აავსე, თუ მუჭითაო?..
ასე იტყოდა და ანზორიკას
წყალი ელვრებოდა გულის პირზე,
თუმცა კი ჭუტავდა თვალს, ორბისას,
დარდი ეტყობოდა ღრუბლის სისქე...
ისევ ფრენით წავალ მაყვლიანში,
ჭინჭრით დავისუსხავ ხელუკეებს,
თუკი ვინმე ვნახე ნაღვლიანი,
იმედს ბიგასავით შევუყენებ;
დოქსაც კვლავ ავავსებ სულ ღარიდან,
მუჭით ან კი როდის ამივსია?..
რაჭის სიყვარულის წყურვილი მკლავს,
სხვაგან დარწყულება არც მიცდია...
ისევ მომანატრე კოდის წყალი,
გულო, ფიქრებთან რო სულ ჭიდაობ:
– ვაი, ეს რა სულზე მომისწარი,
ღარზე აავსე, თუ მუჭითაო?..

## სიყვარულმა თუნდაც მომკლას...

ცის სილურჯით
მკერდს ითბობს მთა,
თუ დიდგულობს
წვიმა სოფლად,
სიძულვილი
შორს იყოს და
სიყვარულმა
თუნდაც მომკლას...
დამიმონა ამ ბალახმა,
სული ამივარდისფერა,
ხან თუ ვლოცავ
ფრთალამაზ ცას,
ხან ობოლი
მთვარის ტყვე ვარ...
ეს ცხოვრება ასეთია,
ხან ჩაქრება, ხან ინთება,
თუკი მთვარით ამეტირა,
მზით ხომ გული ხალისდება...
ცის სილურჯით
მკერდს ითბობს მთა,
თუ დიდგულობს
წვიმა სოფლად,
სიძულვილი
შორს იყოს და
სიყვარულმა
თუნდაც მომკლას...

## პატარძალივით თვალშესადგამი

მზე ყველგან მზეა, მაგრამ რაჭაში,
მაინც მგონია არის სხვაგვარი,
ცისგუმბათოვან წმინდა ტაძარში
ისე ანთია, ვით კელაპტარი...
მთაც ბევრგანაა ცას მიბჯენილი
და მისაწვდომი, მხოლოდ ორბისთვის...
რაჭის მთებია, კაცის მხრებივით
ასე ერთმანეთს გადაჭდობილი,
რომ უერთგულონ ზღაპრულ მშვენებას
დარით შეცვალონ მუდამ ავდარი...
ცა სილამაზით ვარსკვლავს ედრება,
პატარძალივით თვალშესადგამი...
მზე ყველგან მზეა, მაგრამ რაჭაში,
მაინც მგონია, არის სხვაგვარი,
ცისგუმბათოვან წმინდა ტაძარში
ისე ანთია, ვით კელაპტარი...

* * *

დასანანია, როცა ხარ ჩუმად,
შენ წყაროსავით უნდა დიოდე,
შენ უნდა ჰგავდე ფარფატა ფუტკარს,
თან ერთს კი არა, თუნდ ათიოდეს,
ან ყვავილივით უნდა ხარობდე
და ათცებდე ფუტკარს, წყაროსაც...
ვიღაც მოგწყვეტს და ვიღაც არ მოგწყვეტს,
მაგრამ როგორც ქალს, ისე დაგლოცავს...

## ღები

შენით რწმენა დავიბრუნე,
ღებო, მზისფრად შენაღებო,
ვინაც გულში ჩაგიხუტებს,
სამოთხის კარს შეაღებსო,
ანგელოზთა შუქი გმოსავს,
ის გიცავს და ის გმფარველობს,
რაც მე ფიქრი დამიგროვდა,
მინდა, შენს ცას შევავედრო,
შენს წიაღში დავიბუდო,
ჩემგან ბევრჯერ შენაქებო,
სული გავითავისუფლო,
უფლის მადლთან შენახებო...
შენით რწმენა დავიბრუნე,
ღებო, მზისფრად შენაღებო,
ვინც შენ გულში ჩაგიხუტებს,
სამოთხის კარს შეაღებსო...

## სიყვარულისთვის

თუ გამომივლი, ნუ მოხვალ კენტად,
ქარის შრიალიც თან მოიყოლე,
მე სიყვარულით სიტყვა რომ მეთქვა,
შენ ქართან ერთად გამოგიგონე...
თუ გამოსცდები ფიქრის ორღობეს
და ისევ ნახავ წვიმას პირისპირ,
ნუ მიენდობი, კარგო, ბოლომდე,
არ მემეტები თავსხმა წვიმისთვის...
თუ მარტოობა აღარ ვინდომე
და ოცნებებით ვქარგავ გულისპირს,
მე ქართან ერთად გამოგიგონე,
ოღონდაც, მხოლოდ სიყვარულისთვის...

## შენთან ახლოს, წამწამებთან...

„მზე შინა და მზე გარეთა“,
თანაც, მხოლოდ წამწამებთან,
ისე თბილად ანათებდა,
თითქოს სით ზღვას არწევდა...
მე კი მაინც უშენობა
და სიჩუმე მაწვალებდა...
„მზე შინა და მზე გარეთა“,
სხივებს აფენს ნაწნავებად,
მე კი ისევ გამახსენა,
იმ წუთების გაწამება,
როცა მხოლოდ უშენობა
და სიჩუმე მაწვალებდა...
აღარ მინდა უშენობა,
არც სიჩუმით გაწამება,
რა მოხდება, თუ მეც მოვალ
შენთან ახლოს, წამწამებთან...

## რაჭას უნდიხარ...

ისე მიწივის გული უბიდან,
სკვინჩა ჩიტი რომ წივის ბუდიდან...
გულს უყვარხარ და რაჭას უნდიხარ,
ქვემოური თუ ზემოური ხარ...
ბევრჯერ მინახავს, თანაც ურმიდან,
მეურმემ ხარს რომ რქა მოუდრიკა...
გულს უყვარხარ და რაჭას უნდიხარ,
ქვემოური თუ ზემოური ხარ...
სადამდე ვდიო გზაზე ურმის თვალს,
ისიც არ ვიცი, მთაში თუ მიხვალ...
გულს უყვარხარ და რაჭას უნდიხარ,

ქვემოური თუ ზემოური ხარ...
სულაც არ მინდა, ვგავდე გულთმისანს,
კაცის დალოცვა მოდის უფლისგან...
გულს უყვარხარ და რაჭას უნდიხარ,
ქვემოური თუ ზემოური ხარ...

* * *

ფიქრი ამოვალაგე
მოგონების სკივრიდან,
სიტყვებს კვლავ ვიმარაგებ,
რაც სათქმელად მიღირდა...
სათქმელს როგორ გამოვლევ,
ამ ყველაფრის შემყურე,
მთვარეც რომ მომაგონებს,
კეცზე დაკრულ ცხელ პურებს;
იქნებ ხელიც წამიცდეს,
ყუა რომ მოვატეხო,
ცას გულს როგორ არ მივცემ,
როცა სითბოს ღამეს ვთხოვ...
გულთან ახლოს იბუდებს
დილა, როგორც მერცხალი,
ფიქრით კვლავ დავიბრუნე
ძმობა, ნაფიცვერცხლარი, –
სიტყვებს კვლავ ვიმარაგებ,
რაც სათქმელად მიღირდა...
ფიქრი ამოვალაგე
მოგონების სკივრიდან...

* * *

ცხოვრებაში გულს რამდენი რამ ჰკლებია,
მაგრამ ისე, კალოზე რომ კაკლებია,
ახლა ვხვდები, არაფერი დამკლებია...
კალოც იყო და კალოზე ხორბლის ლეწვა,
გრძელ ღამეში, ცხელ ბუხართან ბუმბლის წეწვა...
ძველი კალო სანავარდოდ გვიმრებს რჩება
ქარიც ფრთხილად საჩეჩელზე ნისლებს ჩეჩავს...
გულს ტკივილი შერჩენია მწარე რეჩხად,
წვიმამ ყანა ისე როგორ გადარეცხა,
რომ წამლადაც ვერ ვიპოვე ჩიტაკვერცხა...
ქარიც ისევ საჩეჩელზე ნისლებს ჩეჩავს...
აღარ ისმის არც ვალენტის – დედა, ბეჩა...
მაინც, ასე რამ დაატკბო ბალამწარა,
რომ სურვილი ერთიანად მთებს მოვფინე, –
ნეტავ, ერთხელ, კიდევ ერთხელ გაატარა
ამ შარაზე ერმილე და თეოფილე...
ცხოვრებაში გულს რამდენი რამ ჰკლებია,
მაგრამ ისე, კალოზე რომ კაკლებია,
ახლა ვხვდები, არაფერი დამკლებია...

## ღვინობისთვე

ოქროსფერ რთველში, ღვინობისთვეში,
მტევნები ისე ბადაგდებიან,
რომ სურნელება ჭკუიდან შემშლის,
მე რომ სიმთვრალედ გადამდებია...
ავდევნებივარ ღამის ბილიკებს,
მინდვრებში ქარიც მიფეთებია,
ჩიტებმა კენკრა ჩამოირიგეს
და სიყვარულით ისევ თბებიან,

მე კი გავყურებ ნაკვალევს შენსას,
და აღარ ვიცი, საით გეძებო...
მინდა, ეს ღამე ფიალით შევსვა
ავარსკვლავებულ ცის სადღეგრძელოდ...

## მონატრება

ნუშის რტოზე უნუგეშოდ დანატოვი,
განა წვიმის, სიმარტოვის ცრემლებია...
მერე რა, თუ ჩემს ფიქრებსაც გავანდობდი,
მაინც სევდის კრიალოსნად ებმებიან...
ცისკრის ტბათა ელვარება რომ ფერავდა,
მე სითეთრე მათრთოლებდა იმ გედების...
გაზაფხულის გაღიმება მომენატრა,
შენ კი, თურმე გასაწირად მიმეტებდი...
მთვარის შუქი ეფინება სარკმელს ისე,
ალბათ, ისევ მონატრების ჟამი დგება...
ეს ტირიფიც ტკივილებით თვალს დაივსებს
და მერე კი, ღმერთმა იცის, რა იქნება...

## დედის გული

დედა რომ კაბას ატარებდა,
მეგონა, მზით იყო მორთული...
შვილებს ანგელოზებს ადარებდა,
თვითონ ანგელოზად მოსული...
დედის გული ლამაზ ღიღილოს ჰგავს,
ხან მზე რომ ათბობს და ხან აწვიმს...
რამდენი ქალი მიღიმოდა,
მაგრამ დედასავით არავინ...
თვალებით უფრო ხშირად მზე დაჰქონდა,
თუმცა წვიმაც უჩნდა ცრემლივით,

ისეთი საყვარელი მზერა ჰქონდა,
იმ მზერით მთელ სამყაროს შეცვლიდი...
დედა რომ კაბას ატარებდა,
მეგონა, მზით იყო მორთული...
შვილებს ანგელოზებს ადარებდა,
თვითონ ანგელოზად მოსული...

* * *

მთის წვერზე ღრუბელი
ნელ-ნელა ილევა...
მე კი მზეს ვუცქერდი
თვალკეთილ ირემად,
სუნთქვით რომ შეფერავს
ბალახებს ნამიანს...
გულს მითბობს პეპელა
და... ჭიამაია...

## „წერეთელმა დაგვიბარა“

დრომ ვარსკვლავი წვრილად თვალა,
ბევრმა წყალმაც ჩაგვიარა...
მე რაჭაში მინდა წასვლა, –
წერეთელმა დაგვიბარა...
თვალი უნდა გადავავლოთ
ტყეებს, მრავალ ჭირნახულებს,
თუმცა, უკვე აღარ მახსოვს,
მერამდენედ ვინახულე,
ისე თბილად მომესალმა
ნისლიანი ნაქერალა,
სიხარული მომეძალა,
მოსაწყენად სად მეცალა?!

მინდა, მზე რომ ამოვიდეს,
დილა გაანატვრისთვალოს,
თქვენი ცქერა არ მომწყინდეს,
ხოტევო და ხარისთვალო,
იქნებ, კიდევ შემასხუროთ
წყალი, კოდზე გამდინარე,
გული ნავად შევაცურო
და თან გავყვე ამ მდინარეს,
მთებს რომ ვეღარ შელეულა,
მოფერებად ამ ფერდობის,
ასკი ხარ თუ ველეულა,
რა გინდოდათ, რას მერჩოდით?..
თავი ისე შემაყვარეთ,
სალოცავად ცა ვიწამე,
ამ ცას თავი შევაფარე
სხარტალიდან და იწამდე,
მართლაც მზეს ჰგავს გაზაფხულზე,
იქ ცახი და აქაც გონა,
სიმღერად რომ წვიმას ვუსმენ,
მუდამ ეს ხმა გამაგონა
და ამ წვიმამ, იქნებ ზოგჯერ,
ხან ნელმა და ხან რომ ჩქარობს,
ნეტავ სასწაული მოხდეს,
ღვინოსავით იხვანჭკაროს...
ესეც სასწაულად თქმულა,
არგაგონილ, ზღაპრულ ამბად,
სილამაზე მონათლულა
ფუტიეთად, ანდა სხვაგვად,
თლუღი რაღამ განასხვავა,
არც შქმერია მონაჭორი,
ერთ რამედ ღირს, სანახავად

შარდომეთი, თუ სორი,
ამ წესით და ამდაგვარად,
წესმა რაღა დააშავა,
თვით ედემი იქცა ბარად,
პიპილეთად, კრიხად, შავრად,
რაც სიკეთედ გადაედო
პატარა ონს და ჭრებალოს...
თავი როგორ დაგანებო,
ცაო, ასე საქებარო,
ფიქრი, მგონი, ცასაც გასცდა,
რაც ამ გულმა დაიბრალა...
მე რაჭაში მინდა წასვლა, –
წერეთელმა დაგვიბარა...

## სიყვარულის სამოსახლო

შეგხედე და ქალს კი არა,
ვარსკვლავს ჰგავდი,
თავზე მეტად მიყვარდი და
თან მტკიოდი,
სულ მეგონა, შენთვის მთებსაც
გადავდგამდი,
მაგრამ თურმე არ ყოფილა
მთლად იოლი...
ვერ შევძელი, ამ სურვილის
შესრულება,
შენ კი ისევ გეღიმება
ძველებურად,
ქვეყანაზე ცოტა ვინმე
მეგულება,
გულის კარნახს წინ აღუდგეს
შენებურად...

არა უშავს, მთაც თუ დარჩა
ძველ ადგილზე,
ვარსკვლავი ხარ, ისევ მინდა,
გნახო ახლოს,
ან ეს სითბო ოდნავ მაინც
შემარჩინე,
გულში ვზომავ სიყვარულის
სამოსახლოს...
თუ აქამდე თავსაც ვთვლიდი
დამნაშავედ,
ფიქრმა ისევ დაარღვია
ჯებირები,
და ეს მთვარეც ახლა ისე
ნაბავს თვალებს,
ზუსტად ვიცი, ჩვენ რომ ისევ
შევრიგდებით...

## რაჭის გემო

რამდენჯერაც გამომცხვარა ბაჭული,
მთლად იმდენჯერ არ ვყოფილვარ თამადა,
მაგრამ სუფრა ისე მიყვარს რაჭული,
თითქოს ერთ კაცს ათი კაცის ძალა მაქვს...
ჭიქა ღვინით რამდენჯერაც ამივსეს,
ყოველთვის კი არ მისვია ხვანჭკარა,
თეთრი ღვინოც კაცს ისე ახალისებს,
მოწყენილი აღარავინ დამრჩალა...
მართლა ისე კი არაა საქმე, რო
რაჭულ სუფრას სულ არ აკლდეს შქმერული,
ალალ ლუკმას კვლავ ვიპოვი საჩემოდ,
სოკო რაა, სულ სხვაა ჩვენებური...
ცელიც ბევრჯერ მიქნევია სათიბში,

სად მეცალა, სულ ჭამაზე მეფიქრა,
ჭადი როა ნატეხ-ნატეხ ჩაფშვნილი,
ლობიოზეც გადავსულვარ ერთ ინჯრას...
მისთვის მართლაც ალალია შექება,
გავსინჯე და სხვა გემოთი ვიცანი,
ძალას მმატებს და სხვაგვარად მერგება
ხის ძველ გობზე დაკეპილი ჭინჭარი...
კაცმა რომ თქვას, წვიმაც ისე წყნარად ცრის,
ბოღმის კვალიც არ ემჩნევა ნაქარალს...
ნედლ ლობიოს ცოტა ლორს თუ ჩააჭრი,
აღარ უნდა ნიგოზი და ზაფრანა,
ისეთია, რომ თითებსაც ჩაატან
თუნდაც ისე, ხელისგულზე სინჯვაში,
მისი გემო სხვას არაფერს არა აქვს
და ზედ ღვინოც მისწრებაა პირდაპირ...
ღვინის ჭიქა რამდენჯერაც ამივსეს,
ყოველთვის კი არ მისვია ხვანჭკარა,
თეთრი ღვინოც კაცს ისე ახალისებს,
მოწყენილი აღარავინ დამრჩალა...
ბედი გინდა, დაიბადო ქართველად,
ყველა კუთხეს ვეფერები თანაბრად,
ნაწყენი კი, არც არავინ დამრჩება,
რაჭველობით მაინც სულ სხვა ძალა მაქვს...

## ზღვისფერი აფრა

ზღვისფერი აფრა ცისკენ გაფრინდა,
გადმოსულს ჰგავხარ ლამაზ ზღაპრიდან...
ცა უნაზესი შუქით წნულია,
მთვარე კეთილი უფლისწულია...

* * *

სიყვარულს, ვით ესეს,
დაესვა წერტილი,
და დარჩა მას შემდეგ
კარგამოკეტილი,
სახლი, რომელშიაც
ზეობდა ოდესღაც
სუნთქვა ეროსის და,
ვაი, რომ
ქარის მოტანილი
ცისფერი ოცნება
ქარმავე წაიღო...

## ძმაუნეებს

არაფერი აღარ მინდა, არაფერი,
თუ არ იქნა მასპინძელი და სტუმარი,
ერთს კი ვეტყვი ძმაუნეებს, – ჩქარა ქენით,
ეკალ-ბარდში თვალებს კუსავს ნაფუძვარი...
ეგებ, ხელი შევაშველოთ ამ გარემოს,
თორემ ეზო მოგებულა კალოსავით,
ეს რა ვნახე, ნეტავ მეტი არ გამეგოს:
„ნაფუძვარი“, „ნაყანევი“, „ნამოსახლი“..
ეს სიტყვები ხმარებიდან ამოვშალოთ,
გავაშენოთ ბაღი, ედემს შესადარი,
ღმერთო, რაჭის ერთი ფუძეც არ მოშალო...
რა ვქნათ, ბოშო, დასაკარგი ქვე, სად არი...

## ალუჩა

თუმცა კი წვიმა
ასველებს ურცხვად,
ცას გულისპირი
მოუჩანს ლურჯად
და ამ სილურჯით,
თითქოს, რა უშავს,
მან ეს ღრუბლები
სულ დაამუნჯა...
გული კი ფეთქავს
და თანაც ურჩად,
თუმცა მოლოდინს
ვერ გადაურჩა...
წვიმაში ვდგავარ,
როგორც ალუჩა,
წვიმას კი... წვიმას
ბოლო არ უჩანს...

## მართლა კაი დრო იყო...

მართლა კაი დრო იყო,
თავის წვით და ვარამით,
ბოსტანში რო ზოდიკოს
კიტრუკებს ვპარავდით...
დავდიოდით ხევდახევ,
დაღლას არად ვაგდებდით,
ჩასაკბეჩად გვეძახდნენ
ლეუშიკას ვაშლები,
და ნადიას თხილებზე
ჭინკებივით ვისხედით,

მერამდენე დღის ჯერზე
უძილობას ვითმენდით...
ნეტავ ძველი დრო იყოს,
ღმერთიც დაგვიფარავდეს,
კიტრს თესავდეს ზოდიკო,
ჩვენ კი ისევ ვპარავდეთ...

* * *

ცხვარი ბღავის და მის ამ ბღავილს
ყურს არ უგდებენ,
ცეცხლზე შემომდგარ კარდალაში
წყალს ადუღებენ...
და გაუმხელელ სევდას იტევს
თუ ეს ბღავილი,
მოვა ხარივით ღონიერი
ღამე მთვარული,
წრეზეც დაუვლის, არ ადარდებს
ეს დასასრული...
თვალებს არც რული ეკარება,
არც ცეცხლი ქრება,
ნასუფრალზე კი მერე მხოლოდ
ძვლებიღა რჩება...

* * *

იქნებ არც მეყოს
მოსაწონი,
სიტყვა, ფრთიანი,
ისე მახარებს
წამწამების

ჩუმი შრიალი...
ცას რომ ატარებ
მაგ ლამაზი
თვალის გუგებით,
მინდა ზღვა ვიყო,
მხოლოდ შენში
დასაგუბები...

## ჩიტის ფრთებით

ალბათ, ბალი რა ხანია შემოვიდა,
თუთის ხეს კი შაშვები არ ასვენებენ...
მოგონება ჭიასავით შემომიჩნდა,
ჩიტები კი შენს წერილებს მახსენებენ...
– მე ამ წერილს ჩიტს ვატანო, ასე მწერდი,
გიჯერებდი, მაგრამ მაინც სანახევროდ,
უკვე ისე გაიზარდნენ თეთრი ბლები,
ჩამოდი და ყველას ერთად განახებო...
ყანის ბოლოს, გახსოვს, კვახსაც რო ვთესავდი?..
ჩიტებისგან აღარ მქონდა მოსვენება...
საფრთხობელა ახლაც იქ დგას ბოთესავით,
ვერ გაიგებ, ჭინკაა თუ მოჩვენება...
ღორიც ისევ ღობე-ღობე დასუნსულობს
ისევ ეძებს, იქნებ სადმე ცხვირი შეყოს...
შავმსხალამ კი დიდთოვლობას ვერ გაუძლო,
არა უშავს, რაც მოისხა, ისიც ეყოს...
გვირილებით კვლავ აივსო ჩვენი ეზო,
მახსოვს მისგან ყოველდღე რომ გვირგვინს წნავდი...
უი, შენ კი გენაცვალოს შენი ბებო,
შენს ნატვრაში სული მიმდის და მთლად წავხდი,
მაგრამ გულს რო სიყვარული მოედება,
გაიზრდები და ტკივილსაც მიმიხვდები...
...ვინ ჩამოთვლის, თუ რამდენი მოფერება
მიმიღია ბებიასგან ჩიტის ფრთებით...

* * *

რა ვქნა, თუ არ ვგავარ
მეფეს და ფარაონს,
შენ მყავხარ დედოფლად
და ესეც კმარაო...
...ტანი რომ ირწევა
და მშვიდად ქანაობს...
ძალიან გიხდება
პეპლების მარაო...

## მადლის სუფევა

სულს მიმღელვარებს, გულივით წრფელი,
გრძნობა, უთქმელად შემწე
და როგორ მინდა, დაკვირტულ ცის თვალს
მეც მზის ალერსით შევწვდე...
ამ ცის და მიწის განცდა ლოცვისა,
ვარდებად მცვივა მკერდზე,
მე ამ ვარდებში, ნაზად მოღიმარ,
ბედნიერებას ვეძებ...
დღე საოცრებად გაიფოთლება,
მადლის სუფევა ღმერთობს,
ეს სილამაზე გამითბობს მზერას,
რომ სიყვარულად ვენთო...

## ღვინო ყველას უყვარსაო

ყანა აქ, თუ ვენახი აქ,
ღვინო ყველას უყვარსაო...
„ყირამალას" ეძახიან
პატარიკა დუქანსაო...

ყირაზე თუ გადახვედი
და დაგჯერდა თუმანსაო,
მედუქნეს ქვე, რაღას ერჩი,
ნუ ასწავლი ჭკუასაო...
უფრო კაათ თუ განსჯიან,
მართალსა და მტყუანსაო,
ბოშო, თუმნად ქვე, სად შლიან
ამისთანა სუფრასაო...

## ცრემლის მდინარე

ამაოდ ჩახვალ
ცრემლით ნამცვრევ ჩიტიწყალაზე,
ამაოდ დაღლი
თვალის გუგებს შორ-შორს ცეცებით;
გაყვითლებულა
ასხლეტილი ერთ დროს ბალახი
და აღარ ჩანან
ასხლეტილი თეთრი ცხენებიც...
და აღარ ჩანან...
გულნატკენი გმინავს ჰაერი,
ფერჩათეთქვილი,
სიყვარულზე ნამარხულევი...
მოიკლაკნება,
მიმოფანტულ ქრიზანთემებზე,
ცრემლის მდინარე...
ლომებივით წვანან ღრუბლები...

## ოლონდ

ამ საფიქრალს
გული ისე შეეჩვია,
როგორც კვერნა
მიტოვებულ ვენახებს...
– სად წასულხარ,
შენ რა გითხრა, ეზეკია,
მინდოდა, რომ
აშხაპირზე მენახე;
ვედრუკათი
რომ წაგეღო წყალი ახლაც,
ან კი, რაღა
დააბრუნებს დროს უკან...
იქნებ, ისევ
გადაგება იქვე, მსხალთან,
რახანია,
მზე მიადგა ხბოუკას...
ამ სურვილმა
ახლა ისე მომიარა,
როგორც სურომ
ნაფუძვარზე რომ ყვავის,
ეს, მზიგულზე
დასიცხული ხბო კი არა,
შენს ეზოდან
თურმე ქარი მომბღავის...
ბალახს სუნთქვას
შევუნახავ სიოს ოდენს,
ქადას სულსაც
გადავუსვამ ნაფტკენით,
ოღონდ ცეცხლი
ოდნავ მაინც ღიოფობდეს,
გულიც ასე
აღარ მქონდეს ნატკენი...

## ვნება

მზე მწიფე ფერით
ჩამოჰგავს ატამს,
ქარვის მძივებს რომ
მდელოზე ფანტავს;
უცებ მოცხრისფერ
თვალებს აინთებს
და ცას გაუხსნის
კაბის საკინძეს...
გადაედებათ
ვნება წიფლებსაც,
მორცხვად ყოფნა რომ
ხელეწიფებათ...
იქვე ახლოს კი
წვანან რუები,
ხვევნა-ალერსით
განაბრუები...

## რაჭული შემოდგომა

ვაი, საყვარელო, ეს რა ფერებია,
ჩასახუტებელი, მოსაფერებია,
ალბათ, სილამაზე არც სხვას დაჰკლებია,
მაგრამ სად ყოფილა, აქ რო კაკლებია?..
აქ რო ვაშლუკეებს ლოყა უბროწდებათ,
მათი სილამაზე მზისას უტოლდება,
მწიფე შინდუკეებს თვალს ვერ მოაცილებ,
მათი სიხარულის შენც ხარ მონაწილე...
საბძელთან ატამა ყურყუტობს თავისთვის,
წლეულს ვერ ივარგა, იმედად გაისის,
შარაზე ურმის ხმა სიმღერად გაისმის,

გინდა, სულ უსმინო და შენსას არ იშლი...
ასეთი სიმღერა სხვა, ქვეყნად არ ვიცი,
თანაც გიხარია, თან ტკივილს განიცდი...
ტკივილი გაშოროთ, სიყვარულს მე ვთაობ,
კეთილი დალოცვა ჩემგან გქონდეთაო...
ვაი, საყვარელო, ეს რა ფერებია,
ჩასახუტებელი, მოსაფერებია...

## გაზაფხული

ცამ ჩამოხსნა
თოვლისფერი ფარდა...
მისი მოსვლით
აელვარდა ეზო,
ია-ია
იწონებდა თავს და
ცისფერ თმაზე
გაზაფხული ენთო...
ქალს უხდება
იისფერი კაბა,
როცა გულში
სიყვარული მეფობს...
მეც მინდოდა,
ჩემი სახლის კართან,
შენი მოსვლით
გაზაფხული მეგრძნო...

## ᲐᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ

შენ ალბათ ქარებს
გამოგტაცეს აკაციებმა,
როცა ტოტებქვეშ
გაგიშალეს მინდვრის საწოლი...
ყელზე აგისხამს
ყვავილები ფერად მძივებად
და ქარები კი
ისევ ქრიან ასე მარტონი...
მე მოვალ შენთან,
ფეხაკრეფით მოგეპარები,
ჩემი ალერსი
უფრო ტკბილად დაგაძინებდა,
მაგრამ ჯიუტად
აწყდებიან ღობეს ქარები...
ან რას გავხდები
ამ დიდგულა აკაციებთან...

## ᲠᲐᲭᲣᲚᲘ ᲡᲐᲜᲐᲮᲨᲝ

ცა დამქონდა უბით თითქოს,
ან კი, როგორ არ მახსოვდეს,
მთლად მზესავით გულის სითბო
იღვრებოდა სანახშოზე...
რა საქმე არ ირჩეოდა,
რას აღარ ლაპარაკობდნენ...
გზა კი ბედის ფარდაგს ქსოვდა,
როგორც რწმენის საგალობელს...
რა ლამაზად ბინდდებოდა,
მართლა კაათ თამაშობდნენ,
ცაზე მთვარე ირწეოდა

და ცეკვავდა თან გარმონზე...
გული კვლავაც ბევრს გაუძლებს
დარდებსა და ქარაშოტებს,
ისევ ვნახავ ბედაურებს,
გაჭენებულს სანახშოზე...
ცა დამქონდა უბით თითქოს,
ან კი, როგორ არ მახსოვდეს...

* * *

„პირი მზე, პირი მთვარისო“,
ჩიტი წყაროზე ხალისობს,
მზემ კი, ასე რომ ყვავილობს,
უბე გვირილით ამივსო...
– ოქროს ნისკარტი, ჩიტუნავ,
გულმა ყოველთვის იგულა
და მხოლოდ შენ მოგისურვა,
ქალო, ნაზო და დიდგულა...
„პირი მზე, პირი მთვარისო“,
მზე სიყვარულის მანდილს ქსოვს,
შენაც რომ აგაყვავილოს,
როგორც პატარა ატმის რტო...
– ოქროს ნისკარტი, ჩიტუნავ,
გულმა ყოველთვის იგულა
და მხოლოდ შენ მოგისურვა,
ქალო, ნაზო და დიდგულა...

* * *

ბალი კრიალა
ჩამოვარდა
წკრიალ-წკრიალა...
ქალი კი არა
წყარო ხარ და
თანაც ცქრიალა...
ვარდის ფიალა
შეავსო და
შესვა მთლიანად
და მერე ბალახს
უცნაურად გააჟრიალა...

## ᲒᲐᲜᲐ ᲘᲡᲔ, „ᲜᲐᲣᲠᲐᲖᲔ“...

**(სახუმარო)**

როცა წვიმა ჭინკასავით
დაფხაკუნობს სახურავზე,
ლექსიც ასე მეწერება,
განა ისე, „ნაურაზე“...
ამინდმა თუ არ დამზოგა,
რა ვიფიქრო ყანუკაზე,
სულმთლად გამიტიალდება,
თეთრი ბალიც, სამურაბე...
როცა კრუხი ძერასავით
შეფრინდება საბუდარზე,
ლექსიც ასე მეწერება,
ხან კეცზე და ხან ბუხარზე,
იქვე ახლოს, ხის ძველ გობზე

ქალი ცომს რო აგუნდავებს,
კაცი ჭურს რო გოგირდს უნთებს,
სანამ ყურძენს დაწურავდეს,
ლექსიც ასე მეწერება,
ხან სორზე და ხან ურავზე...
ბევრს თუ ვიტყვი სიკეთეზე,
ცოტას – ბედის სამდურავზე,
არანაკლებად მადარდებს
თეთრი ბალი, სამურაბე...
ლექსიც ასე მეწერება,
განა ისე, „ნაურაზე“,
როცა წვიმა ჭინკასავით
დაფხაკუნობს სახურავზე...

* * *

„ალხო-მალხო,
ჩიტმა გნახოს“,
თვალზე ცრემლი
არ მანახო;
ცრემლი,
თეთრად მოციმციმე...
მე გაჩუქებ
მოცვის მძივებს...
„ალხო-მალხო
ჩიტმა გნახოს“,
ჩემი ბაღის
შორიახლოს...

* * *

კაბა მარმაშისა,
ტანი ალმასისა,
ვარსკვლავს შესადარი ქალის,
სულზე მეფინება,
ისე მეფინება,
აღარ მეძინება ღამით;
თვალი ბივრილისა,
ცრემლი მსგავსი ცვრისა,
ვარსკვლავს შესადარი ქალის,
სულზე მეფინება,
ისე მეფინება,
აღარ მეძინება ღამით...

* * *

აივნიდან
მზესავით რომ მიღიმოდი
და სიმორცხვით
ედრებოდი მიმოზებს,
წირვა იდგა,
სალოცავად მივდიოდი,
შევჩერდი და
შენს თვალებზე ვილოცე...
სიო ისე
დაცურავდა წამწამებზე,
ალბათ შენ ხარ,
ვინც მზესავით უქიათ
და რაც ჩემთვის,
მხოლოდ ჩემთვის გავაღმერთე

მაგ თვალების
თაფლისფერი შუქია...
მე არ ვიცი,
იქნებ, ცოდვაც ჩავიდინე,
ან სხვაგვარად
როგორ უნდა მოგმართო, –
ოღონდ ერთხელ,
კიდევ ერთხელ გამიღიმე,
მერე თუნდაც,
ცოდვიანად მომნათლონ...

* * *

გაზაფხულს წვიმა უხდება,
ზამთარს – თამამი თოვლი...
სოფელს კაი ყმა უხდება,
კარგ ყმას – ლამაზი ცოლი...
გაზაფხულს წვიმა უხდება,
ხანდახან – სუსტი ქარიც...
კერიას ქალი უხდება,
ქალს კი – ვაჟკაცი ქმარი...

## რაჭის დალოცვა

ნაღველი უნდა გამყარო,
ამ ჩემი სულის ლხენამა,
ცაო, – ხატო და საყდარო,
ფერი გიკურთხოს ზენამა,
ხანაც რომ სევდით ჩამოთოვ,
ხან კი, გულს მზითაც შველა აქვს,
ყველას ოჯახი დალოცოს

სამთისის დიადემამა...
არ შეეპუო ქარაშოტს,
წყაროვ, ღიღინით დიოდე,
გვალვამაც კი ვერ დაგაშროს
და ჯავრით არ გამწიორდე,
სულ ასე უნდა გეძახო,
სხვებთანაც ალავერდი ვარ...
თამარ მეფესაც ვეძახოდ,
შეუსვამს აზარფეშიდან...
გულს დანაყრებაც უღირდა
მზეზე შემთბარი ბაჭულით...
ცაო, მიიღე გულღია,
ჩემგან დალოცვა, რაჭული.
ხანაც რომ სევდით ჩამოთოვ,
ხან კი, გულს მზითაც შველა აქვს,
ყველას ოჯახი დალოცოს
სამთისის დიადემამა...

* * *

ლურჯად გახსნილა ცისკარი
და ათილისმებს ქნარს,
მერცხალს მზე მოაქვს ნისკარტით,
დილას დედოფლად რთავს;
მოდი და რამე მითხარი,
ამ სილამაზით მთვრალს,
მე შენგან მოუკითხავი
მთვარეს მივანდობ თავს;
იგია ჩემი მისანი,
ღამე ფიქრს როდი სხლავს,
მე წყაროს წყალი ვიცანი,

ზღვა კი დარჩება ზღვად,
საითაც გინდა ვიარო,
სითბო მიფონებს კვლავ,
ბედი არ ამარევინებს
მზით გაბრწყინებულ კვალს...
სუნთქვად სიკეთის მოსურნე
ღმერთს ვევედრები ხსნას,
გულს ძარღვებიდან მოვწურე
ყაყაჩოსფერი ხმა...
იგია ჩემი მისანი,
ღამე ფიქრს როდი სხლავს,
მე წყაროს წყალი ვიცანი,
ზღვა კი დარჩება ზღვად...

## მარტოობა

შიშველი ღამე აფერადა
მთვარემ ლივლივით,
შენ შეეხიზნე მარტოობას
გაპდეგილივით...
სულაც არ მიკვირს,
რომ არ გიმძიმს
გული მწუხარი,
მარტოსულთან
ხომ ახლოს არის
მხოლოდ უფალი...

* * *

ბეთანიის ტყეში
მთვარე ისე ინაბება...
შეგშლის...
სიცოცხლე ხომ ლამაზია
მზეში?..
სიცოცხლე ხომ ლამაზია
ხეში?..
მაგრამ მთვარე
ინაბება ტყეში...
შეგშლის...

## მრავალჟამიერ

ისევ მინდა, შენთვის მუზა გავაწვალო,
წარსულ ლანდებს ჩუმად ყოფნა არ ვაცადო...
გეფერები, რაჭის მთების პატარძალო, –
მრავალძალო...
ლერწმის ღეროვ, სალამურად განათალო,
შენი ჰანგი დღესაც ტკბილობს, განა მწარობს...
გეფერები, რაჭის მთების პატარძალო, –
მრავალძალო...
მზე ოქროს გულს სიყვარულად როცა აღნობს,
ალბათ, ცაში სიმონიკა კვლავ თამადობს...
გეფერები, რაჭის მთების პატარძალო, –
მრავალძალო...
თუმცა შორს ხარ, უცხოდ მაინც არ ჩამთვალო,
შენითა ვარ, თუკი ვცოცხლობ, თუკი ვმძლავრობ...
გეფერები, რაჭის მთების პატარძალო, –
მრავალძალო...

* * *

ეს ერთი ღამეც შევადარე უმწეო ფოთოლს,
ხეს რომ მოსწყდა და დრომ კალთაში გადაიგორა...
ეტყობა, დღესაც ისევ მოთოვს, უშენოდ მოთოვს,
შენთან ყოფნა კი, რომ იცოდე, როგორ მინდოდა...
მოგიყვებოდი ათას ამბავს, ძველსა თუ ახალს
და ჩემი სუნთქვა გაგითბობდა ხელებს, გათოშილს...
შენ იმ სიხარულს, რომ იცოდე, ვეღარსად ნახავ,
რასაც ჩვენ ორნი ვიპოვიდით ახალნათოვში...
ახლა კი... გული იის სუნით როცა გათბება
და ბალახივით დილის ნისლით დავიორთქლები,
ოცნება შენზე ჩემს ოთახში კვლავაც დარჩება
როგორც ლარნაკში გამომშრალი თრიმლის ფოთლები...

## მზესუმზირები

არც რა საზომით არ იზომება,
რა სითბოცაა მზეში, ულევი...
ზღვა სიხარულის და მზისოდენა,
მინდვრად გაშლილან მზესუმზირები...
რა ვქნა, თუ მინდა მოვიდე შენთან,
თუ გულსაც ისევ ესურვილები,
როგორ გავუძლო ამდენ მოლოდინს,
ამ მზისოდენა მზესუმზირების...

## მონატრება

დამანახე, რაჭავ, შენი
ცის სილურჯე, ულევი,
არ მანახო, მაგ თვალების
არც წვიმა, არც ღრუბელი...
დამანახე, კაცის კვალი
წალდით ტყისკენ ჩავლილის,
არ მანახო, სახლის კარი
აჭედილი გარბილით...
არ მანახო გზა, მისდღეში
დარდს რო ართავს ძაფივით,
დამანახე, ქმრისთვის ტყეში
ცოლს რო მიაქვს სადილი...
ცელის მოსმით დამანახე,
ჩატანილი სრიელი,
არ მანახო, ნასახლარზე
როგორ ყვავის იელი...
არ მანახო, მაგ თვალების
არც წვიმა, არც ღრუბელი,
დამანახე, რაჭავ, შენი
ცის სილურჯე, ულევი...

## ენძელა

გაზაფხულზე, როცა მინდორს თვალს შეავლებ,
ენძელაც კი სიყვარულის ახსნას ცდილობს,
თანაც ფიქრობს, პირველივე პაემანზე,
ერთიანად დაგიპყროს და გაგაგიჟოს...
ბილიკ-ბილიკ უნდა სდიო მერე იმ ფერს,
რომლის გარდა, სხვა ფერები აღარც გახსოვს,
გაზაფხულზე სიყვარული ხელს რომ გიქნევს,

მერე იქნებ დუელშიაც დაგამარცხოს,
მაგრამ ის დღე ისე რჩება გონებაში,
ყველა ღამე მხოლოდ დილას ემონება,
და როდესაც დრო ფიქრების კარავს გაშლის,
თეთრი ფიფქიც კი ენძელა გეგონება...

## იები

შორი გზა გამოიარეს,
ნეტავ, მოსულან რისთვის?..
ალბათ მადლობის თქმა უნდათ
სხვისთვის კი არა, – მზისთვის...
ხან ბუჩქის ძირას ხარობენ,
ხანაც ამკობენ გზისპირს,
რას აღარ ლაპარაკობენ,
ხან ამ მთის, ხანაც იმ მთის...
განა სამდურავს ამბობენ,
ან რას იტევენ მკერდში...
ბევრსაც არაფერს არ გვთხოვენ,
მზე ყოფნით ერთი პეშვი...

* * *

ქარში, როგორც
გაბუტული ბავშვი,
დაგტოვე და
აედევნე ქარს...
ბაღში რტოს რომ
დაუგორდა ვაშლი,
მხოლოდ ის თუ
გაპოვნინებს გზას...
მე იმ ღადარს

შენ რომ დამაფიცე,
მაინც ფრთხილად
შევუბერავ სულს...
მონატრება
აბა, რაა ისე,
თუ არ გატკენს,
თუ არ გატკენს გულს...

## ᲓᲘᲜᲯ ᲠᲐᲭᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲠᲐ ᲡᲪᲝᲓᲜᲘᲐᲗ...

პატარიკა ჯირკვინასი
ჯორკო მახსოვს არნახული, –
მამაჩემის, როგორც მახვშის
საუფროსო საკარცხული...
კი იტყოდა ის სულმნათი,
დინჯ რაჭველებს რაც სცოდნიათ:
– ღვინოს სვამენ ჭიქუნათი,
მაგრამ მთელ ჭურს გამოცლიან...
ეს რა არის, წყაროს წყალიც
ღვინოსავით დალეულა,
არ გასვლია მაინც ყავლი
ბარულას თუ შარეულას...
აქ მდინარეც სანთელივით
ნაკურთხი და ნალოცია;
დინჯ რაჭველებს რა სცოდნიათ,
ჩაგიკრავენ, ჩაგკოცნიან,
ჭიქუნათი დაიწყებენ,
მერე მთელ ჭურს გამოცლიან...
პატარიკა ჯირკვინასი
ჯორკო მახსოვს არნახული,
მამაჩემის, როგორც მახვშის
საუფროსო საკარცხული...

## ალიონი

ისე ხვდება ალიონი
გაზაფხულის შემოსვლას,
ღამისაა, ატმის რტოც კი
ფანჯარაზე შემოსვას...
როცა დილა არემარეს
სადედოფლოდ შემოსავს,
მეც იმედით ვაღებ კარებს
და შევნატრი... შენს მოსვლას...

* * *

თითქოს ზღაპრული,
ცელქი თამაშით,
სულში შემოდის მთვარე
და როგორც ცხენის
ქურდი თავლაში,
ჩუმად ვაცეცებ თვალებს...
რამდენჯერაც კი
შემიკრა სუნთქვა
თეთრი ცხენების ქშენამ,
იმდენჯერ შენი
თვალების შუქსაც
მაშინ მოუნდა ფრენა...
...მიაპობს წყვდიადს
დამფრთხალი რემა,
თეთრად რომ ღელავს არეც...
და დამრჩენია
მწარე ტკივილად,
გაუქურდავი ღამე...

## ნურვინ მაფხიზლებთ

როცა ვუყურებ
ვარსკვლავის ვარდნას,
მიწაზე თეთრი
ფიფქების ბარდნას,
ან გულზვიადი
კვირტების მსგავსად,
მზე როგორ ქარგავს
ბალახის ფარდაგს,
ასე მგონია,
მეც ფიფქად ვიქეც,
ანდა ვარსკვლავად,
ანდა ყვავილად...
ნურვინ მაფხიზლებთ,
მე ამ სამყაროს
ვერ შეველევი
ასე ადვილად...

## თოვლის დედოფალი

რადგან ჩვენ შორის
შუამავლად
ისევ თოვლია,
გზას გავკვალავ და
თუნდაც, თოვლის
დედოფლად გნახავ,
სულაც არ მინდა,
მოგეფერო
მხოლოდ შორიდან,
როგორც მხატვარი

მის ყველაზე
უბადლო ნახატს...
შენ არ გაცვია
იისფერი
კაბა მუხლამდე,
მე კი ჩემს სურვილს
არ დავატან
ძალას სრულებით,
მინდა, ვიხილო,
ცას სინაზეს
როგორ უხამებ,
თოვლისფერ კაბით
და ფიფქების
სამაჯურებით...

## იქნებ მოხვიდე

თოვლის ბაბუას, რა ხანია, არ ვწერ ბარათებს
და არც ბუხრიდან ველოდები მის გამოჩენას,
მაგრამ მთვარე რომ ღრუბლებიდან მშვიდად ანათებს,
ახალწლის ღამეს ძველებურად მიყვარს ოცნება...
ფიფქების ცეკვას ახლა სულ სხვა თვალით ვუყურებ,
ყინვა კი ისევ ძველებურად ხატავს მინასაც,
ნაძვის ხის ტოტზე ისევ ვკიდებ ფერად ბურთულებს,
თუმცა ბალიში ჩემს საჩუქარს აღარ ინახავს...
ნუ გააწბილებ ჩემში ჯერაც ბავშვის იმედებს,
ახალწლის ღამე ხომ ჯადოსნურ სამყაროს იტევს,
მერე რაა, თუ მაშხალების ზეცამდე აჭრა
გულში ძველებურ სიხარულის ნაპერწკალს მინთებს...
როცა ისრები ერთმანეთთან შეწყვილდებიან,
ჩემს გულის საათს მხოლოდ შენი მოსვლა ეკლდება,

რადგან ამ ღამეს შენზე ფიქრი დაბედებია,
იქნებ მოხვიდე ბედნიერი ფეხის მეკვლედაც...
თოვლის ბაბუას, რა ხანია, არ ვწერ ბარათებს
და არც ბუხრიდან ველოდები მის გამოჩენას...

## ხარი

პეპელა ცისფერ ყვავილზე ანცობს,
ღმერთივით დადის ჭალაში ხარი...
– ნახეთ, ხარის ქედს რა ძალა აქვსო, –
ეჩურჩულება ბალახებს ცვარი;
ნამზე კრთებიან სამყურები და,
ხარს უელვარებს რქაზე ცისკარი...

* * *

მზით მონაქსოვი ცის მერდინები
უნდა მოვნათლო ზღაპრულ აფრებად
და მოვაგროვო ვერცხლის წვიმები
შენს წამწამებზე გადმოსაფრქვევად...
თუკი მაცდურად მინდვრებს გავხედო,
ნუ მკითხავ, ასე რად ვიმზირები;
მინდა ბოღმისგან გულზე გავხეთქო
ეს ჭორიკანა ვარდის კვირტები...

## ქალო, ნუ ხარ უკარება!..

ცის ნამო და ლურჯთვალება,
ქალო, ნუ ხარ უკარება,
თორემ მთვარე თუ ჩაქრება,
კაცს ღამე შეუყვარდება;
ვარსკვლავები ვერცხლის გვირგვინს

დაადგამენ გიშრის თმაზე, –
ღამეს ისევ უყვარს ფიქრის
ამღერება ზღაპრის ხმაზე...
ცის ნამთ და ლურჯთვალება,
ქალო, ნუ ხარ უკარება!..

* * *

შატილში ავედი
ღამეგიშერობას,
ყორნისფერ თვალებში
ნდომა ღვინდებოდა
და მესურვილებოდა
შესმა სხივმთვარესი...
არის რაღაც წმინდა
ასეთ სიმთვრალეში...

## ღარულა

გულო, ნუ იტყვი სამდურავს,
ერთი დღეც თუ გაპარულა...
მზე ნაძვის წვერზე დართულა,
განა უბრალოდ... ქართულად...
წვიმამ თუ ისასწაულა,
მერე შეხედე ღარულას,
განა, ვინმესგან ფარულად
მოდის და... ისიც ქართულად...
გულო, ნუ იტყვი სამდურავს,
ერთი დღეც თუ გაპარულა...

## რაჭას ნუ დავტოვებთ, რაჭველებო!..

ხმა რომ მომენატრა მენახირის,
თუმცა, არცთუ მცირე მანძილია,
ფეხით გავიარე ყველა ხიდი,
იქაც, სადაც ადრე არ მივლია...
ზოგჯერ ხეც ხმებათ შეძახილით,
ესეც ძველებისგან გამიგია...
ვეღარც კევრი ვნახე, ვერც მარხილი,
თავგზა ან რა ჭირმა ამირია...
ფიქრებო, თავი მაინც დამანებეთ,
ხან უფერულებო და ხან ჭრელებო...
წყალს ნუ გადავასხამთ ამ ნაკვერჩხლებს,
რაჭას ნუ დავტოვებთ, რაჭველებო...
ვეღარც კევრი ვნახე, ვერც მარხილი,
თავგზა ან რა ჭირმა ამირია...
ზოგჯერ ხეც ხმებათ შეძახილით,
ესეც ძველებისგან გამიგია...

* * *

წვიმდა და
უეცრად გადაიღო,
ჩემი მწუხარებაც
თან წაიღო...
მზემ გამოანათა
ღრუბლებიდან,
ყვითლად ჩამწიფებულ
ყურძნებისფრად...

## სილამაზე

ქალის მზერაში
ავაზა მძლავრობს
და ცრემლი
მისი თვალის
ბროლია,
უფრო მეტად კი
მაშინ ავაზობს,
როცა ცოლია...
ქალის სხეულში
გული რომ
მზეობს,
ის გული ხშირად
სალი კლდეცაა
და უფრო მეტად
ის მაშინ
კლდეობს,
როცა დედაა...
და თუკი დღემდე
მე მონა ვარ
ამ სილამაზის,
ესეც ბრალია
მხოლოდ კლდის და
მხოლოდ ავაზის...

## თოვლიანი რაჭა

მოლიპულ გზებზე ვეღარ ვიარე,
ფიქრიც დაცურდა, როგორც ურემი...
თოვლიან ტყეებს და შლეგ მდინარეს
ახლა შორიდან ვესათუთები...
რაც რაჭის ცის ქვეშ ღამე ვათიე,

ერთი რამ ვიცი დანამდვილებით,
დროს ერთი წუთიც არ შევარჩინე,
ხარივით ვლოკე ქვამარილები...
ნაქერალაზე ან რას ვეძებდი,
ვერ მოვერიე ფიქრებს, თოვლიანს...
გაშმაგებული რივნის ენები
შიშველ რიყის ქვებს ისევ ლოშნიან...
და ეს ხმა არის, რომ არ მასვენებს,
მას მოფრთხილება მართლაც კი უნდა...
რაც კი თოვლი და ყინვა ვახსენე,
გადაქცეულა შაქარყინულად...
ამ გაზაფხულზე, როცა მთა-ბარი
შეიმოსება უფრო ხალასად,
რაჭის სიყვარულს დავუდარაჯებ,
ამოვიზრდები მეც ერთ ბალახად...
მოლიპულ გზებზე ვეღარ ვიარე,
ფიქრიც დაცურდა, როგორც ურემი...
რაჭის სითბოს და რაჭის სიყვარულს
ყველგან ვეძებ და ვესათუთები...

* * *

ვიღაცას ცა მოსწონს
დანისლული,
ვიღაცას პირიქით, –
წვიმის თქეში...
მორცხვი მიმოზების
თაიგული
სველი ფრინველივით
მითრთის ხელში...
ის, ვინც შენში ხედავს
ქალღმერთის, ან
ცისკრის ანგელოზთა

გაელვებას,
მე ვარ, ვისი გულიც
ბეწვის ხიდად
შენთვის მდინარეზეც
გაებმება...
ვისაც რა ენება,
ის ისურვა,
მე შენს სურვილშიაც
ვთანამდევობ...
მოდი, გამოვცალოთ
სიზმრის სურა,
ღამე სიყვარულში
გავათენოთ...

## შენ დაგეძებდი

ზღვის ტალღა
დილას ეკვროდა ხარბად,
ცას უხდებოდა
ფრენა გედების,
მწვანე ხავერდი
ემოსა პალმას
და კვლავ ხარობდა
მზესთან შეხვედრით...
ტანდასუსხული
გულდარდიანად
თითებს ვკარგავდი
ფერად კენჭებში...
*
შენ დაგეძებდი...

## ქალი ფორთოხლის ბაღიდან

ქალი ინახავს სათუთად
გრძნობას, მრავალგზის ნაისრალს...
ქალს სილამაზე არ ღუპავს,
ქალს სილამაზე დაიცავს...
შეხედავ, მინდვრის ყვავილს ჰგავს,
იტყვი: – ეს ნახვა რად ღირდა?..
მზესაც გვირგვინად დაიდგამს
ქალი, ფორთოხლის ბაღიდან...

## თქვენი ოჯახი აშენდეს!..

რაჭაში ბევრი სახლია,
კოხტად ნაგები, ფიცრულად,
სადაც კეთილ კაცს კვლავ თვლიან
ძმადნაფიცად და ღვთის სტუმრად...
მარილჩანაწებ პურსაც კი
მერე ღვინოში ალბობენ,
სიტყვაკაზმულობს სტუმარი,
თითქოს მზე ლაპარაკობდეს:
– აშენდეს თქვენი ოჯახი!.. –
იღვრება ფუძის კურთხევად...
ქალს თუ სინაზე ამშვენებს,
კაცს გაღიმება უხდება,
კაცს ვაჟკაცობა შეჰფერის,
თუმცა გულჩვილობს ხანდახან...
ქვემო რაჭა რომ ბედს შეგყრის,
ზემო რაჭისკენ საგზლად გაქვს;
თუ გვექნა სითბოც, საკმარი
და არა მარტო ლორუკა,

კუდს ვერ მოიქნევს ზამთარი,
გამოელევა ღონუკა...
სახლიც ყოველთვის დაგვიცდის,
კოხტად ნაგები, ფიცრულად,
გული მეც იქით გამირბის,
როგორც პატარა კვიცუნა...

* * *

შენზე ოცნება მდევდა ფეხდაფეხ,
ზოგჯერ ეკიდა ცხენსაც ფაფარზე,
შენ კი პატარა სევდაც ვერ დათმე,
ცელქი ბავშვივით ხელს რომ აფარებ...
თუმცა წუთებმაც ფეხი აგიწყვეს,
ჩემთვის ნუგეშიც არ გემეტება...
ეს ბეწვის ხიდი რომც არ ჩამიწყდეს,
ნაღველი მაინც დამებედება...
ჰოდა, კვიცივით რომ გაიხედნოს,
სხვა გამოსავალს მაინც ვერ ვხედავ,
ორივემ ერთად უნდა მივხედოთ
ამ მოუსვენარ, პატარა სევდას...

* * *

მგონი ისევ გაწვიმებას აპირებს,
ღრუბლებს ისე დაებერათ ფილტვები...
– ნეტავ, ამ ცას ასე რაღა ატირებს?.. –
ერთმანეთში ბჭობენ მწვანე ფიჭვები...
ფიჭვებმა კი რა იციან ცის დარდი,
ფერიც რომ არ შეუცვლიათ ოდესმე...
შენ ჩემს ფიქრებს ცასავით რომ კინძავდი,
ამიტომაც გიწამე და მოგენდე...

* * *

ნისლი
თეთრი მანდილით
და ცრემლივით ნამდვილი,
ქალის ჩუმი ლანდივით,
თუკი გვერდით ჩაგივლის,
სულ არ არის მარტივი,
ბავშვის ჩანახატივით...

* * *

მოგონებებს მაინც ჩემთვის ვინახავ,
დღეები რომ ფიფქებივით ფანტავენ,
მე რომ შენი გაღიმება მინახავს,
ისეთს ალბათ, მხატვრებიც ვერ ხატავენ...
ეს სინაზე მხოლოდ ნიავს სჩვევია,
ყვავილებს რომ ეფერება ნიადაგ,
სინანული რადგან შემომრჩენია,
ეტყობა, რომ ცოტა დამაგვიანდა...
თუ ფოთლებიც სიყვარულზე მღერიან,
რა აზრი აქვს, გავეჯიბრო სხვა მხატვარს,
გაზაფხულზე ცას ისეთი ფერი აქვს,
ავდგები და კვლავ სიყვარულს დავხატავ...

## ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲔᲗᲨᲘ

ბედისწერასავით
ის, რაც დავიჟინე,
დროსაც შემორჩება
ზოგჯერ მითებად...
ბარისახოში რომ

ცხენი დავიჭირე,
კი ღირდა უბელოთ
გაჯირითებად...
მინდორზე გაფენილი
თეთრი ფარდაგივით,
როგორც ბამბის ფთილა,
ვნახე თეთრი ცხვრები...
შატილში მიმელოდა
ღამე გიშერა და
დილა ცვარდაყრილი,
დილა, ვერცხლისფერი...
ბედისწერასავით
ის, რაც დავიჟინე,
დროსაც შემორჩება
ზოგჯერ მითებად...
ბარისახოში რომ
ცხენი დავიჭირე,
კი ღირდა უბელოთ
გაჯირითებად...

## ოთხი სახარება

„ერთი სახარება,
ერთი გახარება“...
ბევრი გათენება,
ბევრჯერ დაღამება
და...
დაბადება...
„ორი სახარება,
ორი გახარება“...
ბევრი გაზაფხული,
ბევრჯერ დაზამთრება

და...
გამრავლება...
„სამი სახარება,
სამი გახარება“,
სამის შეერთება,
ერთის გასამება
და...
აღსარება...
„ოთხი სახარება,
ოთხი გახარება“,
ოთხი ფიცარი და...
სულის განათლება...

* * *

ჯადოსნური მთვარე
სხივს ჩამოჰგავს მზისა,
ღმერთო, დამიფარე
ფერით ამ ზეცისა...
შუქი მორთავს ატმებს,
გაალაღებს სივრცეს,
თეთრად მოფარფატე
ნეტავ, ფიფქად ვიქცე..

## რაჭის სადღეგრძელო

გული სხვაგვარად ფეთქავს, თითქოს ზეცისკენ იწევს,
ისე ახლოს ვარ ღებთან, ღმერთთან საუბარს ვიწყებ, –
ღმერთო, ადიდე ფუძე და ჭერს მოჰფინე მადლი,
როცა მრავალძალს ვუმზერ, თავზე მირონი დამდის,
შუბლთან მიტანილ სამ თითს მე ჯვრად ვისახავ პირზე,
ზურგს ვერ შევაქცევ სამთისს, გინდაც რომ რამე მჭირდეს...

ან კი, რა უნდა მჭირდეს აქ, სიყვარულის მეტი?..
სხვას ვერ დავუთმობ ჭიბრევს, ჩემია ფარახეთი...
ნიავს გავატან წერილს, მკერდზე რომ წლობით ვწერდი,
რომ სიხარულის ცრემლი წვიმად ედინოს წედისს,
აუყვავილდეს კორდი, ყოველთვის, როცა მოწვიმს,
რივნის ჭალაზე ჩორდი კვლავაც იხდიდეს ქორწილს...
მზე რომ დედოფლად მორთავს, ვარდს ედედოფლოს მუდამ,
ემღერებოდეს ქორთას, ეცეკვებოდეს ზუდალს...
ვერ გავიმეტებ მეწყერს, ფერსაც შევუცვლი შავ ქვას,
სულ მისხალ-მისხალ შევძლებ, სული ვუბერო ჟაშქვას,
რომ არ ჩაუქრეს კერა, სულს მივცემ სამოსახლოდ,
ხელს გადავუსვამ სევას, გულთან მყავს ისე ახლოს,
მისი სუნთქვაც კი მესმის, აქ ხომ ონტკოფაც მოცვობს,
გინდა ისევე ლოცო, ნისლი რომ ასდის ბორცვოს,
რომ ესინჯება გემოც, ნისლია ჭადის სისქე,
ქარსაც კი ისე ვჩემობ, მივყვები წკადისისკენ...
ვინ რას ელევა, მან თქვას, სუნით ვცნობ ყველა ღელეს,
ვერ შეველევი, რა ვქნა, შხივანასა და ველევს...
მზეს რომ ხელები ჰქონდეს, ჩაიხუტებდა გულში,
ვარდს მოსტაცებდა ხოტევს, დარგავდა ბუგეულში...
ისე ელვარებს გული, მზემ სხივი დაატოლა
და ცა ასეთი ლურჯი შემოაქსოვა ტოლას...
ეს სილამაზე მხოლოდ, ზღაპრად მაქვს განაგონი,
შეხიდებია ქოლთსს სიწმინდე ბარაკონის...
ეს ყველაფერი კარგი, ან კი სხვა რაღა მინდა?..
წყალმა წაიღოს დარდი, როცა მაქვს ნიკორწმინდა...
როცა მრავალძალს ვუმზერ, თავზე მირონი დამდის,
ღმერთო, ადიდე ფუძე და ჭერს მოჰფინე მადლი,
გული გააბი ჯაჭვად ყოველთა კაცთა შორის
და დამილოცე რაჭა, – მხარე, სამოთხის ტოლი...

## როცა ღამეა

ქალი მზეა და ნატვრისთვალია,
ხან მზე კი არა, ის შარბათია,
კაცმა რომ ალალბედზე დალია
და სიყვარულით დღემდე მთვრალია...
როცა სიურჩეს მთვარეს მოჭპარავ,
ლოყა, ნაკოცნი სულ სხვა ლოყაა,
სულ სხვა რამეა, როცა ღამეა
და არნახული სითამამეა...
როცა ღელვა და ცაში ფრენაა,
სულ სხვა ბგერა და სხვა სიმღერაა,
როცა რწმენა და არმოთმენაა
და სიყვარულის ვარსკვლავთცვენაა...
სულ სხვა რამეა, როცა ღამეა
და არნახული სითამამეა...
ქალი მზეა და ნატვრისთვალია,
ხან მზე კი არა, ის შარბათია,
კაცმა რომ ალალბედზე დალია
და სიყვარულით დღემდე მთვრალია...

## გენაცვალე
### (სახუმარო)

კაცს სიკეთე გიჩანს თვალში,
არ დაგრჩები არც მე ვალში...
თუ ღვინოც გაქ ჭურუკაში,
გენაცვალე გულუკაში...

## ქრისტეშობა

დეკემბრის ღამეს,
ცაზე ნებივრად,
მთვარეც ყოფილა
დედიშობილა,
მაგრამ ის არვის
გახსენებია,
რადგან მიწაზე
ღმერთი შობილა...
ზეცამ ღვთისმშობლის
ფერით მოცულმა
ღამე ნეტარი
შუქით შემოსა
და მოგვილოცა
ღვთისგან ორსულმა
ყველა ჩვენგანში
უფლის შემოსვლა...
და ანგელოზთა
ნაზი გალობა
დღემდე სიკვდილსაც
აცლის ღონესა,
ჩვენ კი იმედად
გვექცა წყალობა,
ამ დაბადებით
რაც კი მოგვეცა...
დეკემბრის ღამეს,
ცაზე ნებივრად,
მთვარეც ყოფილა
დედიშობილა,
მაგრამ ის არვის
გახსენებია,
რადგან მიწაზე
ღმერთი შობილა...

* * *

ნაზო იაო...
ენძელაო...
ტკბილო ზმანებავ,
რაც სცოდნიათ,
ახლა მივხვდი
თქვენ მონატრებას...
დილით ღობესთან
ვერ გნახეთ და
ველად დაგეძებთ...
მეცოტავება
დედამიწაც
მე თქვენ გარეშე...

## რაჭავ, ქართველთა სინდისო...

ქართველს რამდენი მთაცა აქვს,
იმდენ სალოცავს ითვლისო,
შენ სიყვარულით სავსე ხარ
რაჭავ, ქართველთა სინდისო...
სიტყვა საქებრად ნათქვამი
თითქოს ხმად მესმის რივნისო,
მინდა, ეს ცივი ზამთარიც
სულ შენით გავაივნისო...
შენს ცას რომ ხოტბა შევკადრე,
სულში ვარდებად ღვივისო,
რა სიკეთესაც შემყარე,
წვიმად არ გადაივლისო...
გულიც ვაქციე ვენახად,
შენ, ჩაუქრობი მზის ღირსო...
მართლაც რომ კაცის რწმენა ხარ
რაჭავ, ქართველთა სინდისო...

## საახალწლო

თოვლის თეთრი ფანტელი
ხელის გულზე ქრება,
მაგრამ სიზმრის ახდენის
ახლა უფრო მჯერა...
ამ ფარფატა ფიფქებმა
ცას მოსტაცეს მთვარე
სასწაულებს მპირდება,
ახალი წლის ღამე...

## რაჭაო, ჩემო დედაო...

რაჭაო, ჩემო დედაო,
ჩემო მტრედო და ქედანო,
არ გაგიკვირდეს, თუკი მზეს
სითბოთი მეც შევედარო,
ხელებსაც ფრთებით შევიცვლი
და არც ვინ შემომედავოს,
ჩემს გულში შენი მთებიც კი
ბულბულებივით სხედანო...
დაგლოცავ, მამა-პაპისგან
ერთგულად დანატერფალო,
ავი თვალისგან დამიცავს
შუქი მაგ ლამაზ ფერთაო,
გულს სანთელივით დაგინთებ,
ცალურჯო, მთანავერცხლარო,
ფიქრშიც ბევრ ღამეს გაგითევ,
ჩემი ოცნების მერცხალო...
არ გაგიკვირდეს, თუკი მზეს
სითბოთი მეც შევედარო,
ჩემო მტრედო და ქედანო,
რაჭაო, ჩემო დედაო...

* * *

ნერგს გაზაფხულით
უნდა ხარება,
მიწის ვაჟინის
შესმა ლოთურად...
წამოყელყელდა
სუნთქვა ქარებად
და შენც ოცნების
წვიმად მოსულხარ...
ცინცხლად ცრის ზეცის
ცისფერ საცრიდან,
წვიმა სისველით
თმასაც მვარცხნის და...
შენი ოცნების
წყაროს სათავედ,
მე სიცოცხლესაც
კი დავამთავრებ...

## ქალი ცისკარია

ქალი ცისკარია,
მადლიც ცის დარი აქვს, –
ცოტა მთვარისაგან,
ბევრი კი მზისაგან
და მაინც ღვთისაგან...
ქალი ცისკარია...
ქარი კი რის ქარია,
თუ არ ჩაგისაფრდა,
ნუშსაც დაებერტყა
მხრები ქარისაგან,
ტოტებს შეაცივდა

მხოლოდ მზის ნარჩენი...
და თუა საშველი, –
არა ქარისაგან,
მხოლოდ ქალისაგან
და მაინც ღვთისაგან...

* * *

ცაო, ცვარო, სალოცავო,
ცრემლო წრფელო, ქორბუდის,
ასე რატომ გამიმეტე,
რატომ გამითრგულდი?!..
ვეღარც ხილი მომიხილავს,
ხიბლი გამიხეიბრდა,
სავენახე, ვნახე ამ რქამ
არ ქნა არ იხეირა;
წვიმა წყევლის, ისე წველის
ცას ცოდვილი, ხელცივი...
ჩემს ამ ყოფას, სხვა ვერავინ,
ისევ, შენ თუ შეცვლიდი...

## ქართული სუფრა

აქ ღვინოში წინაპრების გული ფეთქავს,
ხოლო პური მათი სულის ნაწილია...
გული, თითქოს კელაპტარად გადამექცა
სუფრა ჩვენი, სალოცავი ადგილია...
სიტყვას იტყვი, წინ ვერავინ დაუდგება,
სადღეგრძელო წყაროსავით ნამდვილია,
ყოველივე, რაც წლებითაც კი არ ხუნდება,
დედის ლოცვა, ჭაღარა და მანდილია...
მუხის ფესვებს ვერ დააკლებს მეხიც ვერას,

რწმენა თუ აქვს, კაცი მუდამ მარჯვედაა...
ის, რაც შვებად და იმედად გვეხიდება
მხოლოდ მამის ძალაა და მარჯვენაა...
გული, თითქოს კელაპტარად გადამექცა
სუფრა ჩვენი, სალოცავი ადგილია...
აქ ღვინოშიც წინაპრების გული ფეთქავს
ხოლო პური მათი სულის ნაწილია...

* * *

ასე, უბრალოდ,
ამ თეთრ საღამოს
თუ მოგენატრო,
რაღა გაშინებს,
იქნებ, არც ღირდეს
სალაპარაკოდ,
შენთან გავჩნდები,
შენთან, მაშინვე...
ზეცას ავხედავ,
შენს თვალთა ფერთან
მისი სილურჯეც
მონაგონია...
მიყვარხარ მეტად,
იმაზე მეტად,
შენ რომ ფიქრობ და
შენ რომ გგონია...

## ოცნების ეტლით

ნუშის რტო ყვავილებით,
მზეს რომ მიელტვის,
მოდი ჩემთან და თან გავყვეთ
ოცნების ეტლით...
გაფრენილან წლები და
თეთრი გედები,
მაგრამ მაინც გელი და
მეიმედები,
მარტოობის ბაღშიც კი
ვნახავთ ყვავილებს,
მერე რა, თუ სევდისფრად
გავინაპირეთ...
ნუშის რტო ყვავილებით
მზეს რომ მიელტვის,
მოდი ჩემთან და თან გავყვეთ
ოცნების ეტლით...

## დიდება შენდა!..

მაღლა მიიწევს შენობათა
კედლები თეთრად,
ქვემოთ კი სული ნანგრევებზე
ხავსად ჯეჯილობს,
შენებას ყოველს ის მერჩია,
რომ ერთხელ მეთქვა:
– დიდება შენდა,
სათნოებავ, გადარჩენილო...

## მე ვარ...

მე არც წიგნი ვარ,
არც რვეული და არც წერილი,
მე ბალახი ვარ,
ღობის ძირას ამოწვერილი...
მე არც ტირე ვარ
და არც მძიმე, ანდა წერტილი,
მე მტევანი ვარ,
საწნახელში გამოჭყლეტილი...
მე არც ბრძენი ვარ,
არც მისანი და არც გრძნეული,
მე აკვანი ვარ,
კერიასთან გადარწეული...
ვინ არ ყოფილა
მთვარის ეშხით გადარეული...
მე ყვავილივით
ქალის თმაში ვარ ჩაბნეული...

## გიორგობა

ფეხებზე ხუნდებით,
მკერდზე დიდი ლოდით,
რამდენ ჭირს უძლებდი,
რამდენს შიმშილობდი...
ბორბალზე სერავდნენ
სიცოცხლეს ველურად
და რწმენის მწვერვალზე
ახვედი ერთგულად...
მეც იმ სიხარულით,
რაიც მირონს მოაქვს,
ვლოცავ სიცოცხლეს და

ვლოცავ გიორგობას...
ორმოშიც ჩააგდეს,
თავზე კირწაყრილი,
ხარის გამხმარ ძარღვებს
ითმენდი მადლისთვის,
რაც ღმერთმა მოიღო
ჩვენს სულის საოხად,
გული თუ ცოდვილობს,
შენ რწმენის წყარო ხარ...
ძლევამშემოსილად,
ყველას საქებარო,
გულსაც შემოგწირავ,
შენ უფლის მხედარო...
ბორბალზე სერავდნენ
სიცოცხლეს ველურად
და რწმენის მწვერვალზე
ახვედი ერთგულად...
მეც იმ სიხარულით,
რაიც მირონს მოაქვს,
ვლოცავ სიცოცხლეს და
ვლოცავ გიორგობას...

## გვირილები

ისეთი მონატრება
სცოდნიათ გვირილებს,
შენს მონატრებასთან
თუ გავაიგივებ...
ზამთრის მომლოდინე,
რას აღარ იფიქრებ...
ქარში ფოთოლს მივდევ,
თან ვეძებ გვირილებს...

ოცნებაც ყოფილა
თოვლისგან ნაფიფქი,
სხვა სილამაზეა
გვირილით ნაფიქრში...
თოვლიც მოვა, მაგრამ
გულს ვერ გამიგრილებს,
შენთან ღიმილს ვატან
ფრთათეთრა გვირილებს...
შენს მონატრებასთან
თუ გავაიგივებ,
ისეთი მონატრება
სცოდნიათ გვირილებს...

## ვეღარ გაპატიებ

თუმცა კი ვეცადე,
გულის ფორიაქი
უკვე საფერფლეშიც
ვეღარ ჩავატიე,
რადგან აღარ მშველის
აღარც კონიაკი,
რა ვქნა, თუ სიჩუმეს
ვეღარ გაპატიებ...
ცაზე ვარსკვლავებმა
მზის კარი ჩარაზეს,
თვალი მხოლოდ მთვარეს
რადგან შევაჩვიე,
ახლა, ჩემი სახლის
ღია ფანჯარაზე
ბალბის აყვავებაც
კი ვერ შევამჩნიე...
ჩემი სიყვარულით

იქნებ ისევ შევძლო,
მზეს რომ ფანჯრისაკენ
გზები კვლავ მოეცეს
და ამ სიხარულმა
წამლად იმოქმედოს
ასე ნაღვლიან და
მწარე ალოებზეც...
ადრე თუ სიჩუმით
და გზით, თოვლიანით
ბევრჯერ დამსაჯე და,
ბევრჯერ ამატირე,
თუმცა კი ვეცადე,
გულის ფორიაქი,
უკვე საფერფლეშიც
ველარ ჩავატიე...

* * *

ფერი დაუკარგა
ვარდის სურნელებას,
შენმა დაპირებამ
დაუსრულებელმა...
თუკი მე ვადარებ
მზეს ყვითელ პეპელას,
ზეცის ცისფერ ყვავილს
ფრთებით რომ ეხება...
ჩემთან რომ მოხვიდე
და გულის შეწევნად,
სითბო მიწილადო,
ის არ გეხერხება?!
ფერი დაუკარგა

ვარდის სურნელებას
შენმა დაპირებამ
დაუსრულებელმა...
არ ვიცი, ვინ როგორ
ან რა ბედს ეწევა...
სიჩუმის სანაცვლოდ
ვიყენებ ფერწერას
და ისევ ვადარებ
მზეს ყვითელ პეპელას,
ზეცის ცისფერ ყვავილს
თავზე რომ ევლება...
ვცადოთ, გაზაფხული
თავიდან დავხატოთ
ჩვენი სიყვარული
ვაქციოთ შედევრად...

## წყურვილი

მე შენ დაგარქვი...
ქალი –
ჩემი გულის რჩეული,
მაგრამ საზღვარი,
ხომ აქვს, კარგო,
ამდენ ლოდინსაც?..
დავეწაფები
შენს სიყვარულს,
მოწყურებული,
როგორც მჟავე წყალს,
ხარ-ირემი,
მყვირალობისას...
ველარ დავრჩები
ამ მთებივით

გარინდებული,
რადგან დაგარქვი
ქალი –
ჩემი გულის რჩეული...

## და... გაზაფხული

ფერმკრთალ მინდორს
ნაკადული
ისე ჩაუვლის,
თითქოს არც კი
განეცადოს
ის გაზაფხული,
სიყვარულზე
სანადიროდ...
მოსულ ღამეში
ყვავილებს რომ
შევატოვეთ
ჩვენი ალერსი, –
გრძნობა არცთუ
მთლად მითური,
მაგრამ ზღაპრული...
მენატრება
მინდვრის სუნი
და... გაზაფხული.

## მე გპირდები...

ბედნიერებას
მე გპირდები,
რასაც ეძებდი,
კაბას იებით
დაგიქარგავ,
ანდა ენძელით...
და ახლა, როცა
მზესაც ღებავს
წვიმა ვერცხლისფრად,
სულაც არ ვღელავ,
ერთად ყოფნა,
რაკი გვეღირსა,
გვირგვინს დაგადგამ
გიშრის თმაზე
უფლის შეწევნით...
სიცოცხლესავით
რომ მიყვარდე,
შენ ეს შეძელი...
ბედნიერებას
მე გპირდები,
რასაც ეძებდი...

## მე ვეფერები...

ფიქრებით მივდევ
მე შენს აღმართებს
და მაშინაც კი,
როცა ვივაკებ,
ზღვა სიყვარულით,
რაც გულს დამართე,

მე ვეფერები,
თუნდაც იმ ნაკელს,
ბოსტანში გაჭრილ
პატარა კვლებში,
მწვანილის ძირზე
ხელით წაყრილზე,
რაც კი იმედი
შემომრჩა მკერდში,
ის რომ სიკეთის
თესლად აღვივებს...
მე ვეფერები
რაჭას დაღლამდე
და მაშინაც კი
როცა ვივაკებ,
იმედით მივდევ
მე მის აღმართებს,
უიმედოდ კი
ან რას ვივარგებ...

## მისანი

სევდით ნაწამებ
დილის წამწამზე
ცვარი ცრემლიან
განცდით შებმულა,
თითქოს წააგავს
ღამის განათევს,
ცა ისერიგად
გარინდებულა...
კვლავვინდებურად
დავეძებ წყაროს,
ისევ ამეწვა

ყელი სიმშრალით...
და ალბათ ბედის
წაკითხვას ლამობს,
გზაც გაყურსულა,
როგორც მისანი...

* * *

ცას შერევია გაზაფხულის
რძისფერი ნისლი...
ვეღარ ველევი ვერც იას და
ვეღარც მის სიცილს...
მზე ზოგჯერ სითბოს ისევ მიყოფს
ჩუმად, სამადლოდ,
უფერულია ეს სამყარო
უიასამნოდ...
ასეა მუდამ, როცა ისევ,
ვეძებ პასუხებს,
უყვავილობაც ამის გამო
უფრო მაწუხებს...
როცა ვერ გხედავ, უთქმელობა
იქნებ არც ღირდეს,
უნდა შევჩივლო გაზაფხულის
ავდარ ამინდებს...
მზე ზოგჯერ სითბოს ისევ მიყოფს
ჩუმად, სამადლოდ,
უფერულია ეს საღამო
უიასამნოდ...

## გაზაფხულამდე

ცას თუნდაც ნისლი მოსავდეს,
მე, ყველა ღრუბლის ჯინაზე,
კვლავ, გაზაფხულის მოსვლამდე,
შენი მზით გამოვიზამთრებ...
ქარს ვნება რომც არ ჩაუცხრეს,
ქარისას არც რას ვიწამებ,
შენ რომ ღიმილი მაჩუქე,
მე იმით გამოვიზამთრებ...
ღამეც რომ ისე გაავდეს,
მთვარეს დაუწყოს წვალება,
მე მაინც ვეღარ გადავდებ,
შენი მზით გამოზამთრებას...

## ნუ იტყვი...

არ ვიცი,
რისი ბრალია,
ღამეა, არ ჩანს
არავინ...
ერთი უბრალო
მგზავრი ვარ,
მე ოცნებათა
ქარავნის...
ნუ იტყვი, –
მერე რაათ,
როცა წუთებიც
იცდიან...
თვით, სიყვარულზე
საამო,
ზოგჯერ მოთმენის
ნიჭია...

## ᲝᲦᲝᲜᲓᲐᲪ

როდემდე უნდა უბეროს
ამ ქარმა ნერვებაშლილმა?..
მგონია, თითქოს უდედოდ
მიტოვებული ბავშვი ვარ...
იქნებ, ბოლომდე მეთმინა
ქარის ეს შფოთვა, გნიასი,
ცოტა ხნით რომ დაეცლია
ოცნების ხატვა ქვიშაში...
ფიქრს რაც კი დრო მოვანდომე
მე დამაბრალე, არ ვჩივი,
ოღონდ ქარს ნუ შემატოვებ
მიტოვებული ბავშვივით...

## ᲐᲚᲣᲑᲚᲘᲡ ᲦᲕᲘᲜᲝ

ენძელასაც აღარ დავკრეფ,
აღარც ღიღილოს,
შენთან ერთად უნდა შევსვა
ალუბლის ღვინო...
საზრუნავი ახლა ისევ
გამიასკეცე,
შენ ასობით თვალი გიცქერს...
თვალი არ გეცეს...
აღარ ვეძებ აღარც იებს
და არც გვირილებს,
სახლის გზაც თუ დამავიწყდეს,
ნუ გაიკვირვებ...
ბევრჯერ ვნახე ვარსკვლავთცვენა,
ბევრიც ვილოცე,
მაგრამ ფიქრი ფიქრად რჩება,

ჩემო სიცოცხლე...
ისევ მოსწყდა ვარსკვლავი და
ამ მთვარის ჯიბრზე,
ჩემთან მოდი, ჩუმად გეტყვი,
რაც ჩავიფიქრე...

## უგვირილოდ?..

როცა შემოდგომა მობრძანდება,
ფოთლებს გაუმართავთ რიარია,
როცა ნეკერჩხლებიც მომტირიან,
ჩვენი ეს შეხვედრა გვიანია...
მზე ხან გამოჩნდება, ხან გაქრება,
ასე გიწილადებ გულის სითბოს,
მაგრამ სიყვარულის დაბადება
როგორ მოგილოცო უგვირილოდ?..

## სიყვარული

თუ სიცივეა,
გული კი გნაცრავს,
ცხელა და მაინც
კვლავ სიცივეა, –
ეს იგივეა,
რომ ხარ და არც ხარ,
რომ სხვას ეკუთვნი,
ეს იგივეა...
როცა ფიქრია,
და ცრემლი ახლავს,
ცას გახედავ და
წვიმაც იქვეა, –

ეს იგივეა,
რომ ხარ და არც ხარ,
რომ სხვას ეკუთვნი,
ეს იგივეა...

## მადლობა

გზა თუ გამოჩნდა,
ნუ ჩივი
მთვარის შუქსა და
ზურგის ქარს...
მადლობა ყველა
წუთისთვის,
რაც კი მოგვეცა
უფლისგან...
ბედის შეცნობის
გულისთვის,
ნუ შეედრები
გულთმისანს...
მადლობა ყველა
წუთისთვის,
რაც კი მოგვეცა
უფლისგან...
სანთელი ნელა
თუ იწვის,
რას ელი მკრთალი
შუქისგან...
მადლობა ყველა
წუთისთვის,
რაც კი მოგვეცა
უფლისგან...

## შენი სითბო

საქმე ისაა,
მთვარემ კაცს რომ
გზა გაუნათოს,
თორემ ღამე ხომ
მთვარითაა
მართლაც უნაკლო...
დილას ყოველთვის
შეუძლია,
მზით რომ იმეფოს,
საქმე ისაა,
მზემ რომ სხივი
გამოიმეტოს...
მთვარეც ღვთისა და
მზეც ღვთისაა
და ბედს მივანდობ...
საქმე ისაა,
შენი სითბო
რომ მიწილადო...

* * *

შენ ხომ იცოდი,
რომ ზღაპრულ კოშკს
ვერ აგიგებდი
და ვერ შევძლებდი,
რომ მეცხოვრა
შენთან მეფურად,
მაგრამ გათბობდა
ერთად ყოფნის
ჩუმი იმედი

და მზად იყავი,
სიყვარულის
ზღვა გაგვეცურა...
...ჩვენ ახლაც ვცურავთ,
სიყვარულის
მეწამულ ზღვაში
და მზის სხივებიც
გვიგზავნიან
სითბოს მაღლიდან...
მე ეს შევძელი,
რომ მეპოვე
უთვალავ ქალში
და მყვარებოდი
ცხოვრებისგან
ასე დაღლილსაც...

## ნაქერალა

ჩემო ყველავ და ძმის გულო,
სხვა რაღა უნდა გისურვო,
როცა ტყის გულიც ლამაზად,
ასე საყვარლად ტყიბულობს...
ნისლი აცურდა შაორზე,
გული რომ ფიქრად დაიტევს,
ნისლს კი როგორღა ჩამორჩეს
შინდის ან თუნდაც წაბლის ხე;
მათი ძლიერი ფესვებით
შევზრდილვარ მეც ნაქერალას,
სანთლით ცხრაჯვარზე შეგხვდები
ამ ზეცის შესაქებარად...

როცა ტყის გულიც ლამაზად,
ასე საყვარლად ტყიბულობს,
სხვა რაღა უნდა გისურვო,
ჩემო ყველავ და ძმის გულო...

* * *

შენი სუსტი წელი,
ღამე ჩუმი, ბნელი...
შემაშველე ხელი,
ღამე ველარ მშველის...
თუ დამიგე მახე,
როგორც განაჩენი,
შენ იყავი ბარემ,
ჩემი გადამრჩენი...

* * *

ეტყობა, დღესაც დაიგვანებს,
არ ამოსულა მთვარე არც წუხელ,
მაგრამ თავის გზას მაინც მიაგნებს,
მოვა და ღამეს ფიქრებს გაუმხელს...
*
ცა მოიღრუბლა ისევ დილიდან
და ყელზე მიჭერს თითქოს მარწუხებს,
ღრუბელი ყელში ამომივიდა...
მე უშენობა უფრო მაწუხებს...

## სვეტიცხოველი

თითქოს, მზესაც კი
ლოცვაში აქსოვს
ზეცა იესოს
კვართის მქსოველი,
სწორედ ეს მზეა,
გუმბათს რომ ათბობს
ღვთივკურთხეული
სვეტიცხოველის...
ხმალი, წინაპრის
სისხლით ნაფერი,
სახვნელთან ერთად
რომ არ გვჭეროდა,
ერთი, პატარა
მიწის ნაგლეჯიც
არ დარჩებოდა
საქართველოსგან...
რომ მოგვეხარა
ქედი დიდგორთან
და შეგვეჭამა
იმ მტერთა ჯავრი,
არ იქნებოდა
დღეს არც იკორთა,
არც გელათი და
არც მცხეთის ჯვარი...
საქართველოსთვის
თუ არ ვილოცეთ,
ან სული როგორ
უნდა ვიცხოვნოთ?..
არ იქნებოდა
არც ეს სიცოცხლე
უგელათოდ და
უსვეტიცხოვლოდ...

## შენ გამო

შრიალით აასიმღერა
ბალახის ღერმა
სუნთქვა...
თუ თქვა არაკი
რაკრაკით
მოსარკულ
რუმაც
შლეგმაო,
მხოლოდ
შენთვის და
შენ გამო...

## დედის ხსოვნას

უფალსაც ალბათ
ასე ენება,
მოჰგავდი უფრო
მზის ჩასვენებას;
თუმც კერიაზე
ტკივილი ხოხავს,
გამთენიისას
შენ ისევ მოხვალ;
მოხვალ ენძელად,
ფრთათეთრ გვირილად,
ან იელებში
შემალულ მოცვად,
შენ ისევ მოხვალ
ვარდისფერ ლოცვად,
დაეფინები
ფოთლებზე მოცხარს...
ჩუმად და მორცხვად,
შენ ისევ მოხვალ...

## დავითს

დე, მოეხადოს,
დე, მოეხადოს,
ერის წინაშე
კაცს, შენებრ ვალი...
წმინდა სახელის
მეფევ და ხატო,
„საუკუნომცა გაქვს ხსენებაი“...
როგორც უფალმა გადმოსვა მტრედი,
სულიწმიდად და
მადლიც რომ ქროდა,
შენ სინანულის
გალობანს წერდი,
და საქართველო
მხრებით მოგქონდა.
დე, მოეხადოს,
დე, მოეხადოს,
ერის წინაშე
კაცს, შენებრ ვალი...
წმინდა სახელის
მეფევ და ხატო,
„საუკუნომცა გაქვს ხსენებაი“...

## ტაძრის შესასვლელთან

ვინ იცის, იქნებ ჭადრებიც კი
თვალს გაყოლებდნენ...
ახლა ამ ჭადრებს ჩამოტეხილი
რტოდაც აკლიხარ,
ის სილამაზე შერჩენია
თვალებს ბოლომდე,

როცა ეძებდი ამ ქუჩაზე
ფერად ნატვრისთვალს...
დაწყვეტილ ნერვებს სევდის ჩანგზე
აბამ სიმებად
და ჩანგს აკვნესებ სევდიანად,
გაწვდილ ხელითაც,
გეტყობა, გარეთ მარტო დგომა
გესიკვდილება
და მაინც დგახარ, რადგან სიკვდილს
დავიწყებიხარ...
ვინ იცის, იქნებ აუგიათ
შენთვის ტაძრები
და ეგ თვალები კედელ-კედელ
მიმოუხატავთ...
ბედნიერი ხარ შენს კალთაში
ხურდის ჩაგდებით
და აღარც გჯერა, თუ სხვა სითბო
შენს გულს უნახავს...
ვინ იცის, იქნებ ჭადრებიც კი
თვალს გაყოლებდნენ...

* * *

მზის სხივი ისე
უბნევია
ვარდისფერ თმაში,
ალბათ, ეს კვირტი
გაიშლება
სულ ცოტა ხანში,
პატარა მკერდი,
ნიავსაც რომ

ვეღარ უცვნია,
მტირალა ჩვილის
ტუჩებივით
ამობურცვია...
ამ განთიადსაც
სიხარული
კვირტივით გაშლის,
რადგან სიყვარულს
ამ გულიდან
ვერავინ წაშლის...

* * *

რომ მეგონა, თავი მშვიდად დავიგულე,
ახლა უფრო ამეშალა სადარდელი,
თუკი, მთაში ვეღარ შევკრავ თაიგულებს,
რას მიშველის ყვავილები შარშანდელი...
მინდა, სით დაღლილ გულს კვლავ მიგრილებდეს,
იქნებ, გზაზე გადავაგდო სავარცხელი,
დიდი ტყე რომ აღიმართოს ცის კიდემდე
და ვუყურო ღებს და გლოლას გადარჩენილს...
როცა გული სინათლეზე მეტად შუქობს,
მირჩევნია ჭრაქი მქონდეს და სანთელი,
ოღონდ წყალი არასოდეს დაემუქროს
მწვანე მინდორს, ფარდაგივით გადაფენილს...
გვაფიქრებდეს სატკივარი წუთისოფლის,
გვაფიქრებდეს სადარდელი წინაპრების,
მათ საფლავებს გადავხედოთ მრავალძლიდან...
დამერწმუნეთ, ასე უფრო გადავრჩებით...

## ის ვეღარ შეელევი...

ერთხელ მაინც თუ შეძელი,
ცა მზესავით დალოცე,
ის ვეღარ შეელევი
გვიან ჩამონათოვზე;
თითებზე კი ისევ დათვლი
ღამეს, თეთრად განათევს...
რა სითბოსაც იტევს ქალი,
მზისგანაც ვერ გაარჩევ;
გაგათბობს და გაგინათებს
გზას, თვალების ციალით,
იის კონებს აელვარებს
გაზაფხულის ნიავში;
გულიც ისე თუ გაათბე,
თუკი მადლიც აწონე,
იმ ქალს ვეღარ უღალატებ...
შენს შვილს ძუძუს აწოვებს...
ერთხელ მაინც თუ შეძელი,
ცა მზესავით დალოცე,
ის ვეღარ შეელევი
გვიან ჩამონათოვზე...

## ზამბახების ღამე

ზამბახების ღამე,
ოცნებათა ცა,
ზღაპრად მოელვარე
სიყვარულს ლოცავს,
ყვითელ მიმოზათა
ნაზი ღიმილის
შუქით მიმოქარგა

ჩიტმა ბილიკი...
მთვარე შვებად უჩანს
თმაშევერცხლილ მთებს,
ავედევნე უკან
ციცინათელებს...
მაგონდება ის დრო,
მაგონდები კვლავ,
ზღვის მეჯლისზე გიხმობ
მზისფერ დედოფლად...

## სულ სხვა სურნელი

ფრთაზე რომ ესვა ნიავს
დილა და ისე ქროდა,
წყაროსთან მწიფე ქლიავს
სულ სხვა სურნელი ჰქონდა...
მისი ფოთლების სუნთქვა,
გულში ალერსით ელავს,
მაგრამ სადღაა გემო,
პურს რომ ვაწებდი ტყემალს...
რაც შევიგრძენი მაშინ,
დრო რაღას გამომილევს,
მკვახე ალუჩა თითქოს
დღესაც ისევ მჭრის კბილებს...
ეს მტრედისფერი დილა
ისეთ სიყვარულს შეგყრის,
მოგეჩვენება ტკბილად
შინდის გამხმარი კერკიც...
ფრთაზე რომ ესვა ნიავს
დილა და ისე ქროდა,
წყაროსთან მწიფე ქლიავს
სულ სხვა სურნელი ჰქონდა...

## შენი თვალები

სულს მიმღელვარებს გულივით მომცრო,
გრძნობა, უთქმელად შემწე
და როგორ მინდა, დაკვირტულ ცის თვალს
მეც ცალი ხელით შევწვდე...
ცისა და მიწის განცდა ლოცვისა,
ვარდებად მცვივა მკერდზე,
მე ამ ვარდებში ისევ მოღიმარ,
ბედნიერებას ვეძებ...
დღე სიყვარულად გაიფოთლება,
მადლის სუფევა ღმერთობს,
შენი თვალები გამითბობს მზერას,
რომ სიყვარულად ვენთო...

## ზეცის სილურჯე

განა, სიურჩე?..
ზეცის სილურჯე
სულში შემოდის...
ჰოდა, შენც მოდი...
ვუყუროთ ერთად,
თუ როგორ ცეკვავს,
კვლავ გრძნობააშლილი
ცა, ბოშა ქალივით...
მას შვენის შენისლვაც,
სიმშვიდეც ძლიერ,
მის შესაფერისად
მეც ვიცვლი იერს...
უშენოდ გაძლება
არაა ადვილი,
ცა როცა კვლავ ცეკვავს,
თან, ბოშა ქალივით...

## ცრემლი

ცრემლმა სიმღერაც
გაატკივილა,
სევდის ქარავანს
თან რომ მიჰყვები,
შენივთებულა
ცრემლი ტირილთან...
დღეს სიყვარულში
გამოგიტყდები...

## ისევ მომინდა...

ისევ მომინდა,
რომ სისხამ დილით,
წვიმიან დილით
გავვარდე გარეთ
და გამოვაღო
ფანჯარა დიდი,
ცაში გაჭრილი
ვარდების მხარეს...
...სახეში წვიმა
შევისხა პეშვით...
ისევ მომინდა,
რომ ვგავდე შეშლილს..

## სურათი

მზე მწიფე ფერით
ჩამოჰგავს ატამს,
ქარვის მძივებს რომ
მდელოზე ფანტავს;
უცებ მოცხრისფერ

თვალებს აინთებს
და ცას გაუხსნის
კაბის საკინძეს...
გადაედებათ
ვნება წიფლებსაც,
მორცხვად ყოფნა რომ
ხელეწიფებათ...
იქვე ახლოს კი
წვანან რუები,
ხვევნა-ალერსით
განაბრუები...

## ნურვინ მაფხიზლებთ

როცა ვუყურებ
ვარსკვლავის ვარდნას,
მიწაზე თეთრი
ფიფქების ბარდნას,
ან გულზვიადი
კვირტების მსგავსად,
მზე როგორ ქარგავს
ბალახის ფარდაგს,
ასე მგონია,
მეც ფიფქად ვიქეც,
ანდა ვარსკვლავად,
ანდა ყვავილად...
ნურვინ მაფხიზლებთ,
მე ამ სამყაროს
ვერ შეველევი
ასე ადვილად...

## განწყობილება

სულ რომ არაფერი
არ ვიცოდე,
ღიმილს ვისწავლიდი
მთვარისოდენს...
და როცა შეარხევს
ქარი ფოთლებს,
ისევ ძველებურად
გავიოცებ...
მაგრამ ეს პატარა
გულწრფელობაც
თუკი შევალიე
ატმის ტოტებს,
ვიცი, ვერ ავიტან
უჩემობას,
მოხვალ და სიყვარულს
დამიტოვებ...
სულ რომ არაფერი
არ ვიცოდე,
ღიმილს ვისწავლიდი
მთვარისოდენს...

## გვიხსენ და გვახარე!..

მტვრიანი ხელებით,
მტვრიანი სახეებით
და სუფთა სინდისით
შენდება ტაძარი,
უცნაურ გახელებით,
ცოდვებთან ჭიდილში...
მაღლდება კედლები,

ჩვენც სანთლად ვენთებით...
წარსული გვავალებს,
წმინდაო ბარბარე...
ტაძარი სიდიდით
თვით ღმერთის ტოლია,
ესაა აწმყოც და
ესაა ისტორიაც...
ისევ იწერება
დიდი მატიანე,
დედამიწას რომ
მადლით ატრიალებს...
მოვალთ და ვემთხვევით
შენს წმინდა ნაწილებს,
ციური ნათელი
ჩვენც გაგვინაწილე...
გული ხომ რწმენაში
მზესავით ვარვარებს...
გვიხსენ და გვახარე...
გვიხსენ და გვახარე...
წმინდაო, ბარბარე!..

* * *

მე მოვედი, ვერ გიპოვე იებთან,
მხოლოდ სევდა შრიალებდა ფოთლებზე...
მერე ის დრო გამახსენეს ფიქრებმა,
მზე რომ გვეჯდა სიყვარულის მოლბერტზე...
ფერს ვეძებდით ერთმანეთის თვალებში,
თითებს თმების შერჩენიათ სურნელი...
იმ ნახატს კი უსასრულო ალერსში,
არც გვეგონა, თუკი დავასრულებდით...

ალერსს ახლაც სამახსოვროდ გიტოვებ,
ფერი გაცვდა, დამრჩა სევდა ულევი...
და მოლბერტის გახუნებულ ტილოზე
სევდიანად თვლემენ თაიგულები...

* * *

ბადაგს ღვინობას
ვეღარ ვადროვებ,
უნდა დავცალოთ
თასი მთლიანად;
ჩემგან ნაფერებ
ბნელ საღამოებს
მოიგონებდე
ხალისიანად...
ქარს გავატანე
ძველი ფარაჯა,
რომ მოვრეოდი
დღეებს ნაცრისფერს;
შენი სიზმრების
ერთგულ დარაჯად
გეგულებოდე
სევდის ნაპირზე...

## ჩვენი სიყვარული

გულმა რაც აქამდე
შენზე იოცნება,
სულ ქარს გაატანეს
მორცხვმა მიმოზებმა,
ისე მოვხიბლეს და
ისე აგამჩატეს,

სულის მობრუნებაც
აღარ დამაცადეს...
მაგრამ სურნელება
სუნთქვას შეერია,
გული კი სიყვარულს
ვეღარ შეელია...
ცამაც დაიბნია
ცრემლი, მზის ღილებად,
ვიცი, მოწყალებას
კოცნით გაიღებდი...
ჩვენი სიყვარული
კვლავაც იღიმება
მორცხვი მიმოზების
ნაზი გაღიმებით...

## ბავშვობანა

ბევრ საფიქრალს თუკი ისევ იტანს გული,
მინდა, კვლავაც სასიკეთოდ მეყოს ძალა,
მზემაც პირი დაიბანა ცის ნაჟურით
და მინდორიც ისევ მორთო დედოფალად...
მოგონება ახლა ისე გადაფუვდა,
როგორც ცომი, ხის ძველ გობზე მონაზელი,
ნეტავ, ის დრო წუთით მაინც დააბრუნა,
კაკლის ჩეროს თეთრი ქვებით რომ ვავსებდით;
წნელის ხულაც საცოდავად ქანაობდა
და ამგვარად ვთამაშობდით სახლობანას,
აბიბო კი გულს უჭამდა დიანოზას,
მაჟალოსგან არაყი თუ გამოხადა...
ქარი მინდორს მოსვენებას არ აძლევდა
უნდოდა რომ მოეტაცა დედოფალა,

მალულ გრძნობას მთლად ბოლომდე არ ამხელდა
და ჩვენსავით თამაშობდა ცხენობანას...
რად გვინდოდა ის ცხენი და ომობანა,
ალბათ ჯობდა, გვეთამაშა მშვიდობანა,
ბავშვობა ხომ ჭრელფრთებიან ხოხობს ჰგავდა
ნეტავ, ასე რად ვჩქარობდით დიდობანას...
მოგონებამ ფიქრი შეკრა კიდობანად,
წვიმამ მზესაც ისევ პირი ჩამოჰბანა;
მოდი, ცოტა დავივიწყოთ დიდობა და
კვლავაც ერთად ვითამაშოთ ბავშვობანა...

* * *

გული შემომრჩა ბავშვივით
და ჩიტმაც გამიმეზობლა,
ხელის გულივით გაშლილი
ერთი პატარა ეზო მაქვს;
ერთი პატარა ბიჭი მყავს,
პატარა ხბოსგან ნალოკი,–
ერთი პატარა ყვინჩილა,
კაცი რომ სანთლად ჩამოჰქნის;
გაიზრდება და ხარივით
ვიცი, ქვამარილს მოლოკავს...
ფერიასავით ფაქიზი
ერთი პატარა გოგოც მყავს...
ცოლი?.. უბრალოდ, ქალია,
გვირილას რომ ჰგავს ტანმორჩილს,
ჩემთვის კი საფიცარია
მისი თვალების ნაოჭიც...

## გული

აფრინდება,
სულ რომ ფრენა არ უნდოდეს,
გული შენთვის
შეეცდება ალუბლობდეს...
როგორ გაძლებ,
რტოზე ჩიტად არ ბუდობდე,
გედებიც ხომ
სიყვარულზე საუბრობენ...
განა, ვინმეს
სილამაზეს აწონებენ,
მზე ახურავთ
როგორც ოქროს დიადემა,
ერთმანეთს რომ
ვნებით კისრებს ატოლებენ,
სიყვარულით
მათი გულიც ფრთიანდება...
აფრინდება,
სულ რომ ფრენა არ უნდოდეს,
გული შენთვის
შეეცდება ალუბლობდეს...
როგორ გაძლებ,
რტოზე ჩიტად არ ბუდობდე,
გედებიც ხომ
სიყვარულზე საუბრობენ...

* * *

ბევრჯერ მინახავს ფერდობები
წვიმისგან მთვრალი,
ქარი რომ წეწავს საჩეჩელზე
ამღვრეულ ნისლებს,

მე კი ყოველთვის ველოდები
იმ პირველ ყვავილს, –
ლურჯად შემოსილს, მაგრამ მაინც
ზღვასავით შიშველს;
მზისკენ რომ იწევს, დილის ცვართან
ვნებით ავსილი
და მხოლოდ ზეცა ემეტება
დასაფიცებლად,
რომ არ აშინებს ცის და მიწის
შორი მანძილი
და სიყვარულით არაფერში
არ გაიცვლება...
...ხიდი, რამდენიც დანგრეულა,
კვლავ დაგებულა
და თუ გულს უნდა, არ იშლება
არასდროს კვალი...
დაგელოდები, რომ არ ვიყო
ახლა ეულად...
დავარგებულა შენს ტუჩებზე
ზაფხულის ბალი...

## რაჭას

შენი მთა რომ ხარს ედრება,
ან უბრალოდ ვერძის რქებს...
წვიმის წყალიც კი მერგება,
როგორც ტკბილი, დედის რძე...
დედის სითბო გულიდან გაქვს
მოტანილი ჩემამდე...
ჩემო რაჭავ, დედასავით
შენ მყავხარ და... შენ მყავდე!..

## მზე და სიყვარული

ისევ აყვავდა თოვლისფრად ნუში,
ისევ შევხარი მის თეთრ ყვავილებს...
ახლა იმედიც აყვავდა გულში,
ალბათ, ამიხდენ ძველ დანაპირებს...
მზის საგალობელს რომ ამბობს კვირტი,
როგორ იქნება, არ დაუჯერო,
ისეთი დღეა, ვერაფერს იტყვი,
მხოლოდ სიყვარულს უნდა უმღერო...
როდესაც დილა ასე სავსეა
ნუშის ყვავილთა ნაზი სურნელით,
როცა ასეთი სილამაზეა,
ვიცი, რომ ისევ დამიბრუნდები...

* * *

მდინარის ღელვა აშრიალებს
შენს თმას, გიშრიანს
და ეს შრიალი სიყვარულის
ზღაპარს მიამბობს,
როცა ხელები ჩემთან ყოფნას
აღარ გიშლიან,
დროის დინებას გული უხმოდ
უნდა მიანდო...
იმან იდარდოს, ვისაც მძაფრად
არ განუცდია,
თუ რა ტკბილია სიყვარულის
მწარე ეკალი,
მოუთოკავი, ზოგჯერ ერთი
ციცქნა რუც კია,
დაუნდობელი, ცოდვიანი

და წამლეკავი...
ყვავილს ნექტარი აქვს იმიტომ,
სხვას რომ აგემოს,
მადლი ბოლომდე ჯერ არავის
აუწონია,
ჯერ არ ყოფილა, მას ცხოვრების
აზრი გაეგოს,
ყვავილთა მტვერში ფუტკარივით
ვინც არ წოლილა...

* * *

რადგან შორსაა
და ღრუბელი
მაინც ცისაა,
ლამაზ ოცნებას
გულის სითბო
უნდა არჩიო,
ყველა ნიჭზე კი
დიდი ნიჭი
ალბათ ისაა,
რომ სიყვარულით
ერთი კოცნა
გადაარჩინო...

## იღბალი

ამოსუნთქვასაც არ დამაცდის ახლა იღბალი,
მოუსვენარი ღამეები ისე წაება,
მე შენთან ყოფნით, ჩუმი ვნებით გავხდი იმგვარი,
როგორც ფუტკარი, გაშლილ ყვავილს რომ ეწაფება...
მსუბუქ ძაფებად გაბმულია მახე ობობის,
ბედი კი ქსელში გახვეული ბუზანკალია,

მაყვლის ბუჩქიდან ამოფრინდა ორი ოფოფი,
მერე რაა, თუ ეს აფრენაც წარმავალია...
ბაღი კარგია, დილის ცვარით რომ ინამება,
ან რად მარგია, ბაღი მშრალი, სულ მთლად უცვარო,
საოცარია, ქალი მორცხვად რომ ინაზება,
ზღვა ალერსი რომ ათასფერში უნდა უცვალო...
ჰოდა, უმთვარო ღამეები თუ ჰგავს მთვარიანს
და ვარსკვლავების მიხარია ჩუმი ციალი,
ეს ყველაფერი, რომ იცოდე, შენი ბრალია,
თორემ ეს ღამე უშენობით მითხარ, რა არის?!

## ნაქერალას ამოვცადი

ნაქერალას ამოვცადი,
გზები გზებზე მიება,
რაჭის მკერდზე სხივები
კლდეებს ექცა იებად,
სხივი მზისგან ნატყორცნი
გულში მადლით მიელავს,
მადლს აქ ან რა გამოცლის,
ან რა მეცოდვილება?..
ქარიც იქცა ნიავად,
ღამეები – დილებად,
მოსვლა მიხარია და
წასვლა მესიკვდილება...

# ამღერებული ლექსები

## ღელავს ზღვა

ისე კარგი დღეა, მსურს გაჩუქო მზე,
მხოლოდ შენთვის მემეტება ეს სილამაზე...
ცა, ოცნების ფერით, ლამაზ ზღაპარს ჰგავს,
ეს გული კი ისევ ერთვის სიყვარულის ზღვას...
და გული ღელავს, გული, როგორც ზღვა,
გულმა მეტი სხვა რა უნდა თქვას?...
ღელავს ზღვა, ჩვენ ხომ კვლავ, ერთად ვართ...
რა კარგია, ჩვენ რომ ერთად ვართ...
მზე მიღიმის ციდან, სითბოს მჩუქნის ბევრს,
მე სულ შენთან ყოფნა მინდა, დროც რომ გავიდეს...
დრო ჩერდება, ვხედავ, როცა ერთად ვართ,
სიყვარული არ ბერდება, ისევ ღელავს ზღვა...
და გული ღელავს, გული, როგორც ზღვა,
გულმა მეტი სხვა რა უნდა თქვას?...
ღელავს ზღვა, ჩვენ ხომ კვლავ, ერთად ვართ...
რა კარგია, სულ რომ ერთად ვართ...

## ჩემო ნამო დილისა

ასე მაცდურად და ასე გამეტებით,
ქარებს გაუძარცვავთ ბაბუაწვერები,
და მეც სიცივისგან ქარში დავეცემი,
თუკი დამტოვებ და თუკი გამეცლები..
ჩემო ნამო დილისა,
წამო, მოლოდინისა,
ქარს არ ანდო, დილისა
გული, როგორც თილისმა...
ქარებს რა მოვკითხო, ქარებს თვალმაცდურებს,

მოდი, სიყვარულში კვლავ შენ დამარწმუნე...
თორემ სიცივისგან ქარში დავეცემი,
გთხოვ, ნუ დამტოვებ და გთხოვ, ნუ გამეცლები.....
ჩემო ნამო დილისა,
წამო, მოლოდინისა,
ქარს არ ანდო, დილისა
გული, როგორც თილისმა..

## მოგისაკლისე

თეთრად ყვავის სოლოლაკში ტყემალი,
ზეცა ხარობს, მზე მიღიმის შენსავით,
ჩემი ფიქრი შენი გულის მდევარი,
გეძახის, გეძახის...
ისევ იქროლებს ქარი ფერდობზე
და წითლად ისევ მოწვიმს ასკილზე...
ობოლი მთვარე დავიმეგობრე,
მოგისაკლისე... მოგისაკლისე...
მოკაზმულა, ვით ხოხობა მხევალი,
ბაღი ღამის სიმღერებით მთევარი,
ჩემი ფიქრი შენი გულის მდევარი,
გეძახის, გეძახის...
ისევ იქროლებს ქარი ფერდობზე
და წითლად ისევ მოწვიმს ასკილზე..
ობოლი მთვარე დავიმეგობრე,
მოგისაკლისე... მოგისაკლისე...

# მელანშეუმშრალი ლექსები

## მე, ზამთარი და... დედა

თოვლის ფანტელები ისე მიღიმიან,
თითქოს პატარა ვარ ახლაც,
თითქოს ძველებურად დედა მელოდება
თოვლიან საბავშვო ბაღთან...
ფეხდაფეხ მომყვება ფიფქებთან თამაში,
დარდსაც რომ ძაფივითართავს,
მგონია, დედას კვლავ ვუზივარ კალთაში,
ისე ვეფერები ზამთარს...
მოყინულ ქუჩაზე ბევრჯერაც დავეცი,
თოვლს რომ შევხაროდით ერთად...
როგორ მენატრება ის თბილი ალერსი, –
ვაი, შენ მოგიკვდეს, დედა...
თოვლის ფანტელები ისე მიღიმიან,
თითქოს პატარა ვარ ახლაც,
თითქოს ძველებურად დედა მელოდება
თოვლიან საბავშვო ბაღთან...

## წვიმების მერე

ვერც ამ მოლოდინს
უიმედოდ ვერ დავამთავრებ,
რადგან კვირტებიც
ფეთქდებიან სულის შებერვით...
ზოგჯერ იქაა
სიყვარულის ფერთა სათავე,
სრული სიჩუმე
რომ გგონია ერთი შეხედვით...
თუკი ვერხვები

ჩუმად შრიალს სხვასაც უთმობენ
და ღამეები
მონატრების წერილებს მწერენ,
ნუ გამიმეტებ,
მხოლოდ სევდის რტოზე ვბუდობდე,
გამაგულისე
წყაროსავით... წვიმების მერე...

## ფიფქი

ფიფქი რომ მხარზე დამეცა,
რა შეგძლებია, ზეცაო,
თვალი მეც მისკენ გამექცა,
ისეთი კაბა ეცვაო...
ახლა დღეც ვფიქრობ, ღამეცა,
ან ფიქრი როგორ შევცვალო,
არც მე ვიცოდი, რა მექნა,
მასაც ქალივით შერცხვაო...

## შენს ცისფერ თვალებს

ცის ლოცვას ვარქმევ
შენს ცისფერ თვალებს
და ვჩუქნი ღამეს
იმ სითამამეს,
რაც მთვარის შუქსაც
სანთლებად ანთებს,
რომ ეს სამყარო
დიდ ტაძარს ჰგავდეს...
სწორედ ამიტომ,
შენს ცისფერ თვალებს,
განა სხვა რამეს,
ცის ლოცვას ვარქმევ...

## მეგონა...

მეგონა, გიყვარდი,
მეგონა, გახსოვდი,
ყველა ფიქრს წვიმაშიც
მზესავით ვაქსოვდი...
და როცა გამოვცდი
ძველ სადგურს, ბავშვობის,
მეგონა, გნახავდი
და თურმე... დაგშორდი...

## გულს დარდი უნდა ავყარო

ნამგლით რო ანწლი ავკაფე,
თან მივაყოლე ჭინჭარიც,
მთვარე რო გამოანათებს,
ისე გამოჩნდა ჭიშკარი...
მერე ეზოსაც მივხედე,
გავაბზიალე მზესავით...
ცა ხან ღრუბლებს რო მიმხედრებს,
ჩემი ტკივილიც ეს არის,
მაგრამ ვაჯობებ კაეშანს,
გულს დარდი უნდა ავყარო,
ფიქრს კვლავაც შენზე დავგეშავ
კალოსიქითის მაყვალო...
მაყვალიც ისე ქიანობს,
თითქოს ჩემს სურვილს კვერს უკრავს,
ბევრჯერ ავსებაც კი ახსოვს
ემალატკოჩილ ვედრუკას;
ხან სამურაბედ ვკრიფე და
ხანაც ვადუღე თათარად,
რაც მისი სუნთქვა მიწევდა,

იმ სუნში ლამის დავმთვრალვარ...
წყალმაც კი გული მომფეჩხა
და ბევრსაც აღარ ვაგრძელებ,
ხანდახან ნაცრით რო ვჩეჩავ,
წარსულს მახსენებს სარძევეც...
მინდა, რომ კერა არ ჩაქრეს,
მზესავით დასაფიცარი...
ანწლო, ამიტომ აგკაფე
და მოგაყოლე ჭინჭარიც...

## რიონო

– რით ველარ მორჩი, რიონო,
ამ ბორგვასა და ამ ქშენას,
როდემდე უნდა იომო, –
არ მოგასვენა გამჩენმა!..
– მე თუკი მართლა გავჩერდი,
ჩემ მერე რაღა დარჩება?...
ნეტავი, მწვანე ჭალები
ჩემი თვალებით გაჩვენა...
სულ სიყვარულით ვერთდებით,
ვინ დამიწუნებს არჩევანს,
მხარბეჭიანი ქედებიც
თან მოგვყვებიან მაყრებად...
– რადგან, სირთულეც იოლობს
და გულს იმედად აჩნდება,
სხვა რაღა გითხრა, რიონო, –
არ მოგასვენა გამჩენმა!..

## სტუმარს დავხვდები ლამაზად

ერთი თალია, ვიფიქრე
ე, ლექსუკეებს რო ვწერდი,
მოყვრის ხათრით და მტრის ჯიბრზე,
ხო არ მეყიდა მოზვრები...
გადავრეკავდი ჭალისკენ
ზარუკეების ჟღარუნით...
პატარა თუ არ გარისკე,
კეცს ჭადის სუნი არ უდის...
ან კი, რა რისკი ეგაა,
დაიზრდებიან ლამაზად...
ხან სიმინდუკას ბეგვაა,
ხან ლობიუკას გავბაზავ,
კვინჭლა ტაროებს გავფშვნიდი,
გადავუყრიდი ქათმუკებს,
ხან ზვინუკეებს სათიბში
მოვუწუპნიდი თაუკებს...
ლექსუკეებიც რას მიშლის,
თუ გული ერჩის ხარ-ურემს...
დღეს თუ ამ ფიქრით დავმშვიდდი,
სხვას მოვიფიქრებ ხვალ, უკეთ...
ბევრი რამ თქმულა წყურვილზე,
რასაც ფიქრები ამხელენ,
მთავარია, რომ სურვილებს
არ დაჭირვოდეთ სათხლევე,
უნდა შეგეძლოს, შეირგო,
სანამ აწვება სარქველზე...
თუმცა ტკივილსაც შველის დრო,
კაცს მაინც საქმით აქებენ...
ხან ლობიუკას გავბაზავ,
ხან სიმინდუკას ბეგვაა...
სტუმარს დავხვდები ლამაზად
და საქმეც, სწორედ ეგაა...

რედაქტორი ელენე სალარიძე

არტრედაქტორი ირმა ჯიშკარიანი

გარეკანზე **ფრიდონ გეგეშიძის** ფოტოები

დაიბეჭდა შპს გამომცემლობა კოლორში

თბილისი 2014



